სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 27 ივნისი 2001 №118 (1391) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაჯიმაჯოზა

რუმინელთა ახალი ჯარგად დავიწყებული ძველი არ არის



AP ბუქარესტიდან

აწი ჰაჯიმ სხვის ნაცვლადაც უნდა იფიქროს

გუშინ გეორგე ჰაჯი ახალ მწვრთნელად მოევლინა რუმინეთის ნაკრებს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეა.

ქართველები რუმინეთს რომ ველარ შეეტოქებიან და ველარც რამეს შეეცილებიან, ეს ახლა არ გარკვეულა. წინამორბედ ლადისლაუ ბოლონის სატურნირო მემკვიდრეობამ რუმინელთა ახალ მწვრთნელს გუშინ ეს დააქადნებინა, გუნდს კორეა-იაპონიაში წავიყვანო. ჯგუფში მეორეობას დიდი ჰაჯი-მაჯობა აღარ სჭირდება, რუმინელები პლეი-ოფში მოგებას შეეცდებიან.

ჩვენი, მერვე ჯგუფი დიდად მღელვარე გამოდგა. აგერ, ხუთი ტურის თავზე მწვრთნელგამოუცვლელი მხოლოდ იტალია და უნგრეთი არიან. ჰაჯის რუმინეთიც ახალი თავკაცის გაწვრთნილ საქართველოს ნაკრებს უმასპინძლებს ოქტომბერში.

მოგეხსენებათ, ჩვენი ფედერაციის სურვილით შესარჩევ ციკლს ის ალექსანდრე ჩიგაძე ჩაამთავრებს, რომელიც ნაკრებს ერთხელ უკვე წვრთნიდა და მისი 5 წლის წინანდელი შეხვედრა ჰაჯი და კომპანიასთან ქართველთა 0:5 მარცხით დასრულდა. ოღონდ, ეს ჰაჯის მოთამაშეობისას იყო, წლეულს კი მოთამაშე ჰაჯიმ სანაკრებო კარიერაც დაასრულა და საკლუბოც.

ერთი სიტყვით, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციას, საქართველოსი არ იყოს, ექსპერიმენტთა მოძულეობაში ვერავინ დაადანაშაულებს. ვისი ოპტიმიზმი უფრო მყარ საფუძველზე დგას, ანუ აღდგომა და ხვალეო, ეს მალე გაირკვევა.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

იხილეთ მეოხუთმეტე გვერდი

მე შენ ჩამოგიკრავ თორმეტ საათს!

ტკბილი წყვილი წინ მიიწევს

სენსაციური პირველი დღის შემდეგ გუშინ ლონდონში მიმდინარე სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირზე ლირსშესანიშნავი ბევრი არაფერი მომხდარა – ბობოლებმა პირი შეკრეს და სინქრონულად უწიეს უიმბლდონის მეორე წრეს.

პირველი დაბრკოლება გადალახა ჩოგბურთის ყველაზე ტბილმა წყვილმაც: ლეიტონ ჰიუიტმა გელფრენდ კიმ კლაისტერსს მხარი აუბა და ოდნავი დაგვიანებით, მაგრამ ზედმეტი ოფლის დაუღვრელად მიითვალა ზედიზედ მე-11 გამარჯვება.

ნაადრევად უიმბლდონური კამპანია მხოლოდ შარშანდელი ჯონჯია, უწულ-უშარვლო ვლადიმირ ვოლჩკოვისთვის დასრულდა: 2000-ის ნახევარფინალისტს 12 საათი 18 წლის მიხაილ იუჟნიმ ჩამოუკრა.





REUTERS ლონდონიდან

სიყვარულს პირველ წრეში გაუმართლა: კიმ კლაისტერსი და ლეიტონ ჰიუიტი მეორე წრეში გავიდნენ

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

estac ტრუა — ვიტ ჯორჯია

ოსერი. „აბატ დეშანი". ტევადობა 21 000. 30 ივნისი. 23 საათი

ტრუა სამამდე ითვლის

შამპანური ერუდიცია: თბილისი საქართველოს დედაქალაქია

ალენ პერენი

„ტრუა" საკმაოდ მშვიდად და წყნარად ემზადება ისტორიაში პირველი ევრომატჩისთვის. კლუბი, რომელიც მალე პირველ დივიზიონში თავის მესამე სეზონს დაიწყებს, თანდათანობით შეეჩვია ელიტას და უკვე შეიძლება ითქვას, არავისი ეშინია.

მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა ალენ პერენმა „ტრუას" მოკლეპასებიანი, ბურთთან ერთ შეხებაზე დაფუძნებული თამაში აათვისებინა. ამ ტაქტიკამ გაამართლა და ჩვენმა გუნდმა 1994 წლის შემდეგ საფრანგეთის საფეხბურთო კიბეზე ოთხი საფეხურით აინაცვლა, ანუ მეოთხე დივიზიონიდან პირველს უწია, რაც ბრწყინვალე შედეგია.

1999-2000 წლების სეზონში „ტრუამ" მე-14 ადგილი დაიკავა, წლეულს კი მეშვიდემდე აღზევდა და ინტერტოტოს საგზურსაც დაეუფლა „ბასტიასთან" ერთად.

ამ ტურნირის პირველი მატჩისთვის „ტრუა" სერიოზულად ემზადება, თუმცა მეტოქის შესახებ თითქმის არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია. ყველაზე „გამოსულმა" შამპანელებმა მხოლოდ ის იციან, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია და თბილისის „დინამო" რუსების ნაკრებს უძლიერესი ფეხბურთელებით ამარაგებდა წლების განმავლობაში.

ერთადერთი ღირებული ინფორმაცია პერენის თანაშემწე სერჟ რომანოს აქვს, რომელიც კვირას ავსტრიაში გამართულ „რიდისა" და „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრას დაესწრო.

გუნდმა ვარჯიში 20 ივნისს განაახლა. შემადგენლობა ფაქტობრივად არ შეცვლილა. ერთადერთი ჟეზიერსკის წასვლით შეიძლება, დაცვა შესუსტდეს.

თავდამსხმელები — ბუტალი და გუსე ფორმაში იქნებიან, ისევე როგორც კლუბის საუკეთესო მეგოლე ჯუკიჩი. შუახაზში შვეიცარიელი სელესტინი, ალჟირელი საიფი და ახალგაზრდა როტანი, რომლის გადაბირებაც „პარი სენ ჟერმენსა" და „მონაკოს" სურთ, ითამაშებენ. კარს ერტებისი დაიცავს. დაცვაში ითამაშებენ ადამსი და ამედი. ვინ მოხვდება კიდევ ძირითადში, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

მიუხედავად იმისა, რომ „ტრუას" ხელმძღვანელები „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ სერიოზულად ემზადებიან, ფეხბურთელები მაინც ერთგვარად გულარხეინნი ჩანან, რასაც ჟერომ როტანის ინტერვიუს ეს ნაწყვეტიც ადასტურებს: „ეს სეზონის პირველი მატჩია, ამიტომ მას მოსამზადებლად ვთვლი. ახლებს უჭირთ ხოლმე გუნდთან შეთამაშება, მაგრამ რადგან ბევრი ახალწვეული არ გვყავს, ყველაფერი კარგად იქნება. ოსერში ისეთი სხვაობით უნდა გავიმარჯვოთ, რომ საპასუხო მატჩისთვის თავი ქუდში გვქონდეს. როგორი დახვედრა და თამაში გველის საქართველოში, ხომ არ ვიცით. ინტერტოტოზე ორი-სამი ეტაპი აუცილებლად უნდა გავიაროთ."

ერთსაც დავამატებ. ვინაიდან „ტრუას" სტადიონ „ობის" მინდვრის საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაში, მატჩი ოსერში, „აბატ დეშანზე" გაიმართება, რის გამოც „ტრუას" ერთგულ გულშემატკივართა ქომაგობა საგრძნობლად მოაკლდება.

თუმც რაც არ უნდა იყოს, ეს „ტრუას" პირველი ევროპული მატჩია და, იმედია, ჩვენი გუნდიც მოწოდების სიმაღლეზე იქნება.

ნიკოლა გიო ტრუადან
საგანგებოდ „სარბიელისათვის"

ჟერომ როტანი (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯიას" დიდი ანგარიშით დამარცხებით ემუქრება

ვისზე ნაკლები ჰაჯია!

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, ავგიორგი ნასვამია

გადაწყდა: გეორგე ჰაჯი რუმინეთის ნაკრებს სამი წლის განმავლობაში გაწვრთნის. ამის შესახებ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ.

„ჰაჯი ნაკრების ახალი მწვრთნელია. კონტრაქტი სამწლიანია და დღესვე შედის ძალაში" — ასეთი იყო სანდუს კომენტარი.

ჩვენი რუმინელი კოლეგის, კრისტი კოსტეს თქმით, გუშინ ჰაჯი გულშემატკივრებს შეჰპირებია, ნაკრებს კორეა-იაპონიის საგზურს აუცილებლად მოვაპოვებინებო. თავის მხრივ, ქომაგებსაც მისთვის გზა დაულოცავთ. გუშინვე ჰაჯი მშობლიურ კონსტანცაში გაემგზავრა, სადაც დიდებული შეხვედრა და პურ-მარილი ელოდა.

მაშ ასე, გამართლდა ვარაუდი, რომ ჰაჯი — „სარბიელის" მესვეტის მიერ ავგიორგად წოდებული — აუცილებლად დაიკავებდა ლისაბონის „სპორტინგში" გადაბარგებული ლადისლაუ ბოლონის ადგილს. ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე, როცა ნაკრებს გამოემშვიდობა, მაგრამ „გალათასარაიში" თამაშობდა, ჰაჯიმ დიდად აურ-დაურია ბოლონის სანაკრებო გეგმები. იტალიასთან მატჩის წინ ფეხბურთელები შეაგულიანა და ბოლონის გადადგომა მოითხოვინა. მერე „სკუადრა აძურასთან" თამაშს ლამის ნახევარი გუნდი არ აპირებდა და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც — უსახურად, უგულოდ გაისარჯნენ და 0:3 წააგეს.

შერცხვნენ და სანდუმ ეროვნული გუნდის მოთამაშეებს ცრუპატრიოტიზმი დააბრალა, თანაც ვეტერანების: პეტრესკუს, სტელიას, ფილიპესკუსა და გალკას ნაკრებიდან მოკვეთა მოითხოვა. სანდუ ამბობდა, ნაკრების მაისურის ღირსნი ჟინიანი ახალგაზრდები უფრო არიანო. თუმცა, ბოლონიმ არც მწვადი დაწვა, არც შამფური და რამდენიმე დებიუტანტის გამოძახებით ვნებათაღელვა მიანელა. მერე საქართველოს, უნგრეთსა და ლიტვას მოუგო, ჯგუფიდან გამსვლელი საპლეიოფო საგზური, ფაქტობრივად, გაინაღდა და პორტუგალიაში წავიდა.

ჰაჯი წავიდა, ჰაჯი მოვიდა!

ნუთუ არ უნდოდა ნაკრების კორეა-იაპონიაში ეხელმძღვანელა? ალბათ უნდოდა, მაგრამ ჰაჯისა და კომპანიის ამღვრეულმა წყალმა ამ პატიოსან კაცს წასვლა გადააწყვეტინა. არადა, დრო იყო, „სტიაუაში" ჰაჯის უფროსი მეგობარი და მასწავლებელიც კი გახლდათ...

რუმინელთა საუკუნის ფეხბურთელ ჰაჯის ნაკრებში სარეკორდო 125 მატჩი ჩაუტარებია, აქედან 86 კაპიტნის სამკლავურით. თუმცა მოთამაშის უდიდესი გამოცდილება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მწვრთნელიც კარგი იქნება. მან ხომ სათამაშო კარიერა სულ რაღაც ერთი თვის წინ დაამთავრა.

ჯერ ერთი, დიდი ფეხბურთელის დიდი მწვრთნელობა ერთობ იშვიათი მოვლენაა. თანაც, ჰაჯის გაუზრდელობისა და პროვინციალობის შემყურე, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, დამრიგებლობას როგორ უნდა აუვიდეს. მერე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ბევრ ჩინოვნიკთანაც ნაჩხუბარია და სავარაუდოა, რომ პირველივე წაფორხილება დიდ სკანდალში გადაეზრდება.

თუმცა, დრო ყველაფერს გამოაჩენს. „ავგიორგის" ამოცანა ახლა ჯგუფში მეორე ადგილის შენარჩუნება და პლეიოფში მოხვედრაა. არადა, სულ ორი შესარჩევი მატჩი დარჩა, 5 სექტემბერს უნგრეთში და 6 ოქტომბერს შინ საქართველოსთან.

სოლომონ გულისაშვილი

ნოდიამ გარსია გაცხრილა

იმ ბრაზილიელს რა ვუთხარ...

დღეიდან ბაკურიანში გააგრძელებს მზადებას თბილისის „დინამო". სამთო-სათხილამურო კურორტზე დინამოელები 6 ივლისამდე გაჩერდებიან. გასინჯვაზე მყოფი რამდენიმე ახალწვეული საბაკურიანო სიაში კი მოხვდა, თუმც ეს ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი დინამოელია. სელექციის პროცესი „დინამოში" კვლავაც გაგრძელდება და, შესაძლოა, სეზონის დაწყებამდე გუნდმა კიდევ დაიმატოს ფეხბურთელები.

ბაკურიანში ვერ გაჰყვნენ გუნდს სოსო გრიშიკაშვილი და ვახტანგ იაგორაშვილი. დინამოელთა მეკარე ინდივიდუალურად ემზადება, ტრავმა ბოლომდე უნდა მოიშუშოს და დაშავებულ ფეხზე პროცედურებს იტარებს. იაგორაშვილსაც ჯანმრთელობის მხრივ შექმნია პრობლემები, თუმც სერიოზული არაფერია და, სავარაუდოდ, ერთ კვირაში შეუერთდება გუნდს. ბრაზილიელი ჰიდეო გარსია კი უბრალოდ დაიწუნეს.

იმ 27 ფეხბურთელის სია, რომელიც გივი ნოდიამ ბაკურიანისთვის შეარჩია, ასეთია:

მეკარეები: ბათიაშვილი, ხაჩირაშვილი, მამალაძე; მცველები: სვანაძე, შაშიაშვილი, ჩივაძე, კანდელაკი, ვ. ქუთათელაძე, ამისულაშვილი, ბ. შელია; ნახევარმცველები: მაზიაშვილი, გაბიდაური, მანწკავა, შალამბერიძე, შავგულიძე, სახვაძე, აფციაური, ბურდული, მიქავა, ტყებუჩავა; თავდამსხმელები: ზირაქიშვილი, მიქაძე, ბობოხიძე, ხუციშვილი, ქარდავა, მიკუჩაძე, თუთარაშვილი.

დავით თავართქილაძე

ჰიდეო გარსია

შვედეთი

ჰალმსტადი 4:2 მალმიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსეური ვნებანი ჯენტლმენური დანაპირებით

ლონდონის „ჩელსიში“ რატი ალექსიძე პირველად ხუთი წლის წინ მიიწვიეს სტაჟირებაზე. რატი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში გამოდიოდა და ჩელსელმა სკაუტებმაც მაშინ დაადგეს თვალი. სტაჟირებამოვლილს კი „დინამოს“ ძირითადშიც მისცეს თავის გამოჩენის შანსი. რატი მალე გახდა გუნდის წამყვანი მოთამაშე. შეუპოვრობა, ჯიგრიანი და აგრესიული თამაშის მანერა, გამარჯვებისკენ სწრაფვა — ამ თვისებებით ალექსიძე მართლაც მკვეთრად გამოირჩეოდა „დინამოში“. აღიარებამაც არ დააყოვნა — რატი ალექსიძე საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის (1999-00) საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. „ჩელსიმაც“ აღარ დაახანა, 2000 წლის თებერვალში ქართველთან უკვე კონტრაქტი გააფორმა.

აი, ამის შემდეგ კი ვეღარ წარიმართა რატი ალექსიძის კარიერა ისე, როგორც წარმოგვედგინა და გვსურდა, თუმც მას ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვს, მაგრამ ერთიცაა — რატისგან რაც შეიძლება მალე ველით „ჩელსის“ ძირითადში დამკვიდრებასა და პრემიერლიგურ გოლებს...

ახალი სეზონისთვის მზადებას „ჩელსი“ მალე შეუდგება და რატისაც ლონდონში დაბრუნება მოუწევს. ამ რამდენიმე დღის წინ კი ჩელსელი ქართველი მამა გახდა, ვაჟიშვილი, თემური-უმცროსი შეეძინა (უფროსი თემური, ანუ რატის მამა, თავის დროზე არანაკლებ ბურთაობდა...)

ლონდონის „ჩელსი“ და რატი ალექსიძე — ჩვენი საუბრის მთავარი თემა ეს გახლდათ, რასაც 22 წლის ფეხბურთელის მონოლოგის სახით გთავაზობთ.

რატი ალექსიძე „ჩელსის“ ძირითადში დამკვიდრებას აპირებს

არავითარ შემთხვევაში!

ლონდონში აღრე ჩიზვიკში ვცხოვრობდი, ახლა კი ქალაქის ცენტრში, ჰაი სტრიტ კენსინგტონზე მაქვს ბინა.

სახლში ოთხი მაღვიძარა საათია და ოთხივე ყოველთვის მომართულია ზარის დასარეკად. საქმე ისაა, რომ ვარჯიში დილის ათ საათზე გვეწყება, „ჩელსის“ ბაზა კი ჩემი სახლიდან შორს, „ჰითროუს“ აეროპორტთანაა ახლოს და ამიტომ დილით აღრე მიწევს ადგომა. ვარჯიშის გაცდენისთვის ჯარიმა, 3000 გირვანქაა დაწესებული, წუთი დაგვიანება კი 50 გირვანქა ჯდება. მოსამზადებელი პერიოდის დროს მეორე ვარჯიშიც გვაქვს შუადღის ოთხ საათზე. „სტემფორდ ბრიჯი“ კი, სადაც „ჩელსი“ საშინაო მატჩებს ატარებს, ჩემი სახლიდან ფეხით 10 წუთის სავალზეა.

„ჩელსის“ ერთ-ერთი სპონსორი „ოპელია“ და კლუბიც ამ ფირმის მანქანებს არიგებს ფეხბურთელებისთვის. მეც „ოპელით“ დავდივარ, კარგი მანქანაა...

ვარჯიშის შემდეგ იქვე, ბაზაზე ვსადილობ და შინ ვბრუნდები. ლონდონში იქ მცხოვრებ თუ სასწავლებლად ჩასულ ბევრ ქართველთან ვმეგობრობ. თავისუფალ დროსაც მათთან ვატარებ, საღამოობით ხან რესტორანში დავდივართ, ხან კინოში. უპირატესობას ჩინურ რესტორანს ვანიჭებ, იმათი სამზარეულო ძალიან მიყვარს...

ლონდონში ფეხით სეირნობაც სასიამოვნოა. იქ ძალიან ბევრი ადგილია, სადაც ხეტიალი არ მოგბეზრდება. ზედმეტს არავინ გაკადრებს, თავში არაფერს ჩაგარტყამენ და არც ქურთუკს გაგხდიან. უფრო ხშირად ჰაიდ პარკსა და კენსინგტონ გარდენში ვსეირნობ.

რა თქმა უნდა, გასული სეზონი ჩემთვის წარმატებული არ ყოფილა, რაც სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა. წელის ტკივილები მაწუხებდა, რამაც განსაკუთრებით მოსამზადებელ პერიოდში იჩინა თავი. ოპერაცია არ დამჭირდა, წამლებითა და მასაჟებით მიმკურნალეს. ისე, წელის ტკივილების გამო სეზონში ხუთჯერ ამოვვარდი რეჟიმიდან. პირადი პრობლემებიც გამიჩნდა, ახლა კი, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. ბავშვი შემეძინა, დავლაგდი, გავარკვიე, რა და როგორ მინდა. ლონდონში ჯერ მარტო დაბრუნდები და მერე ოჯახსაც იქ წავიყვან. „ჩელსიდან“ წამოსვლის სურვილი ნამდვილად არ მაქვს, არავითარ შემთხვევაში.

ჯიმი მაგარი კაცია, ძოლა კი წვეთს არ სვამს

„ჩელსის“ სარეზერვო გუნდში 7 გოლი გავიტანე. იოლი სათამაშო არც იქაა, სერიოზული მატჩებია, მაგარი ჯახები. თუ თამაში „სტემფორდ ბრიჯზეა“, დიდძალი მაყურებელიც მოდის. სარეზერვო გუნდებს თავისი პირველობა აქვთ, მსგავსად საბჭოთა კავშირის დროინდელი დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატისა.

ვინც კი ჩემი თაობიდანაა, გუნდში ყველასთან ვმეგობრობ — მორისი, გუდინსონი, ტერი, ჰარლი...

„ჩელსის“ ყოჩი, რა თქმა უნდა, დენის უაზი გახლდათ. დიდი ავტორიტეტი აქვთ აგრეთვე ძოლას, ლებეფს და დესაის. მე განსაკუთრებით დესაის გამოვარჩევდი. ის ძალიან კარგი პიროვნებაა, თავმდაბალი.

ჯიმი მაგარი კაცია, მელხიოტიც ჯიგარია. როცა გასულ ზაფხულს ჰოლანდიაში ვიყავით შეკრებაზე, მათ ძალიან დავუმეგობრდი. ჯიმისთან ისე ვარ, რომ მის მანქანას, BMW-ს ჯიპს ხშირად დავაქროლებ, მანქანის თხოვებაზე უარს არასდროს მეუბნება.

ლუდი ყველას ძალიან უყვარს, ბლომად მიირთმევენ. თანაც მხოლოდ ისე კი არა — სადმე, კაი ადგილას ჩაუსხდნენ და დალიონ — არამედ თითქმის ნებისმიერ სიტუაციაში. წაიღეს ტვინი ამ თავიანთი ლუდით. მე საერთოდ არ მიყვარდა ლუდი, მაგრამ შემაჩვიეს და ახლა ცოტას თუ მოვწრუპავ-ხოლმე, დიდი-დიდი ერთი კათხა დავლიო. ერთადერთი კაცი, ვინც ლუდს საერთოდ არ ეკარება, ჯანფრანკო ძოლაა. ის ძალიან თავდაჭერილი, თავისებური ტიპია...

რანიერის ძალა ერთობაშია, ჩელსის — ჯენტლმენობაში

„ჩელსიმ“ გასულ სეზონში წარმატებებს ვერ მიაღწია. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ გუნდში მწვრთნელი შეიცვალა. აგრეთვე პატარ-პატარა კონფლიქტები იყო შიდა სამზარეულოში. ზოგიერთი წამყვანი ფეხბურთელი შემადგენლობის დაყენების კლაუდიო რანიერისეულ ვარიანტებს არ ეთანხმებოდა, ლებეფმა პრესის საშუალებითაც გაჰკრა კბილი მწვრთნელს. ყველაფერ ამის მოგვარებას დრო დასჭირდა. მომავალ სეზონში კი „ჩელსის“ ძალიან სერიოზული მიზნები აქვს.

რანიერი კარგი პიროვნებაა, მასზე აუგს ვერ ვიტყოდი, ისე კი ყველას მაინც ჯანლუკა ვიალი ურჩევნია...

რაც გუნდში რანიერი მოვიდა, სულ ცდილობს, „ჩელსი“ ერთ მუშტად შეკრას, კიდევ უფრო მეგობრული გუნდი გახადოს. სურს, ფეხბურთელები უფრო დიდ დროს ატარებდნენ ერთად. სწორედ რანიერის ინიციატივით წავედით მთელი გუნდი რამდენჯერმე რესტორანში (დი მატეოს საკუთარი რესტორანი აქვს პიკადილიზე), კინოში და თეატრშიც.

კლუბის პრეზიდენტი კენ ბეიტსი თბილი კაცია. ჩვენთან, ფეხბურთელებთან, ხშირად მოდის, გველაპარაკება. რომ იტყვიან, კაი ტიპია...

პრემიერლიგაში ლონდონის რამდენიმე გუნდია, მაგრამ „ჩელსი“ მათგან მაინც გამორჩეულია. „ჩელსი“ უფრო ელიტარული კლუბია, ერთ-ერთი ყველაზე ჯენტლმენური და სამაგალითო გუნდია ინგლისში.

შინდისფერებმა გააწითლეს

იტალია — საქართველოს მატჩის კასეტა სპეციალურად წავიღე ლონდონში, თანაგუნდელებისთვის რომ მეჩვენებინა. ჩელსელებმა ნახეს შეხვედრის ჩანაწერი და მითხრეს, მართლაც კარგი გუნდი გყოლიათო. მერე კი... ერთი სიტყვით, ნაკრების წარუმატებლობების გამო ჩელსელ თანაგუნდელებთან მაგრად შემრცხვა.

რაც შეეხება ჩემს ნაკრებში თამაშს, თქვენც ხომ ნახეთ, ისრაელთან ამხანაგური მატჩისთვის გამომიძახეს, რამდენიმე წუთი მათამაშეს და ისიც ფაქტობრივად მარცხენა მცველად. „ჩელსის“ სარეზერვო გუნდში ცენტრფორვარდი ვარ, ხოლო როცა კი რანიერიმ პირველ გუნდში მათამაშა, მარჯვენა თავდამსხმელად გამამწესა და იქიდან ცენტრში შესვლა დამავალა. ვთვლი, რომ ნაკრებში თამაში შეშიძლია.

დინამო, დინამო...

თბილისის „დინამოდან“ პირდაპირ ლონდონის „ჩელსიში“ გადავედი, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან — პრემიერლიგაში. ასეთი ნახტომი რომ შეასრულო, დროა საჭირო. „ჩელსიში“ პირველ მოსამზადებელ ეტაპზე ისე გამიჭირდა, რომ არც კი მახსოვს, როგორ გავიარე. ძალიან დიდი სხვაობაა. თუ „ჩელსიში“ კარგად მოეშზადები, გრძნობ, თითქოს დაღმართზე დარბიხარ, სხვები კი აღმართზე. ვიცოდი, „დინამოდან“ წასულს გამიჭირდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე წარმომედგინა. თანაც, მგონი, ჯერ არ მომხდარა, „დინამოდან“ წასულ ფეხბურთელს „ჩელსის“ რანგის გუნდში მყისვე ძირითად შემადგენლობაში დაემკვიდრებინა ადგილი.

რატისთან საუბრის დამთავრებას აქ ვაპირებდი, სამუშაო ბლოკნოტიც დავხურე, მაგრამ რატომ არ დამანება, კიდევ მსურს რაღაცის თქმა...

თბილისის „დინამოს“ წარმატება მინდა ვუსურვო. ვიცი, პრობლემები რომ იყო, მაგრამ ამ გუნდს არ ეკადრება, ზედიზედ ორჯერ ჩემპიონი რომ ვერ გახდა. ყველა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ფეხბურთელები, „დინამოს“ სახელს უნდა გაუფრთხილდეს. მე კი ქართველ გულშემატკივრებს ვპირდები, ისე ავთამაშდები და გამოვჩნდები, როგორც ბოლო დროს „დინამოში“ ვირჯებოდი.

დავით თავართქილაძე

ბებერი მგელი 400 ათასი ლირს

ქეცბაია და საბერძნეთი: მოდი და მინდა

კარგა ხანია, საქართველოს ნაკრების 33 წლის ნახევარმცველ თემურ ქეცბაიას ინგლისური „ვულვერჰემპტონის“ დატოვება და საბერძნეთში დაბრუნება სურს. ამის ოაობაზე ქართველი ფეხბურთელი გასულ ზამთარს ალაპარაკდა და ისიც განაცხადა, „ვულვზში“ თამაშს რომ დათანხმდი, ჩემს სიცოცხლეში ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვიო. სწორედ ზამთრიდან მოყოლებული, ჩვენებური კლუბის ძირითადში იშვიათად ხვდებოდა და „ვულვზეც“ სწორედ ამან აცრუებინა გული.

და აი, ახლა ინგლისურმა სააგენტოებმა კვლავ გაავრცელეს ინფორმაცია, თემურ ქეცბაიას სალონიკის „პაოკი“ ეპატიჟება და „მგლები“ მის სანაცვლოდ დაახლოებით 400 ათას გირვანქას ითხოვენო.

— დიახ, ეს რეალურია. ქეცბაიას გადაბირება მხოლოდ „პაოკს“ კი არა, მის ყოფილ კლუბ „აეკსაც“ სურს და როგორც ვიცი, უახლოეს დღეებში ამ ორი კლუბის ხელმძღვანელებმა „ვულვზს“ თავიანთი წინადადებები უნდა შესთავაზონ. ისიც ნაღდია, რომ თავად ფეხბურთელიც მოწადინებულია, საბერძნეთში დაბრუნდეს. აქ მას დიდად აფასებენ. ერთი სიტყვით, ყველაზე რეალურია, მომავალ სეზონში ქეცბაიამ კვლავაც საბერძნეთში ითამაშოს — გვითხრა ბერძენმა კოლეგა ვასილის სობრაკოსმა, რომელსაც გუშინ ათენში დავუკავშირდით.

შეგახსენებთ, რომ თემურ ქეცბაია 1995 წელს საბერძნეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ორი წლის შემდეგ ჩვენებური პრიმერადივიზიონის „ნიუკასლში“ გადაბარგდა, იქიდან კი შარშან ზაფხულს — „ვულვერჰემპტონში“.

ძოგა ინასარიძე

თემურ ქეცბაიას ცხოვრების შეცდომა: ვულვზში თამაში

ორგვარი ზაზა

მენთეშაშვილმა და კორღალიძემ თანაქალაქელები აბუჩად აიგდეს

ზაზა ჯანაშია და რუსეთის თასი: ლომის წილი მოსკოვის „ლოკომოტივისთვის“

ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ გასულ კვირას თავის მუზეუმს რუსეთის კიდევ ერთი თასი შემატა. რკინიგზელებმა დრამატულ ფინალში პენალტებით დაამარცხეს მახაჩყალის „ანჟი“ და მეოთხედ დაეუფლნენ ქვეყნის თასს.

საინტერესოა, რომ ძველი თასი, რომელიც 1993-2000 წლებში თამაშდებოდა, „ლოკომოტივს“ სამუდამოდ დაუტოვეს. ახალი, 15 კილოგრამიანი პრიზი კი წლეულს პირველად გათამაშდა და ისიც იური სიომინის გუნდის ნადავლი გახდა.

ფინალის საუკეთესო მოთამაშედ ჯანაშია დაასახელეს. ქართველი მინდორზე მეორე ტაიმში შეიყვანეს ბუზნიკინის ნაცვლად და არც შემცდარან. მსაჯის წამატებულ დროში „ლოკომოტივის“ მრავალსვლიანი კომბინაცია ჯანაშიას გოლით დასრულდა. ამ მომენტისთვის „ანჟი“ სირხაევის გოლით იგებდა და ქართველის გამოზომილმა დარტყმამ რკინიგზელებს სულზე მიუსწრო.

დამატებით დროში საინტერესო არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ საჯარიმოში ისევ ჯანაშიას მაისურაზე დაქაჩვისთვის, მსაჯს დაღესტნელთა კარში თერთმეტმეტრიანი უნდა დაენიშნა. ბოლოს საქმე მატჩისშემდგომ პენალტებამდე მივიდა და მოსკოველებმა 5:4 მოიგეს.

რკინიგზელების ზეიმი, განსაკუთრებით რესტორანში, თავდაჭერილი გამოდგა, რადგან ორშაბათს ჩემპიონობისთვის მთავარ კონკურენტ „სპარტაკთან“ უნდა ეთამაშათ. სიომინის გუნდს უშუალო შეხვედრაში უნდა დაემტკიცებინა, რომ წლეულს მაინც ძალუძს „სახალხოთა“ ბატონობის დამხობა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა, ტიტოვის გოლით კვლავ „სპარტაკმა“ გაიმარჯვა და წლევანდელ ჩემპიონატში პირველად გალიდერდა.

„ლოკომოტივი“ კი ისევ მეოთხე საფეხურზე დარჩა. თასის ფინალისგან განსხვავებით ამჯერად ჯანაშიამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და მეორე ტაიმში ის იმავე ბუზნიკინით შეცვალეს.

ჩემპიონატი გრძელდება ლატვიაშიც. ზედიზედ ორი წაგების მერე „სკონტომ“ თანაქალაქელი „რიგა“ 6:1 გაანადგურა და კვლავ პირველ ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა დაკარგული ქულებით „მეტალურგს“ ჩამორჩება, რომელსაც ჯერ წაგების სიმწარე არ უნახავს.

ქართველებიდან „რიგასთან“ მენთეშაშვილმა და კორღალიძემ ითამაშეს. მატჩის გმირი კი ვერპაკოვსკისი გახდა, რომელმაც ოთხი გოლი გაიტანა. ერთი, 22-ე წუთზე მენთეშაშვილმა შეაგდო.

სხვა მხრივ, ჩვენი ლატვიელი კოლეგების თქმით, მატჩი ერთობ უინტერესო გამოდგა, რადგან „რიგამ“ ფეხბურთი მხოლოდ სამ წუთს ითამაშა, დანარჩენ დროს „სკონტო“ აბუჩად იგდებდა მოწინაალმდეგეს...

„სკონტოს“ მწვრთნელ ალექსანდრ სტარკოვის თქმით კი, 6 ივლისამდე, ანუ იმ დღემდე, სანამ ჩემპიონთა ლიგაში განაცხადის შეტანა შეიძლება, ის სლოვაკ, უკრაინელ და ლიტველ ფეხბურთელებს გასინჯავს.

სოლომონ გულისაშვილი

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
რუსეთი								
უმაღლესი ლიგა								
ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი	ს	სპარტაკი 0:1	45	შეცვალეს	13	3	4
ვლადიმერ კაკაშვილი	ლოკომოტივი	ს	სპარტაკი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
ოთარ ხიზანეიშვილი	სპარტაკი	შ	ლოკომოტივი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ზურაბ ფოფხაძე	ალანია	ს	როსტსელმაში 0:3	0		5	0	12
თორნიკე რუხაძე	ალანია	ს	როსტსელმაში 0:3	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	12
დავით ხმელიძე	როსტსელმაში	შ	ალანია 3:0	0	სათადარიგო	0	0	10
პირველი ლიგა								
ზვიად ჯელაძე	კრისტალი	შ	ამკარი 0:0	90		9	0	9
	კრისტალი	ს	ლოკომოტივი 0:1	0		9	0	10
თენგიზ სიჭინავა	კრისტალი	შ	ამკარი 0:0	90		11	0	9
	კრისტალი	ს	ლოკომოტივი 0:1	90		12	0	10
თეიმურაზ გადელია	კრისტალი	შ	ამკარი 0:0	66	შეცვალეს	10	1	9
	კრისტალი	ს	ლოკომოტივი 0:1	90		11	1	10
გიზო ჯელაძე	ბალტიკა	ს	მეტალურგი 1:3	0		7	0	17
	ბალტიკა	შ	ნეფტეხიმიკი 2:1	?		?	0	16
იური გაბისკირია	სპარტაკი	შ	ხიმკი 1:0	0		7	0	5
	სპარტაკი	ს	ტომი 1:1	0		7	0	6
თასის ფინალი								
ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი	6	ანჟი 5:4 პენ	75	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	4	1	
ვლადიმერ კაკაშვილი	ლოკომოტივი	6	ანჟი 5:4 პენ	0		0	0	
ლატვია								
უმაღლესი ლიგა								
ალექსანდრე რეხვიაშვილი	სკონტო	ს	რიგა 6:1	0		6	1	1
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	რიგა 6:1	90	1 გოლი	6	1	1
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	რიგა 6:1	0		8	2	1
ლევან კორღალიძე	სკონტო	ს	რიგა 6:1	90		10	3	1
გივი კვარაცხელია	სკონტო	ს	რიგა 6:1	0		3	0	1
თამაზ პერტია	რიგა	შ	სკონტო 1:6	0		0	0	7

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

„მერანი“ „გოლეადორის“ ბაზაზე

მერანის გზა:

მოსკოვიდან ინგლისამდე

ისინი თითქმის სულ მოსკოვში არიან. 1984 წელს დაბადებული ქართველი ბიჭები მოსკოველი ბიზნესმენების ხელშეწყობით ვარჯიშობენ და თამაშობენ. კლუბი „გოლეადორი“, გუნდი „მერანი“... ჩინებული პირობები, მოწესრიგებული კონტრაქტები, ხელფასები და მოვლა-პატრონობა არ აკლიათ.

ბონდო კაკუბავას ბიჭები მოსკოველ თანატოლებთან თამაშობდნენ. ტოლს არ უდებდნენ და ხშირადაც ჯაბნიდნენ იქაურებს. მერე იყო ტურნირი სევასტოპოლში და „მერანის“ ტრიუმფი, დნეპროპოლის გუნდთან დაძაბული ორი ტაიმი და პენალტებში მოპოვებული გამარჯვება.

„მერანი“ ამით არ დაკმაყოფილდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელმა ლევან ყიფიანმა ჩვენებური მოსკოველები ესპანეთში მიავლინა ტურნირზე.

...დაიწყეს კაკუბავას ბიჭებმა. დებიუტი მარცხიანი გამოდგა. გერმანულმა „ფელბახმა“ 2 უპასუხო გოლით მოიგო. „მერანმა“ ჯავრი „ფრაიბურგზე“ იყარა და 9:0 გაიმარჯვა. მერე მათ მასპინძელთა „პინედაც“ მიაყოლა 2:0 და ნახევარფინალში გავიდა.

მეტოქე ისევ გერმანული გუნდი შეხვდა ჩვენებურებს. „ვოგთის“ ძლევა პრობლემა არ ყოფილა. 4:0 ხომ დიდი უპირატესობის მანიშნებელია.

ფინალი და ისევ გერმანელები. პირველ ტურში „მერანის“ გამამწარებელმა „ფელბახმა“ ძირითად დროში გოლის გატანა ვერ მოახერხა. დამატებითში კი ქართველებმა ორჯერ შეარხიეს მეტოქის კარის ბადე და ჩემპიონის კუთვნილი თასიც დაისაკუთრეს.

დასასვენებლად აბა, ვის ეცალა. მეორე ტურნირიც დაიწყო და „მერანმაც“ გერმანულ-დანიურ კლუბებთან ჭიდილში მეოთხედფინალში გააღწია. 2:0 „დერლახთან“, 3:0 „ვოპინგემთან“ და 0:0 „აინტრახტთან“.

ძლევამოსილი სვლა გაგრძელდა. „მერანმა“ მეოთხედფინალში 3:0 „ვირხეიმს“ მოუგო. ნახევარფინალში კი „ფლენსბერგი“ წააქცია 2:0.

ფინალში „მერანისგან“ დაუმარცხებელი „აინტრახტიც“ გავიდა. მეტოქეებმა ვერც ფინალში დააკლეს ერთმანეთს ვერაფერი. თამაში ფრედ, 2:2 დამთავრდა. პენალტებში კი გერმანელებმა იძალეს 5:3. „მერანი“ ფაქტობრივად დაუმარცხებლად მეორეობას დასჯერდა.

ორივე ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ირაკლი მოლებაძე დასახელდა. „მერანის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა 14 გოლი გაიტანა.

სულ მალე ირაკლი და მისი თანაგუნდელები — კუპატაძე, ქობალაკა, რევაზიშვილი, შენგელია, გრიგორიევი, ახალაია, თოლორდავა, ასათიანი, დარსანია, ზურაბიშვილი, ბართაია, კაჭარავა, ბენდელიანი, მაჭავარიანი, ლოლუაშვილი, ოქროცოვიძე და საბაშვილი ინგლისში მიემგზავრებიან. წინ მორიგი ტურნირია.

არც კი ვიცი, კარგია თუ არა, ჩვენი ქართველი ბიჭები მოსკოვში რომ არიან. ალბათ კარგია. ჩინებულ პირობებში ყოფას და ვარჯიშს რა სჯობს. სპონსორებიც თავზე ევლებიან ჩვენებურებს და თუ ეს ახალგაზრდები ქართულ ფეხბურთს სახელს გაუთქვამენ, ხომ მთლად უკეთესი იქნება. მანამდე ვიყოთ ინგლისური ტურნირის მოლოდინში. მწვერვალისკენ სავალი გზა წარმატებით დაიწყო.

გამუკა ძვანტალიანი

ხელმოტეხილი მესხი და ჩაშლილი მეტრეველი

ორშაბათს, 25 ივნისს, „ლოკომოტივის“ ახალაშენებულმა სტადიონმა მესხის თასის ფინალში „მერანი“ — „ავაზას“ მატჩს უმასპინძლა. მერანელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და ორბურთიანი უპირატესობითაც დაწინაურდნენ. მოგვიანებით „ავაზამ“ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა და ანგარიშის გათანაბრებაზე დაიწყო ზრუნვა, თუმცა აქ უკვე ვაიგულშემატკივრები ჩაერივნენ საქმეში, რომლებიც მოედანზე შეიჭრნენ და გვერდით მსაჯ ზურაბ ღოლიძეს სცემეს. ამ „ორთაბრძოლაში“ ხელმოტეხილმა ღოლიძემ, ცხადია, მატჩი ველარ გააგრძელა და თამაშიც ჩაიშალა.

ღმერთმა უწყის, ეს მერამდენე სამარცხვინო შემთხვევაა ქართულ ფეხბურთში. მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს ფაქტი 14-15 წლის ბავშვებმა იხილეს, იმ ბიჭებმა, რომელთაც ქართული ფეხბურთის მომავალი უნდა შექმნან.

ყოველივე ამან გავლენა სლავა მეტრეველის თასის გათამაშების ფინალზეც მოახდინა. ამ ტურნირში ერთი წლით უმცროსი ასაკის (1987 წელს დაბადებულები) გუნდები მონაწილეობდნენ, ფინალის საგზურები თბილისურმა „დერბიმ“ და „ავაზამ“ მოიპოვეს. ფინალური მატჩი გუშინ ეროვნულ სტადიონზე უნდა გამართულიყო, თუმცა ზემოთ აღნიშნული ინციდენტის გამო ეს შეხვედრა არ ჩატარდა. საქმე ისაა, რომ როგორც „დერბის“ მთავარმა მწვრთნელმა გელა გომელაურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, „ავაზა“ მოხსნილია სფფ-ს ეგიდით ჩატარებული ყველა ტურნირიდან.

ბახა ზალამბერიძე



იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი, მე-19-ე კორპუსი, პირველი სართული.

ფასი შეთანხმებით

ტელ:. 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

REUTERS ბუენოს აირესიდან

ამ ქარბუქიან ზამთარში...

ფოტოზე გრძელი რიგი რომ მოჩანს, საბჭოურ ეპოქაში, მაღაზიის წინ გადაღებული არ გეგონოთ. ეს ბუენოს აირესელი მოქალაქეები ლიბერტადორესის თასის საპასუხო ფინალური მატჩის ბილეთების ყიდვას ლამობენ.

ფინალი დღესაა და შუა ზამთარში ბილეთების რიგში მდგარ მომღიმარ გულშემატკივართაგან ახლა ზოგი დაღვრემილია, რადგან ბილეთი არ შეხვდა.

სულ „ბომბონერაზე" 57 395 ადგილია და ყველა ბილეთი ხუთ საათში გაიყიდა. ესე იგი, მხოლოდ მათ შეხვდათ, ვინც სუსხიანი ღამე სალაროებთან გაათენა. რატომ სუსხიანი? რაკი არგენტინა სამხრეთ ნახევარსფეროშია, ადამიანები თავდაყირა არ დადიან, თორემ ზამთარი ნამდვილად არის.

ბილეთები ძვირია, ათიდან ასორმოცდაათ პესომდე. ერთი პესო კი ერთ დოლარს უტოლდება. თუმცა ბნელ სადარბაზოებში საეჭვო იერის ტიპებიც ტრიალებენ, რომლებიც ბილეთს ხუთას დოლარად ყიდიან.

ალბათ თავში უნდა გვეთქვა, მაგრამ რაკი გამოგვრჩა, ახლა აღვნიშნოთ — ლიბერტადორესის თასის ფინალში არგენტინული „ბოკა ხუნიორსი" და მექსიკური „კრუს ასული" ხვდებიან. პირველი მატჩი მეხიკოს განთქმულ „აცტეკაზე" სტუმრებმა 1:0 მოიგეს და ახლა ამბობენ, თასი მფლობელს არ შეიცვლისო. გავიხსენოთ, რომ თასს ამჟამად „ბოკა ხუნიორსი" ფლობს.

გიორგი დარჯანია

ლიბერტადორესის თასის ყველა ფინალი 1960-2000

1960	*პენიაროლი (ურუგვაი)* — ოლიმპია (პარაგვაი)	1:0, 1:1
1961	*პენიაროლი (ურუგვაი)* — პალმეირასი (ბრაზილია)	1:0, 1:1
1962	პენიაროლი (ურუგვაი) — *სანტოსი (ბრაზილია)*	1:2, 3:2, 0:3
1963	*სანტოსი (ბრაზილია)* — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	3:2, 2:1
1964	ნასიონალი (ურუგვაი) — *ინდეპენდიენტე (არგენტინა)*	0:0, 0:1
1965	*ინდეპენდიენტე (არგენტინა)* — პენიაროლი (ურუგვაი)	1:0, 1:3, 4:1
1966	*პენიაროლი (ურუგვაი)* — რივერ პლეიტი (არგენტინა)	2:0, 2:3, 4:2დ.დ. (2:2)
1967	*რასინგი (არგენტინა)* — ნასიონალი (ურუგვაი)	0:0, 0:0, 2:1
1968	*ესტუდიანტესი (არგენტინა)* — პალმეირასი (ბრაზილია)	2:1, 1:3, 2:0
1969	ნასიონალი (ურუგვაი) — *ესტუდიანტესი (არგენტინა)*	0:1, 0:2
1970	*ესტუდიანტესი (არგენტინა)* — პენიაროლი (ურუგვაი)	1:0, 0:0
1971	ესტუდიანტესი (არგენტინა) — *ნასიონალი (ურუგვაი)*	1:0, 0:1, 0:2
1972	უნივერსიტარიო (პერუ) — *ინდეპენდიენტე (არგენტინა)*	0:0, 1:2
1973	*ინდეპენდიენტე (არგენტინა)* — კოლო კოლო (ჩილე)	1:1, 0:0, 2:1დ.დ. (1:1)
1974	სან პაულუ (ბრაზილია) — *ინდეპენდიენტე (არგენტინა)*	2:1, 0:2, 0:1
1975	უნიონ ესპანიოლა (ჩილე) — *ინდეპენდიენტე (არგენტინა)*	1:0, 1:3, 0:2
1976	*კრუზეირო (ბრაზილია)* — რივერ პლეიტი (არგენტინა)	4:1, 1:2, 3:2
1977	*ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)* — კრუზეირო (ბრაზილია)	1:0, 0:1, 0:0 (პენ. 5:4)
1978	დეპორტივო კალი (კოლუმბია) — *ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)*	0:0, 0:4
1979	*ოლიმპია (პარაგვაი)* — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	2:0, 0:0
1980	ინტერნასიონალი (ბრაზილია) — *ნასიონალი (ურუგვაი)*	0:0, 0:1
1981	*ფლამენგო (ბრაზილია)* — კობრელოა (ჩილე)	2:1, 0:1, 2:0
1982	*პენიაროლი (ურუგვაი)* — კობრელოა (ჩილე)	0:0, 1:0
1983	პენიაროლი (ურუგვაი) — *გრემიო (ბრაზილია)*	1:1, 1:2
1984	გრემიო (ბრაზილია) — *ინდეპენდიენტე (არგენტინა)*	0:1, 0:0
1985	*არგ. ხუნიორსი (არგენტინა)* — ამერიკა (კოლუმბია)	1:0, 0:1, 1:1(პენ. 5:4)
1986	ამერიკა (კოლუმბია) — *რივერ პლეიტი (არგენტინა)*	1:2, 0:1
1987	ამერიკა (კოლუმბია) — *პენიაროლი (ურუგვაი)*	2:0, 1:2, 0:1დ.დ. (0:0)
1988	ნიუელს ოლდ ბოიზი (არგენტინა) — *ნასიონალი (ურუგვაი)*	1:0, 0:3
1989	ოლიმპია (პარაგვაი) — *ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია)*	2:0, 0:2 (პენ. 4:5)
1990	*ოლიმპია (პარაგვაი)* — ბარსელონა (ეკვადორი)	2:0, 1:1
1991	ოლიმპია (პარაგვაი) — *კოლო კოლო (ჩილე)*	0:0, 0:3
1992	ნიუელს ოლდ ბოიზი (არგენტინა) — *სან პაულუ (ბრაზილია)*	1:0, 0:1 (პენ. 2:3)
1993	*სან პაულუ (ბრაზილია)* — უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)	5:1, 0:2
1994	*ველეს სარსფილდი (არგენტინა)* — სან პაულუ (ბრაზილია)	1:0, 0:1 (პენ. 5:3)
1995	*გრემიო (ბრაზილია)* — ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია)	3:1, 1:1
1996	ამერიკა (კოლუმბია) — *რივერ პლეიტი (არგენტინა)*	1:0, 0:2
1997	სპორტინგ კრისტალი (პერუ) — *კრუზეირო (ბრაზილია)*	0:0, 0:1
1998	*ვასკუ და გამა (ბრაზილია)* — ბარსელონა (ეკვადორი)	2:0, 2:1
1999	დეპორტივო კალი (კოლუმბია) — *პალმეირასი (ბრაზილია)*	1:0, 1:2 (პენ. 3:4)
2000	*ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)* — პალმეირასი (ბრაზილია)	2:2, 0:0 (პენ. 4:2)

ლიტვა

მე-18 ტური: ინკარასი — ვეტრა 2:0; გელეჟინისი — კაუნასი 1:3; დაინავა — ჟალგირისი 0:4; ნევეჟისი — ატლანტასი 1:2

კაუნასი	18	14	3	1	43:6	45
ატლანტასი	17	13	2	2	36:14	41
ჟალგირისი	18	11	4	3	32:17	37
ეკრანასი	17	7	5	5	26:16	26
ინკარასი	18	6	5	7	22:20	23
ნევეჟისი	18	5	6	7	14:21	21
გელეჟინისი	18	5	3	9	20:23	18
საკალასი	18	4	5	9	17:30	17
ვეტრა	18	3	3	12	15:37	12
დაინავა	18	2	2	14	15:56	8

ბელარუსი

მე-10 ტური: დნეპრტრანსმაში — ბატე 2:3; სლავია — ნემანი 0:1; მოლოდეჩნო — ბელშინა 0:0; შახტიორი — ტორპედო მაზი 1:1; დინამო (ბრესტი) — ნაფტან დევონი 2:0; გომელი — ვედრიკი 0:0; დინამო (მინსკი) — ლოკომოტივი 96 გადადიდო

ბატე	10	8	2	0	25:10	26
ბელშინა	10	6	2	2	15:6	20
ნემანი	10	5	4	1	18:6	19
შახტიორი	10	5	4	1	16:9	19
გომელი	10	5	2	3	10:7	17
დინამო (მინსკი)	9	5	1	3	18:10	16
სლავია	10	4	2	4	16:10	14
დნეპრტრანსმაში	10	4	1	5	13:15	13
ტორპედო მაზი	10	3	3	4	9:13	12
მოლოდეჩნო	10	3	3	4	6:11	12
დინამო (ბრესტი)	10	3	1	6	7:15	10
ვედრიკი	10	2	1	7	7:19	7
ლოკომოტივი 96	9	2	1	6	5:18	7
ნაფტან დევონი	10	0	1	9	3:19	1

მერდეკას თასი

A ჯგუფი. III ტური

ბაჰრეინი 2:0 სლოვაკეთი

1:0, 2:0 ჯამალი (35, 66)

მალაიზია 2:2 ბოსნია

0:1 აბმადი (48ს.კ.), 1:1 სუპარმანი (70), 1:2 მესანოვიჩი (74), 2:2 შაჰრულ აფარი (83)

საბოლოო ცხრილი

ბოსნია	3	2	1	0	4:2	7
ბაჰრეინი	3	2	0	1	6:3	6
სლოვაკეთი	3	1	0	2	2:3	3
მალაიზია	3	0	1	2	4:8	1

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

ემანუელამ ნორვეგიელი ქალები ვერ დააკმაყოფილა

B ჯგუფი. I ტური

იტალია 2:1 დანია

1:0, 2:0 პატრიცია პანიკო (12, 72), 2:1 ჟული რიდალ ბუკი (74)

ნორვეგია 3:0 საფრანგეთი

1:0 მონიკა კნუდსენი (14), 2:0 ემანუელა სიკორა (18ს.კ.), 3:0 დაგნი მელგრენი (40)

გუნდი 3:0 რომ მოიგებს, მწვრთნელს სასაყვედურო არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ქალთა ფეხბურთს რას გაუგებ. აი, რა თქვა ნორვეგიელთა მწვრთნელმა ააგე სტინმა: „პირველი მატჩის მოგება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი მიზნის მისაღწევად ისეთი თამაში, როგორიც დღეს ვაჩვენეთ, საკმარისი არაა. მიზანი ჩემპიონობაა და თუ არ მოვუმატეთ, გერმანიის დამარცხება გაგვიჭირდება. აქედან გამომდინარე, მთლიანობაში უკმაყოფილო ვარ".

აღვნიშნოთ, რომ ნორვეგია და გერმანია თავიანთი ჯგუფების ფავორიტებად ითვლებიან და სავარაუდოდ, ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

ფრანგთა თავჯალმა ელიზაბეტ ლუაზელმა ფრანგი ქალის მოხდენილობით შეაფასა ნორვეგიელებთან მარცხი: „მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო და შედეგიც სამართლიანია. ნორვეგიელებს გამარჯვებას ვულოცავ, თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ, რაკი მეორე ტაიმში ღირსეულად ვითამაშეთ".

ნორვეგიელებმა პირველივე ტაიმში მოთავეს საქმე. მონიკა კნუდსენსა და დაგნი მელგრენს ფრანგი ემანუელა სიკორაც წაეხმარა, ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ააგე სტინი მაინც უკმაყოფილო დარჩა.

საქმე ის გახლავთ, რომ მეორე ტაიმში მწვრთნელს გოგოებისთვის დავალება მიუცია, ბურთი მოედნის ცენტრში შეინარჩუნეთ, თამაში მოგებული გვაქვს და ვნახოთ, ეს როგორ გამოგვივაო. ნორვეგიელებს ეს დავალება ვერ შეუსრულებიათ, გრძელი პასებით ლამობდნენ ფონს გასვლას და მწვრთნელის წყრომაც ამიტომ დაიმსახურეს.

უნდა ითქვას, რომ სკანდინავიელთა მეკარე ბენტე ნორდბიმ მეასე სანაკრებო მატჩი გამართა და ფრიად კმაყოფილიც დარჩა, გოლი რომ არ გაუშვა. იგივეს ვერ ვიტყვით ფრანგ სტეფანი მუნერეზე. მას იუბილე არ ჰქონია, მაგრამ მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადასცეს. სტეფანიმაც, ამოიოხრა, ძალიან კი გამეხარდა, მაგრამ სიამოვნებით გავცვლიდი ჯილდოს სამ ქულაშიო.

რაღაც დაუკმაყოფილებლობა შეეჟარათ ფეხბურთელ ქალებს. ნორვეგიელებისა არ იყოს, იტალიელთა მწვრთნელი კაროლინა მორაჩეც ჩიოდა, შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშით — არაო. მიზეზი კი აი, რაა. მორაჩეს თქმით, პირველი გოლის მერე „სკუადრა აძურა" ჩაკეტილ თამაშზე უნდა გადასულიყო, რაც ვერ მოახერხა.

თუმცა დანიელებმა ევროპის ვიცეჩემპიონებს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. მათმა მწვრთნელმა პოლ ჰიომსმა თქვა, იმედგაცრუებული ვარ, რადგან ჩვენს გოგონებს უკეთესად შეუძლიათ თამაში. თუმცა, ჩვენი მთავარი მიზანი 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებაა.

საინტერესოა, როგორ ხასიათზე დადგება პატივცემული მწვრთნელი, ამ ჩემპიონატის მერე გოგოები რომ გაუთხოვდეს და მსოფლიოს პირველობისთვის ახალი გუნდის შექმნა მოუხდეს.

ფრანგთა კაპიტან კორინ დეფორეს ნორვეგიელებთან წაგება ეწყინა და ეტკინა

გიორგი დარჯანია

ნორვეგია	1	1	0	0	3:0	3
იტალია	1	1	0	0	2:1	3
დანია	1	0	0	1	1:2	0
საფრანგეთი	1	0	0	1	0:3	0

II ტური, 28 ივნისი: საფრანგეთი — დანია; ნორვეგია — იტალია

III ტური, 1 ივლისი: დანია — ნორვეგია; საფრანგეთი — იტალია

ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ჭაბუკური სიდინჯე და სულსწრაფი სელექციონერი

ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატს თექვსმეტი გუნდი შემორჩა. დღეს და ხვალ ისინი მერვედფინალურ შეხვედრებს გამართავენ. ასე რომ, დაძაბულობა ამ ეტაპიდან ერთი-ორად მატულობს.

არგენტინაში საკმაოდ ბევრი სელექციონერი ჩავიდა, რომლებიც ჭაბუკ ფეხბურთელებს ჯერ მხოლოდ აკვირდებიან, ხოლო ტალანტის აღმოჩენისთანავე საკუთარი გუნდისთვის დაიბევენ. სელექციონერებს საქმე მართლაც თავზე საყრელად აქვთ. პლეი ოფი რთულ გამოცდას მოუწყობს ჭაბუკ ფეხბურთელებს, რაც სკაუტთა ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს.

მსოფლიოს ჩემპიონატებს თუ გადავავლებთ თვალს, როგორც წესი, პლეი ოფში ის გუნდები თამაშობენ კარგად, რომლებიც მიზანმიმართულად ანაწილებენ ძალებს და პიკს გადამწყვეტი თამაშის წინ აღწევენ. ყველა მწვრთნელი ცდილობს, ჯგუფურ ეტაპზე მომავალ მეტოქეს თამაში დაუძალოს და მხოლოდ მომდევნო წრეში გასვლისთვის აუცილებელ ქულებს დასჯერდეს.

საქმისადმი ამგვარი პრაქტიკული მიდგომისას ხშირად ის გუნდები, რომლებიც ბრწყინვალედ გამოდიან ჯგუფურ ეტაპზე, პლეი ოფის პირველივე მატჩს აგებენ, ხოლო ის გუნდები, რომელთაც თითქოსდა თავი ვერაფრით გამოიჩინეს, ფინალშიც კი გასულან.

არგენტინაში მიმდინარე ჩემპიონატის მერვედფინალში ვინ რა სიურპრიზს შეგოგავაზებს, ძნელი სათქმელია. სწორედ ამიტომაც ერთგვარად პარადოქსულია ესპანეთის „ვალენსიას" სელექციონერის მიგელ ანხელ ბოსიოს განცხადება: „ესპანეთში დაბრუნებას ვაპირებ, უნდა ვთქვა, რომ ჩემპიონატმა იმედები გამიცრუა, უფრო ბევრს ველოდი. მოედანზე ისეთი ფეხბურთელი არ შემინიშნავს, რომელთანაც კონტრაქტის დაუყოვნებლად გაფორმებაზე ფიქრი ღირდეს, თუმცაღა, რამდენიმე მოთამაშის გვარი ჩანიშნული მაქვს, დავაკვირდებით, თავს როგორ გამოიჩენენ მომავალში. ვნახე ყველა მატჩი ბრაზილიის, გერმანიის, კანადისა და ერაყის მონაწილეობით. მომეწონა რამდენიმე ბრაზილიელი, თუმცა, დასკვნის გამოტანისაგან თავს შევიკავებ".

თუმცა, მრავალი სახელოვანი გუნდის სელექციონერი სხვაგვარად ფიქრობს — მოომინებით ელის იმ გუნდების თამაშს, რომელთაც ჭაბუკთათვის უჩვეულო სიდინჯე გამოიჩინეს და გადამწყვეტი შეხვედრების წინ ძალები დაზოგეს.

ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას ექვსექვსი გატანილი გოლით სათავეში უდგანან არგენტინელი ხავიერ სავიოლა და ბრაზილიელი რობერტი, კოსტარიკელი პარექსი მთ ერთი გოლით ჩამორჩება.

უხვგოლიანობით ასევე არგენტინელები (14) და ბრაზილიელები (10) გამოირჩევიან.

დაცვაში დამაჯერებლად თამაშობენ ბრაზილიელები, ჩინელები და განელები, რომელთაც მხოლოდ თითო გოლი გაუშვეს.

არგენტინელები საუკეთესო მაჩვენებლებთან ერთად ჯენტლმენობითაც მოიწონებენ თავს — ისინი ფეირ პლეის პრიზის მოპოვების რეალური კანდიდატები არიან.

ასე რომ, ყველაფერი ახლა იწყება. ბოსიო კი ესპანეთისკენ გარბის — ალბათ,სანახავი იქ უფრო ეგულება. ვნახოთ, რამდენად გამართლდება მისი ინტუიცია და სანანებლად ხომ არ გაუხდება საკუთარი სულსწრაფობა?!

გამუცა ნაცვალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

ჩემპიონატის მიმოხილვა

პაპუნა ძედია

სამხრეთი ჩრდილოეთის ჩრდილში

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ... ეს ფრაზა ძალიან გავრცელებულია. მას წარამარა ვაწყდებით ამა თუ იმ წერილის, აბზაცის, თავის, ქვეთავის, ნაწილის და ვინ იცის კიდევ რის დასაწყისში. ჩვენც ასე გვინდა დაწყება, თუმცა, ცხადია, ყველაფერი იმით ნამდვილად არ დაწყებულა, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ყველაფერი ძალიან ბევრგან და სხვადასხვა დროს დაიწყო. მაგალითად, 64 წლის წინ, როდესაც იტალიის დედაქალაქში დაარსდა საფეხბურთო კლუბი „რომა“ ან 24 წლის წინ, როდესაც ქვეყნიერებას ფრანჩესკო ტოტი მოევლინა და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც 1999 წლის ზაფხულში იტალიური ფეხბურთის საკმაოდ საშუალო წარმომადგენლის, „რომას“ სათავეში ფაბიო კაპელო მივიდა — ცნობილზე ცნობილი მწვრთნელი, „მილანში“ მუშაობისას სკუდეტოს ოთხგზისა და ერთხელ ჩემპიონთა თასის მომგები „რეალში“ ერთწლიანი მოღვაწეობის კი ესპანური ტიტულის მფლობელი. მივიდა და, ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში განაცხადა, ამ სეზონში ოთხეულში შესასვლელად ვიბრძოლებთ, მომავალში კი ჩემპიონები გავხდებითო.

და გახდა! თუმცა, პირველ სეზონში ორი ადგილით შეცდა — „რომა“ მეექვსეზე გავიდა.

იმ, ეგრეთ წოდებულ პირველ სეზონში რომაელებმა კლანჭები გამოაჩინეს, მაგრამ თავიდან ბოლომდე უმაღლესი დონის შენარჩუნება ვერ შეძლეს. შეუთანხმებელი თვალითაც ჩანდა, რომ „რომა“ „გარდატეხის ასაკში“ იყო. ის ნელ-ნელა და დაჟინებით იძენდა კაპელოს გუნდებისთვის დამახასიათებელ თვისებებს: შეუპოვრობას, ტაქტიკურ დახვეწილობას, უკიდურესად სწრაფად თამაშის უნარს... იმავე ინტერვიუში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, კაპელო ფრანჩესკო ტოტის არც მეტი, არც ნაკლები, გენიოსად იხსენიებდა და აცხადებდა, რომ ეს ფეხბურთელი მის გუნდში განსაკუთრებულ როლს შეასრულებდა. და იმ, პირველი სეზონის განმავლობაში ტოტი მართლაც იზრდებოდა, ხოლო ახალი მწვრთნელის შემოღებულ სისტემაში მისი როლი და შესაძლებლობები საგანგებო ხდებოდა.

თუმცა, „რომას“ დღევანდელ „რომად“ ჩამოყალიბებაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას: ზუსტად ერთი წლის წინ ფაბიო კაპელომ „ფიორენტინადან“ არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა გადაიყვანა და განაცხადა, ჩვენს გუნდში ადგილი არავის აქვს დაჯავშნული ერთადერთი კაცის, ბატისტუტას გარდა, რადგან ის, თუნდაც ცუდ ფორმაში, მეტოქეს თავზარს სცემსო.

და საბოლოოდ კაპელოს იდეებით გაჯერებულმა „რომამ“ „სკუდეტო“ მოიგო. გუნდი საოცარი დაჟინებით და შეუპოვრობით დაადგა ახლახან დასრულებული პირველობის გზას, რომელიც ფეხის დაუცდენლად გაიარა. არადა, ამ გზამ, რომელსაც იტალიის ჩემპიონატი ჰქვია, შედავათი და ამოსუნთქვა არ იცის.

თავად განსაჯეთ, „იუვენტუსმა“ 73 ქულა დააგროვა, რაც, თუკი სერია A-ს გასული წლების საბოლოო ცხრილებს ჩავხედავთ, ფაქტობრივად, უეჭველი ჩემპიონობის მაუწყებელია, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. „იუვენტუსმა“, როგორც უმაღლესი რანგის გუნდმა ყველაფერი სწორად გააკეთა, „რომამ“ კი სწორად გაკეთებაზე მეტი მოახერხა. მან პირველ ოქტომბერს ჩაისუნთქა და მხოლოდ 17 ივნისს ამოისუნთქა.

სხვათა შორის, ჩვენი აზრით, ჩემპიონატის ყველაზე მნიშვნელოვანი, საბედისწერო წერტილი 29 აპრილსა და 6 მაისს შორის ერთკვირიანი შუალედი ანუ 28-ე და 29-ე ტურები გახლდათ. ამ ორ ტურში ისედაც მრავალგამოცდაჩაბარებულმა „რომამ“, გამოცდათა გამოცდა დაიჭირა, ჯერ „ლაციოს“ შეხვდა, შემდეგ კი „იუვენტუსს“. ორივე თამაში 2:2 დასრულდა, ოღონდ პირველში „რომა“ 2:0-ს იგებდა და უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო, მეორეში კი 0:2-ს აგებდა და გათანაბრება მოახერხა. ამ ამბის მერე, ყველა ყველაფერს ხვდებოდა. ყველაფერს ხვდებოდა „იუვენტუსიც“, რომელმაც ყველა დარჩენილი თამაში მოიგო, მაგრამ „სკუდეტოს“ ვერ შეწვდა.

თუ გახსოვთ, „იუვენტუსი“ ვერც წინა სეზონში შეწვდა სკუდეტოს, თუმცა მაშინაც ქულათა გვარიანი რაოდენობა, 70 დააგროვა, შარშან ტურინელებმა ჩემპიონობა ბოლო ტურში დაკარგეს და ზედიზედ ორჯერ მეორეობა მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის თანამდებობად დაუჯდა.

რა იყო ეს, ანჩელოტის ცუდი იღბალი თუ სხვა რამ? იღბლისა ნათელმხილველებს ვკითხოთ, სხვა რამ კი შეიძლება ის იყოს, რომ ბოლო ორი სეზონია იტალიის ჩემპიონი რომაული გუნდი ხდება, ანუ უჩვეულო ფაქტის მოწმენი გავხდით, „სკუტედო“ არც მილანში მიდის და არც ტურინში. აქედან ერთი შესაძლო დასკვნა: დედაქალაქის მოძლიერებულ გუნდებს, „ლაციოსა“ და „რომას“, გათვლილ-დახვეწილი, საჭირო დონეზე მონდომებული და აგრესიული მეტოქეები იმიტომ ჩამორჩებიან, რომ ისინი წარამარა ისედაც ჩემპიონები გახლავან, რომაელები კი ტიტულს მეტისმეტად დახარბებულნი ბრძანდებოდნენ.

გავიხსენოთ „იუვენტუსი“, რომელიც ანჩელოტის ხელში მართლაცდა დახვეწილ მანქანად იქცა. გარედან დარწმუნებით როგორ მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი აზრით, ტურინელთა მოქმედებებში ყველაფერი ნორმების და ნორმატივების მიხედვითაა: კეთდება იმდენი პასი, გარღვევა და გადაადგილება, რამდენიც უნდა კეთდებოდეს, აქედან იკარგება და უშედეგოა იმდენი, რამდენიც გამოთვლების თანახმად დასაშვებადაა მიჩნეული და ასე შემდეგ. ყოველივე ეს კი ორი სეზონია მეორე ადგილზე გასვლით მთავრდება.

ჩვენი წერილის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს „სკუდეტოს“ ბრძოლაში „რომას“ კონკურენტად „ლაციოს“ არ აღვიქვამდით. ნაწილობრივ, ალბათ, ასეცაა. მართალია ექსჩემპიონებს ჩემპიონობის თეორიული ანუ, როგორც უცხოელი ჟურნალისტები ამბობენ, მათემატიკური შანსი ბოლო ტურამდე ჰქონდა. ის, სეზონის განმავლობაში ნომერ მეორე მდევრად ჩამოყალიბდა და თან იანვარში მწვრთნელი გამოიცვალა — სვენ გორან ერიკსონი გაუშვა, მისი ადგილი კი დინო ძოფს ჩააბარა.

ერიკსონის ხელში ანუ ჩემპიონატის პირველ ნახევარში, „ლაციომ“ ქულებიც გვარიანად დაკარგა, ხოლო ძოფის მისვლის შემდეგ ზედიზედ მოპოვებულმა გამარჯვებებმა ჩემპიონობის „მათემატიკური შანსიღა“ მოუტანა.

ფაბიო კაპელო

მეოთხეზე გასულმა „პარმამ“ მთელი სეზონი, განსაკუთრებით მეორე ნახევარი, ამ ადგილის შესაბამისად გალია. მეხუთესა და მეექვსეზე კი მილანური გუნდები, „ინტერი“ და „მილანი“ გავიდნენ.

მილანურ გუნდებს გასულ ჩემპიონატში საერთო მწვრთნელთა ცვლა და არასტაბილური თამაში ჰქონდათ. „ინტერმა“ შემოდგომაზევე გაუშვა მარჩელო ლიპი, რომლის ნაცვლად მოყვანილი მარკო ტარდელიც, ფაქტობრივად, დროებითი კაცი აღმოჩნდა — მომავალი სეზონიდან მას ეკტორ რაულ კუპერი შეცვლის. „მილანმა“, ზამთრის მეორე ნახევარში, ალბერტო ზაკერონი გაანთავისუფლა თანამდებობიდან, რომლის ნაცვლად მოყვანილი ჩეზარე მალდინი იმთავითვე დროებით მწვრთნელად იყო გაფორმებული და ახლა, მომავალი სეზონიდან გუნდს ფათიჰ თერიმი გაუძღვება.

საბოლოოდ, „მილანიცა“ და „ინტერიც“ უეფას თასზე მოხვდნენ, თუმცა ერთმანეთისთვის ნიშნის მოსაგებად მაინც დაგროვეს რაღაც-რაღაცეები: უპირველესად ნიშნს „მილანი“ მოუგებს, რადგან 13 მაისს, 30-ე ტურში, დერბიში 6:0 დაამარცხა საძულველი მეზობელი, რომელსაც იმის თქმა თუ შეუძლია, რომ ბოლოს მაინც უფრო წინ, მეხუთე ადგილზე დარჩა.

ცხრილში უფრო ქვევით ჩაყოლასა და ანალიზს კი, ვფიქრობთ, აზრი არ აქვს. სხვა თუ არაფერი, ეს მაინცდამაინც საინტერესო არც უნდა იყოს, თუმცა წერილის ბოლოს აუცილებლად გვინდა შევჩერდეთ ერთ ფრიად საინტერესო დეტალზე: მომავალ სეზონში, სერია A-ში, საშრეთ იტალიის ერთი გუნდიღა იქნება. ლეჩეს ზევით საფეხბურთო იტალიის უკიდურეს სამხრეთად დარჩა დედაქალაქი რომი, რაც ჩვენი ვარაუდით, კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ თანამედროვე ფეხბურთში სიძლიერეს ეკონომიკა განაპირობებს. ფაქტია: იტალიაში ჩრდილოეთი გაკილებით მდიდარი და განვითარებულია, ვიდრე სამხრეთი.

პაპუნა ძედია



„რომის“ ლიდერები ფრანჩესკო ტოტი და გაბრიელ ბატისტუტა

№ გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1 რომა	XX	0:0	2:2	3:1	3:2	1:1	1:0	3:1	1:0	2:0	2:2	2:1	1:0	2:1	3:1	3:1	3:0	1:1	34	22	9	3	68:33	75
2 იუვენტუსი	2:2	XX	1:1	1:0	3:1	3:0	2:1	1:1	3:3	1:0	1:0	1:2	1:1	1:0	2:1	4:0	3:0	2:0	34	21	10	3	61:27	73
3 ლაციო	0:1	4:1	XX	1:0	2:0	1:1	0:0	2:1	3:0	2:0	3:0	3:1	3:2	2:0	5:3	2:1	1:2	2:0	34	21	6	7	65:36	69
4 პარმა	1:2	0:0	2:0	XX	3:1	2:0	2:0	3:0	2:2	0:0	5:0	2:0	1:1	0:2	1:2	0:2	4:0	4:0	34	16	8	10	51:31	56
5 ინტერი	2:0	2:2	1:1	1:1	XX	0:6	3:0	0:0	4:2	2:1	2:1	2:1	0:1	1:1	2:0	1:1	3:1	1:0	34	14	9	11	47:47	51
6 მილანი	3:2	2:2	1:0	2:2	2:2	XX	3:3	1:1	1:2	3:3	1:2	3:0	4:1	1:0	1:0	2:0	1:0	4:0	34	12	13	9	56:46	49
7 ატალანტა	0:2	2:1	2:2	0:1	0:1	1:1	XX	2:0	0:0	2:2	0:0	0:1	1:0	1:1	3:0	1:1	1:1	0:0	34	10	14	10	38:34	44
8 ბრეშა	2:4	0:0	0:1	0:0	1:0	1:1	0:3	XX	1:1	0:0	1:0	3:1	2:2	4:0	1:0	2:1	1:1	3:1	34	10	14	10	44:42	44
9 ფიორენტინა	3:1	1:3	1:4	0:1	2:0	4:0	1:1	2:2	XX	1:1	3:4	2:1	2:0	2:1	2:0	3:2	1:2	2:2	34	10	13	11	53:52	43
10 ბოლონია	1:2	1:4	2:0	2:1	0:3	2:1	0:1	1:0	1:1	XX	3:2	1:1	2:2	2:0	1:0	1:1	2:1	4:2	34	11	10	13	49:53	43
11 პერუჯა	0:0	0:1	0:1	3:1	2:3	2:1	2:2	2:2	2:2	1:3	XX	3:1	1:1	1:1	1:0	1:0	1:1	4:1	34	10	12	12	49:53	42
12 უდინეზე	1:3	0:2	3:4	1:3	3:0	0:1	2:4	4:2	1:3	3:1	3:3	XX	2:0	3:0	2:1	2:3	0:0	2:0	34	11	5	18	49:59	38
13 ლეჩე	0:4	1:4	2:1	1:2	1:2	3:3	0:2	0:3	1:1	0:0	2:2	2:1	XX	2:1	4:2	3:1	1:1	2:0	34	8	13	13	40:54	37
14 რეჯინა	0:0	0:2	0:2	2:0	2:1	2:1	1:0	0:3	1:1	2:1	0:2	1:1	0:1	XX	1:1	1:0	3:1	1:0	34	10	7	17	32:49	37
15 ვერონა	1:4	0:1	2:0	0:2	2:2	1:1	2:1	2:1	2:1	5:4	2:1	1:1	0:0	0:3	XX	1:0	2:1	3:2	34	10	7	17	40:59	37
16 ვიჩენცა	0:2	0:3	1:4	0:1	0:0	2:0	1:2	1:1	1:1	4:2	1:0	1:2	0:0	2:1	2:2	XX	2:0	1:0	34	9	9	16	37:51	36
17 ნაპოლი	2:2	1:2	2:4	2:2	1:0	0:0	0:0	1:1	1:0	1:5	0:0	0:1	1:1	6:2	2:0	1:2	XX	1:0	34	8	12	14	35:51	36
18 ბარი	1:4	0:1	1:2	0:1	1:2	1:3	0:2	1:3	2:1	2:0	3:4	2:1	3:2	2:1	1:1	2:2	0:1	XX	34	5	5	24	31:68	20

სერია A-ს მეგოლეები
(გოლი/პენალტით)

ერნან კრესპო	ლაციო	26/2
ანდრეა შევჩენკო	მილანი	24/6
ენრიკო კიეზა	ფიორენტინა	22/3
გაბრიელ ბატისტუტა	რომა	20/1
კრისტიან ვიერი	ინტერი	18/4
დარიო უბნერი	ბრეშა	17/6
მარკო დი ვაიო	პარმა	15/0
რობერტო სოზა	უდინეზე	15/0
ჯუზეპე სინიორი	ბოლონია	15/2
ვინჩენცო მონტელა	რომა	14/0
დავიდ ტრეზეგე	იუვენტუსი	14/0
ფრანჩესკო ტოტი	რომა	13/4
კრისტიანო ლუკარელი	ლეჩე	12/4
მარკო მატერაცი	პერუჯა	12/7
ფილიპო ინძაგი	იუვენტუსი	11/1
დავორ ვუგრინეცი	ლეჩე	11/3
ნიკოლა ვენტოლა	ატალანტა	10/0
ნიკოლა ამორუზო	ნაპოლი	10/2
რობერტო ბაჯო	ბრეშა	10/3

იტალიური ბუღალტერია

2000-01 სეზონში სერია A-ში 845 გოლი გაკეთდა. აქედან მასპინძლებმა 480, სტუმრებმა 365 ბურთი გაიტანეს. ფეხბურთელებმა ოცჯერ შარხიეს საკუთარი კარის ბადე. წინა სეზონთან შედარებით კი 81 გოლით მეტი გაკეთდა.

★ ★ ★

ყველაზე დიდი ანგარიშით „მილანი“ — „ინტერის“ მატჩი დასრულდა. კახა კალაძის გუნდმა თანაქალაქელები 6:0 გაანადგურა. ყველაზე უხვგოლიანი კი „ვერონა“ — „ბოლონიის“ შეხვედრა გამოდგა, ამ მატჩში 9 ბურთი გაკეთდა და „ვერონამ“ მეტოქე 5:4 დაამარცხა. 21 მატჩში კი გუნდებმა უგოლოდ დატოვეს მოედანი.

★ ★ ★

26 გოლით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი პირველად გახდა „ლაციოს“ არგენტინელი ერნან კრესპო. უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ შარშანდელივით 24 გოლი მითვალა.

★ ★ ★

306 მატჩში მასპინძლებმა 143-ჯერ მოიგეს, 88-ჯერ ფრედ ითამაშეს და 75-ჯერ დამარცხდნენ. წინა სეზონთან შედარებით სტუმრებმა თერთმეტით მეტ შეხვედრაში იმარჯვეს.

★ ★ ★

შინ ყველაზე შედეგიანად „რომამ“ და „ლაციომ“ ითამაშეს — 41-41 ქულა დააგროვეს. სტუმრად კი ყველაზე უკეთ „იუვენტუსი“ გაისარჯა — 35 ქულა. გამოსარჩევია „რომას“ ერთი მიღწევაც. ფაბიო კაპელოს გუნდი საკუთარ კედლებში არ დამარცხებულა — საშინაო 17 მატჩში 12 მოგება და 5 ფრე.

★ ★ ★

ერთადერთი გუნდი, რომელსაც სტუმრად ვერ მოუგია, „პარიაა“. სერია A-ს მაჩანჩალა ყველაზე მეტჯერ, 24-ჯერ დამარცხდა, 10-ჯერ შინ და 14-ჯერ სტუმრად.

★ ★ ★

გასულ სეზონში ფეხბურთელებმა 122 პენალტი დაარტყეს და აქედან 95 გაიტანეს. თერთმეტი მეტრიდან შვიდ-შვიდჯერ იხეირეს პერუჯელმა მატერაცმ და ბარელმა ანდერსონმა. ექვსჯერ — მილანელმა შევჩენკომ, ბრეშელმა უბერმა და უდინელმა ფიორემ.

★ ★ ★

ყველაზე მეტი, 11 პენალტი მსაჯებმა „ბარის“ და „ბრეშას“ სასარგებლოდ დანიშნეს. გუნდებმა თერთმეტიდან ცხრაჯერ იხეირეს. მხოლოდ ორჯერ უწყალობეს არბიტრებმა თერთმეტმეტრიანი „რეჯინას“ და რეჯინელებმა ოდენ ერთი გაიტანეს.

★ ★ ★

ყველა პენალტი მხოლოდ სამმა გუნდმა გამოიყენა: „უდინეზემ“ შვიდიდან შვიდი, „მილანმა“ ექვსიდან ექვსი (ექვსივე ანდრეი შევჩენკომ გაიტანა) და „ვიჩენცამ“ სამიდან სამი.

★ ★ ★

მსაჯებმა წითელი ბარათი 96-ჯერ ააფრიალეს, რაც წინა სეზონთან შედარებით თექვსმეტით ნაკლებია. სამაგიეროდ, ვერონელმა აპოლონიმ ხუთი გაძევებით გამოიჩინა თავი.

★ ★ ★

სერია A-ს მატჩებს 9 012 688 მაყურებელი დაესწრო. ყველაზე მეტი გულშემატკივარი „რომას“ ჰყავდა — „სტადიო ოლიმპიკოზე“ კაპელოს შეგირდების საცქერლად 1 091 896 ქომაგი მივიდა. ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი 39 პროცენტით გაიზარდა.

★ ★ ★

პროცენტული მაჩვენებლით ყველაზე შთამბეჭდავი პროგრესი სერია B-დან შარშან სერია A-ში აღზევებულ „ბრეშას“ აქვს. საშინაო მატჩებში მაყურებელთა რაოდენობა 134,4, ხოლო ბილეთების და აბონემენტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი 227,9 პროცენტით გაიზარდა. ეს არცაა გასაკვირი, რობერტო ბაჯოს თამაშის ცქერა, მართლაც ერთი სიამოვნებაა.

კუპერი, ინტერი და ინტერნეტი

ზედიზედ სამ ევროფინალში დამარცხებული არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი, მოგეხსენებათ, მილანის „ინტერის“ მწვრთნელი გახდა და იქ პირველი მარცხი ფეხბურთელთა ბაზარზე იწვნია: კუპერს თავისი ყოფილი გუნდისთვის, „ვალენსიასთვის“, კარგა ხნის დაშავებული ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის, რონალდოს მიჩენება სურდა, რათა სანაცვლოდ მეკარე სანტიაგო კანისარესი, რუბენ ბარახა და კილი გონსალესი გამოერთმია.

„ვალენსიას“ პრეზიდენტმა, პედრო კორტესმა განაცხადა: „ჩვენ მართლაც მივიღეთ ასეთი წინადადება, მაგრამ ვინ მეტყვის, რა მოხდება იმ შემთხვევაში, ჩვენ თუ რონალდოს ვიყიდით, ის კი კვლავ დაშავდება? რონალდო რომ დიდი ფეხბურთელია, ფაქტია, მაგრამ მისი ხშირი ტრავმებით, შეფიქრიანებულები გახლავართ. აი, „ინტერს“ ძველი რონალდო რომ შემოეთავაზებინა, არც დავფიქრდებოდით“.

ამ პროექტის მარცხის შემდეგ „ინტერმა“ სხვა გეზი აიღო — ავსტრალიელ ფორვარდ მარკ ვიდუკაში 32 მილიონი დოლარის გადახდა განიზრახა და, როგორც ამბობენ, ეჭვიც არ ეპარება, რომ ამჟამად „ლიდსის“ წევრს გადიბირებს.

„ვიდუკა რომ „ინტერში“ იმასმაუს, ვგონებ, ფაქტია. მისი აგენტისაგან დამაიმედებელი ცნობები მივიღეთ და „ლიდსთან“ უახლოეს ორ კვირაში ყველაფერს მოვაგვარებთ“ — განაცხადა მილანელი „შავლურჯების“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ. არ არის გამორიცხული „ინტერში“ ვიდუკამ თვით კრისტიან ვიერი შეცვალოს.

ამასობაში კი კუპერი „ალავესის“ ფორვარდის, ივან ალონსოსკენ იხედება. ეს 22 წლის ურუგვაელი ფეხბურთელი სათადარიგო ვარიანტად ჰყავდა შეგულებული „მილანს“, რომელმაც, იმავ „ალავესისგან“ ხავი მორენო შეიძინა და, ამდენად, სათადარიგო ვარიანტი აღარ დასჭირდა.

ალონსო „ინტერს“, „პრეისკურანტის“ თანახმად, 20 მილიონ დოლარამდე დაუჯდება, თუმცა „ალავესის“ პრეზიდენტის, გონსალო ანტონის ბოლო განცხადების თანახმად, ეს ფეხბურთელი მას მომავალ სეზონში ძალიან დასჭირდება. ერთი სიტყვით, გადაწყვეტით რაიმეს თქმა ჯერ შეუძლებელია.

და ბოლოს, გასული სეზონის თაობაზე: „ინტერის“ გულშემატკივართა საინტერნეტო გამოკითხვამ გამოავლინა „შავ-ლურჯების“ საუკეთესო ფეხბურთელი — „პარი სენ ჟერმენისა“ და მარსელის „ოლიმპიკის“ ყოფილი მოთამაშე 22 წლის სტეფან დალმა. ქომაგთა აზრით, მეორე იყო კრისტიან ვიერი, ხოლო მესამე დალმას თანამემამულე, ერთი წლის წინ „ვერონასგან“ ნაყიდი გოლკიპერი სებასტიან ფრეი.

შავი გავყიდე, შავს ვიყიდი

იტალიის ჩემპიონი „რომა“ და გერმანის ჩემპიონი „ბაიერნი“ გარიგდნენ: 25 წლის განელი ფეხბურთელი სამუელ კუფური მიუნხენიდან რომში გადაბარგდება. აღნიშნული ტრანსფერი 10 მილიონი დოლარი დაჯდა. ყოველგვარი ფორმალობა მომდევნო კვირაში მოგვარდება. ასე რომ, მოთამაშე, რომლის შეძენითაც ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ „რეალი“ და „ბარსელონა“, იტალიის დედაქალაქში მიდის.

სამუელ კუფური

შეგახსენებთ, რომ განელს, რომელიც 1991 წელს, ახალგაზრდათა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, იტალიის სერია A-ში. ადრეც „ტორინოს“ შემადგენლობაში უთამაშია.

„რომასთვის“ კუფური ამ ზაფხულს უკვე მეორე შენაძენია. აქამდე იტალიის ჩემპიონებმა „ატალანტას“ მეკარე ივან პელიცოლი იყიდეს.

რაც შეეხება „ბაიერნს“, არ არის გამორიცხული, კუფურის გაყიდვით მიღებული თანხა მან ინგლისის ნაკრების მცველის, სოლ კემპბელის შესაძენად დახარჯოს.

ეს მოსაბეზრებელი ზიდანიანა

მიდის, ბოლოს და ბოლოს ზინედინ ზიდანი ესპანეთში თუ არა? საინფორმაციო სააგენტოებს ამ კითხვაზე ერთ დღეს რომ ერთი პასუხი აქვთ, მეორე დღეს მეორეს აცხადებენ. თუმცა, მათაც რა ქნან. ისინი ხომ ამა თუ იმ წყაროს ეყრდნობიან, ეს წყაროები კი საკუთარ ნათქვამს ისე ცვლიან, თვალსაც არ ახამხამებენ.

აი, მაგალითად წყარო, რომელსაც ერთი შეხედვით, კაცი ულაპარაკოდ უნდა დაეყრდნოს — ფეხბურთელის აგენტი ალენ მილიაკო. ესპანურ გაზეთ „მარკაში“ ამ რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა მისი ციტატა, რომელიც აქ უცვლელად მოგვყავს:

„ჩვენ მადრიდის „რეალში“ გადასვლა გადავწყვიტეთ, ასეთია თავად ზიდანის არჩევანი და არ მესმის, რატომ არ უნდა გაუწიოს მას „იუვენტუსმა“ ანგარიში“.

ახლა კი, ასევე უცვლელად მოვიყვანთ იმავე მილიაკოს ახალ ციტატას:

„ეს ძველი ისტორიაა. მე მადრიდის „რეალისგან“ ყოველ ზაფხულს ვიღებ მოთხოვნას ზინედინ ზიდანის შეძენის თაობაზე და ძალიან მომბეზრდა. ჩემი კლიენტი „იუვენტუსში“ რჩება, მით უფრო, რომ კლუბი მის გარშემო ისეთი გუნდის შექმნას აპირებს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას დაისახავს მიზნად. რაც შეეხება „მარკაში“ გამოქვეყნებულ ციტატას, მინდა გითხრათ, რომ არასდროს შევხვედრივარ ამ გაზეთის ჟურნალისტს და არ მითქვამს, რომ ზიდანს „რეალში“ გადასვლა სურს, „იუვენტუსი“ კი არ უშვებს“.

ამ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებზე მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლია: ძალიან გვეეჭვება, ისეთ სოლიდურ გამოცემას, როგორიც არის „მარკა“, ინფორმაცია ჰაერიდან მოეტანა, თუმცა რაღაც ხელთ არსებულს, როგორი ინტერპრეტაცია გაუკეთა, ბუნებრივია, თავად მარკელების გარდა არავინ იცის.

აი, რას ამბობს „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი: „ზიდანს მადრიდში თამაში სურს, მაგრამ მარტო სურვილი არაფერს იძლევა. უპირველეს ყოვლისა იგი „იუვენტუსის“ შეფებს უნდა დაელაპარაკოს, რათა გაიგოს რა აზრისანი არიან შესაძლო ტრანსფერზე“.

გავრცელებულ ხმათა თანახმად, „რეალი“ მზად არის ფრანგში 60 მილიონი დოლარი გადაიხადოს, თუმცა ამაზე პერესის პასუხი ასეთი გახლავთ:

„ნებისმიერი რიცხვი, რასაც ასახელებენ, ჭორია და მეტი არაფერი, თუ ბოლოს და ბოლოს ტრანსფერი შედგება, მერწმუნეთ, მისი მასშტაბი და პირობები ზუსტად შეესაბამება „რეალის“ როგორც სპორტული, ასევე ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს“.

თავის მხრივ „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი ბრძანებს:

„სულ არ მაინტერესებს, რას წერს ესპანური პრესა. ზიდანი 2005 წლამდე „იუვენტუსის“ ფეხბურთელია და შესაბამისად, თამაშსაც აქ გააგრძელებს“.

ასეთია ტურინელთა პოზიცია, რომლებსაც ფრანგის გაყიდვის შემთხვევაში საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თავის მართლება მოუწევთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ის არგუმენტი უშველით, რომ ზიდანის საფასურად ასე სასურველი კრისტიან ვიერის შეძენა შეუძლიათ.

ზინედინ ზიდანი ცოლითურთ

ბაბუნა კვიდა

იტალიური სერია A-ს ჩემპიონთა ლიგის ოთხეულის და კახა კალაძის „მილანის“ მეგოლეები

რომა (68 გოლი)	
გაბრიელ ომარ ბატისტუტა	20
ვინჩენცო მონტელა	13
ფრანჩესკო ტოტი	13
ვენსან კანდელა	3
მარკო დელვეკიო	3
დამიანო ტომაზი	3
ფერეირა და როსა ემერსონი	3
ჰიდეტოში ნაკატა	2
მარკოს ასუნსაო	2
მარკოს ევანჯელისტა კაფუ	1
ვალტერ ადრიან სამუელი	1
ავტოგოლი	
მარჩელო კასტელინი (ბოლონია)	1
პაოლო ნეგრო (ლაციო)	1
ლუიჯი აპოლონი (ვერონა)	1
კლაუდიო რივალტა (პერუჯა)	1
ლაციო (65 გოლი)	
ერნან კრესპო	26
პაველ ნედვედი	9
მარსელო სალასი	7
სიმონე ინძაგი	4
სინიშა მიხაილოვიჩი	4
ხუან სებასტიან ვერონი	3
ლუკას მარტინ კასტრომანი	2
დიეგო პაბლო სიმეონე	2
ფაბრიციო რავანელი	2
კარელ პობორსკი	1
დინო ბაჯო	1
პაოლო ნეგრო	1
ავტოგოლი	
მარკო ძამბონი (უდინეზე)	1
ლილიან ტურამი (პარმა)	1
ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა)	1
იუვენტუსი (61 გოლი)	
დავიდ ტრეზეგე	14
ფილიპო ინძაგი	11
ალესანდრო დელ პიერო	9
ზინედინ ზიდანი	6
იგორ ტუდორი	6
დარკო კოვაჩევიჩი	5
ჯანლუკა ძამბროტა	3
ანტონიო კონტე	2
ალესიო ტაკინარდი	2
ედგარ დავიდსი	1
ჩირო ფერარა	1
ავტოგოლი	
მასიმო პაგანინი (ატალანტა)	1
პარმა (51 გოლი)	
მარკო დი ვაიო	15
სავო მილოშევიჩი	8
მარსიო ამოროზო	7
სერჟიუ კონსეისაუ	5
პატრიკ მბომა	5
იოან მიკუ	4
საბრი ლამუში	3
ანჯელო დე სოუზა ჟუნიორი	3
სტეფანო ტორიზი	1
მილანი (56 გოლი)	
ანდრეი შევჩენკო	24
ოლივერ ბირჰოფი	6
კლაუდიო სერჟინიო	4
კახა კალაძე	3
მასიმო ამბროზინი	3
ნასიმენტუ ლეონარდო	3
ფრანჩესკო კოკო	2
ზვონიმირ ბობანი	2
რომერო ხოსე მარი	2
ჯანი კომანდინი	2
ანდრეს გულიელმინპიეტრო	1
ფედერიკო ჯუნტი	1
პაოლო მალდინი	1
ლუიჯი სალა	1
ავტოგოლი	
სტეფანო ლორენცი (ატალანტა)	1

მივდივარ და მივდივარ!

ვიეირა არსენალის, არსენის და არსენალელების წინააღმდეგ

პატრიკ ვიეირა

ხუთი წელი „არსენალს“ 100 პროცენტით ვემსახურე, მაგრამ ახლა წასვლის დრო დადგა — უთხრა პატრიკ ვიეირამ გაზეთ „სანს“ და ამით ჩრდილოლონდონური კლუბის გულშემატკივრებს ბოლო იმედიც გადაუწურა.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ნახევარმცველი გულისსწორ შერილთან და აგენტ მარკ როჯესთან ამჟამად ფლორიდაში ისვენებს, თუმცა ინგლისურმა ტაბლოიდმა იქაც მიაგნო და მკითხველს სენსაციური ამბავი აცნობა — ვიეირა მიდის!

არადა, „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინმა ამასწინათ ოფიციალურად განაცხადა, ვიეირა არ იყიდება და კონტრაქტით გათვალისწინებულ დარჩენილ სამ წელიწადს კიდევ ჩვენთან იქნებაო. ამას არად დაგიდევთ თავად ფრანგი და როგორც ჩანს, გუშინწინდელი ინტერვიუთი „არსენალთან“ დამაკავშირებელი ყველა ხიდი დაწვა.

„სიტუაცია მძიმდება და დრო წავიდე — ამბობს პატრიკი — მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ამას ფულისთვის არ ვაკეთებ. მე გამარჯვებები და ახალ-ახალი ჯილდოების მოგება მსურს, აქ კი ასეთი უახლოეს მომავალში არ მოხდება. როცა ჩემი სურვილი არსენ ვენგერს გავანდე, მიპასუხა, 25 მილიონი მაქვს ახალი ფეხბურთელების შესაძენად და მოიცადეო. მივუგე — „ჰაროდსში“ (ლონდონის უდიდესი მაღაზია) ხომ არ ხართ, ეგ ერთი კარგი ფეხბურთელის ფულია-მეთქი. არ ვარ მართალი? 25 მილიონად აგერ მე ვარ შეფასებული“.

მაგრამ ხომ იყიდა „არსენალმა“ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და ფრენსის ჯეფერსი? აგერ, სოლ კემპბელსა და „იფსვიჩის“ მეკარე რიჩარდ რაიტსაც ეჩალიჩება...

„ევროპის დიდი კლუბები ასე არ ვაჭრობენ — პასუხობს ფრანგი — ორი კაცი იყიდეს, მაგრამ ისეთი, ჯერ რომ თავი არაფრით გამოუჩენიათ. ამ დროს შარშან გუნდიდან ორი უძლიერესი ფეხბურთელი, ოვერმარსი და პეტი გაყიდეს. გამიკვირდა კიდეც, ამის მერე პრემიერლიგაში მეორე ადგილს და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს როგორ მივაღწიეთ“.

ვიეირას პროგნოზი მეტად პესიმისტურია: „ამ სეზონში „არსენალს“ ხუთეულშიც კი ვერ ვხედავ. „მანჩესტერ იუნაიტედს“ რომ თავი ვანებოთ, „ლივერპული“, „ლიდსი“ და „ჩელსი“ მეტად ძლიერდებიან. ვენგერი ჭკვიანი კაცია და იცის, რომ ევროპაში წარმატების მისაღწევად სულ მცირე ხუთი ვარსკვლავია საჭირო, ჯიბეში ოდენ 25 მილიონით კი ოცეულშიც ვერ მოხვდება. კლუბში ამბობენ, ახალ სტადიონს ვაშენებთ და მეტი ფულის გაღება იმიტომაც არ შეგვიძლიაო. გასაგებია, მაგრამ სტადიონს რა აზრი აქვს, თუ ფეხბურთელები არ გყავს?“

პატრიკს თანამემამულე თანაკლუბელები მოუწოდებენ, გუნდის მიტოვებაზე ფიქრს თავი ანებოს. „ვერ გავიგე, რა უნდათ პირესს, ანრის, ვილტორდსა და გრიმანდის? მაგათ თავისი ცხოვრება აქვთ, მე — ჩემი. ჯერ ჩემსავით შეალიონ „არსენალს“ ყველაფერი და მერე ილაპარაკონ. მათ მოვუწოდებ, ემოციები დაიოკონ და პატრიკ ვიეირას გადაწყვეტილებას პატივი სცენ — ამბობს გაღიზიანებული ნახევარმცველი — მე ჩემი ამბიციის შესაფერის კლუბს მოვძებნი, ისეთს, ყველაფრის მოგება რომ სურს“.

არსენალელი ფანობის ჯილამ ორიოდ სიტყვა თავის აგენტზეც თქვა: „ამ ბოლო დროს ბევრი იწერება მარკ როჯეზე. ბევრი სისულელე. მაგალითად ის, რომ მას 3,5 მილიონის მიღება უნდა ჩემი მომავალი ტრანსფერიდან. გეტყვით, რომ მარკი ჩემი ძმაკაცია, თანაც მისი ქალიშვილის ნათლია ვარ. ის ცნობილი სააგენტოს უფროსია და სულ 150-მდე ტრანსფერი აქვს განხორციელებული. ჩემი გაყიდვით კი ის ვერ იხეირებს, ვინაიდან ჩვენ თავისებური ხელშეკრულება გვაქვს დადებული — მარკი ჩემი ხელფასის ათ პროცენტს იღებს, შესაბამისად ის ტრანსფერის თანხით კი არა, ჩემი ჯამაგირითაა დაინტერესებული“.

...მეტად ხანმოკლეა ადამიანის მეხსიერება. ან, უარეს შემთხვევაში, კაცი თავის უღირსი საქციელის გამართლებას ცდილობს და ათასგვარ უსუსურ არგუმენტს იშველებს. ვფიქრობთ, ასეა პატრიკ ვიეირას შემთხვევაშიც, კაცისა, რომლის მართლაც ჩინებულ ფეხბურთელად ჩამოყალიბება სწორედ რომ არსენ ვენგერის ხელში და „არსენალში“ მოხდა. ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს რომ იხსენებს დამცინავად, თავად ვინ იყო ლონდონში გადასვლამდე? კი ბატონო, ცნობილი „მილანისგან“ შეიძინეს, მაგრამ „მილანი“ და „მილანის“ სათადარიგო სკამი ხომ სხვადასხვა რამაა?

ან კიდევ, მაინცდამაინც 50 მილიონიანი კრისტიან ვიერი უნდა იყიდოს ვენგერმა, ზანგი თანამემამულე კმაყოფილი რომ დაურჩეს? ელბერი თუ 5 მილიონი დაუჯდა მიუნხენის „ბაიერნს“, იმიტომაც ვერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი?

თუმცა ვენგერი მიჩვეულია. ეს ხომ უმადურების ძველი სიმღერაა. ასეთი ანელკასა და მის ძმასაც უმღერიათ ორი წლის წინ, როცა „რეალში“ 23-მილიონიანი ტრანსფერი გაჩარხეს.

„არსენალს“ მეზარბაზნეები აკლდება. ისე, ასეთის ყოლას...

გიგა კოგანიძე

ფეხბურთის რუკაზე

გერმანელი ნახევარმცველი იენს იერემისი ბუნდესლიგის პირველ ტურებს ტრავმის გამო გამოტოვებს. მას მუხლი აწუხებს და ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების განცხადებით, ფეხბურთელი აგვისტომდე ვარჯიშს ალბათ ვერ შეძლებს. გერმანიაში კი ახალი სეზონი 28 ივლისს იწყება. „წინა სეზონის განმავლობაში ორჯერ გავიკეთე მუხლის ოპერაცია. ახლა იმედი მაქვს, რომ საბოლოოდ მოვირჩენ ტრავმას, თუმც თვეზე მეტხანს დასვენება მომიწევს“ — განაცხადა მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა.

ტრინიდადის და ტობაგოს ნაკრების მწვრთნელი იან პორტერფელდი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მისი პოსტი კი რენე სიმოეშს ჩააბარეს. ფედერაციის განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ნაკრების სუსტი თამაშით უკმაყოფილონი არიან. „ჩელსის“, „აბერდინისა“ და ზამბიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ პორტერფელდთან ერთად თანამდებობა მისმა თანამემწეებმა — ჯიმი ბლანმა და ნილ მოლინუმაც დატოვეს. სიმოეში ადრე იამაიკის ნაკრებს თავკაცობდა და გუნდი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშა. ტრინიდადში მისი დებიუტი კი 1 ივლისს სწორედ იამაიკის წინააღმდეგ შედგება.

ბრაზილიელი მცველი კაფუ შესაძლოა, ნაკრებს კოპა ამერიკაზე ვერ დაეხმაროს. მას მუხლის ტრავმა აქვს და არ გამორიცხავენ, რომ ოპერაცია დასჭირდეს. სერია A-ს დასრულების შემდეგ „რომას“ მოთამაშე საშობლოში გაემგზავრა, იგი ნაკრებში ურუგვაის წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადებოდა და სწორედ მაშინ დაშავდა. ექიმები ტრავმას გადამღლელი სეზონით ხსნიან და ფეხბურთელს დასვენებას ურჩევენ. „ბრაზილიაში ძალიან გადაღლილი დავბრუნდი, „რომაში“ თითქმის მთელი სეზონი შეუცვლელად ვითამაშე და ხამწუხაროდ, ამან კვალი დამატყო. ვწუხვარ, ნაკრების დახმარებას რომ ვერ შეძლებ“ — განაცხადა კაფუმ.

გერმანიის ვიცე-ჩემპიონი „შალკე“ ლივერპულელ კრისტიან ციგეს ეპატიჟება. „საბოლოო გადაწყვეტილებას ფეხბურთელის პასუხის შემდეგ მივიღებთ“ — განაცხადა „შალკეს“ მენეჯერმა რუდი ფაუერმა. 29 წლის ციგე „ლივერპულმა“ შარშან ზაფხულში „მიდლსბროდან“ 7 მილიონ დოლარად გადაიბირა, მაგრამ ფეხბურთელი მთელი სეზონის განმავლობაში ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოდა.

ფრანგი ნახევარმცველი დავიდ ჟინოლა შესაძლოა, ინგლისურ „პორტსმუთში“ გადაბარგდეს. გუნდი მზადაა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 5,6 მილიონი დოლარი გადაიხადოს. ორი წლის წინ ჟინოლა ინგლისში საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, მაგრამ რაც „ტოტენჰემიდან“ „ასტონ ვილაში“ გადავიდა, მისი კარიერა დაღმა წავიდა.

ესპანური „ბეტისი“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ალბერტო ძაკერონის ეპატიჟება. „ბეტისი“ ახლა დაუბრუნდა პრიმერადივიზიონს და გაძლიერება დაიწყო. ძაკერონის დანიშვნის საკითხს „ბეტისის“ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე განიხილავენ, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება.

ბრაზილიელმა ჯალმინიამ შესაძლოა, „დეპორტივო“ დატოვოს. გუნდი მის სანაცვლოდ 20,5 მილიონ დოლარს ითხოვს. ბრაზილიელს ფიცხი ხასიათი აქვს — მან სეზონის განმავლობაში დისკვალიფიკაციის გამო ოთხი მატჩი გამოტოვა.

ინგლისური „დეილი მეილის“ ცნობით, ავსტრალიური სამშენებლო კომპანია „მალტიპლექსი“, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადისთვის „სტადიუმ ავსტრალია“ ააშენა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას შეუთანხმდა. შეთანხმების მიხედვით „უემბლის“ სარეკონსტრუქციო სამუშაოებში 350 მილიონი გირვანქა ჩაიდება. შეგახსენებთ, რომ ამჟამად პროექტი უსახსრობის გამო შეჩერებულია. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, „მალტიპლექსის“ წინადადება ერთ-ერთია მრავალთაგან და საბოლოო შეთანხმების მიღწევის შესახებ ლაპარაკი ნაადრევია.

ბელგია შალკეს დასახმარებლად დაიძრა

ბელზენკირხენის „შალკეს“ წლეულს დიდებული სეზონი ჰქონდა. ცოტა დააკლდა და დუბლსაც გაახერხებდა. გახსოვთ ალბათ, ბაიერნელი პატრიკ ანდერსონის გადამწყვეტი გოლი, რომელიც „ჰამბურგის“ კარის ბადეში გაეხვია, თამაში ფრედ დამთავრდა და მიუნხენელები ბუნდესლიგაში პირველ, გელზენკირხენელები კი მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ. აი, ქვეყნის თასი კი „შალკემ“ არავის დაუთმო. ფინალში მან რეგიონალლიგელი „უნიონ ბერლინი“ დაამარცხა. გუნდი გაისად ჩემპიონთა ლიგაში მოსინჯავს ძალას. გარდა ამისა, ბუნდესლიგაშიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

რთული სეზონის დაწყებამდე „შალკე“, ყველა სოლიდური კლუბის მსგავსად, გაძლიერებაზე ფიქრობს. გელზენკირხენელებმა გუნდში უკვე დაბრუნეს შარშან „ბორდოში“ მოთამაშე ბელგიელი ნახევარმცველი მარკ ვილმოტსი. ფრანგებთან გარიგებას, დღევანდელი ფასების გათვალისწინებით, ძვირს ვერ დავარქმევთ. „ბორდომ“ გერმანელებს ყოფილი შალკელი მილიონ სამასი ათას დოლარად დაუთმო.

მარკ ვილმოტსი ოცდათორმეტი წლისაა და ბელგიის ნაკრების ღირსებასაც იცავს. შალკეში“ მას ნაკრებში შეხმატკბილებული მეწყვილე ეძლო ბენო ელის. მიუხედავად ასაკისა და ბოლოდროინდელი ტრავმებისა, ვილმოტსს ხშირად გააქვს. მისმა გოლმა ბელგიელებს ლატვიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მოაგებინა და მეექვსე შესარჩევი ჯგუფის ლიდერადაც აქცია.

მიუხედავად ვილმოტსის მოსალოდნელი ოპერაციისა (მას კოჭი აწუხებს), კლუბმა მასში ფული გადაიხადა და გულშემატკივარიც ფრიად გაახარა. ბელგიელის დაბრუნებას კმაყოფილებით შეხვდა სამი ათასი ქომაგი, რომლებსაც აეროპორტში მოეყარა თავი.

„შალკეს“ რიგებში მომავალ წელს სავარაუდოდ კიდევ ერთი ბელგიელი, „ბრიუგედან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წასული სვენ ვერმანტიც ითამაშებს.

ბელგიელთა გარდა გელზენკირხენელებს ლივერპულელ და ვერდერელ გერმანელთათვის დაუდგამთ თვალი. კლუბის ხელმძღვანელობა ინგლისელებს კრისტიან ციგეს, ხოლო ბრემენელებს მეკარე ფრენკ როსტის ყიდვის უფლებას სთხოვს.

გიორგი მამარდაშვილი

რივალდოს სიტყვა 18 მილიონია!

ჯოვანი დეიბერსონი

„ბარსელონასა“ და „კრუზეიროს“ შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. კატალონიურმა კლუბმა სამხრეთამერიკელებისგან იმედისმომცემი ნახევარმცველი ჯოვანი დეიბერსონი შეიძინა. ფეხბურთელმა ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, „კრუზეიროს“ სალარო კი 18 მილიონი დოლარით შეივსო.

ორ კლუბს შორის მოლაპარაკება რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ძირითადი სადავო საკითხი სატრანსფერო თანხა გახლდათ, თუმცა ყველაფერი მოგვარდა. პრეზიდენტთა შეხვედრიდან გამოსულმა კრუზეიროელმა ჟოზე პესელამ პრესას განუცხადა: „შეთანხმება მიღწეულია, ჩვენ „ბარსელონას“ ამომავალი ვარსკვლავი მივყიდეთ. იმედი მაქვს, რომ იგი ევროპაში რონალდოსა და რივალდოსავით გაიბრწყინებს“.

რახან რივალდო ვახსენეთ, ვთქვათ, რომ ჯოვანის „კამპ ნოუზე“ გადასვლაში მან დიდი წვლილი შეიტანა. 20 წლის ბრაზილიელს „ბარსელონას“ ხელმძღვანელობასთან სწორედ რივალდომ გაუწია რეკომენდაცია.

ჯოვანიმ წლეულს ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში 7 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ იგი ნაკრებშიც მიიწვიეს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ურუგვაის წინააღმდეგ, შესაძლოა, ითამაშოს კიდეც. „კამპ ნოუზე“ კი სანაკრებო შეკრების შემდეგ, ივლისის დამდეგს ჩავა.



ქუთაისში

(231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №8, კინოთეატრ „სულიკოსთან“

იყიდება!

ნახმარი

კომპიუტერული ტექნიკა

ტელ. 38-11-14, 39-48-29

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA NY 01 DRAFT

დრაფტი 2001



კვეიმ ბრაუნი

შეინ ბეტიე

დღეს ნიჭის ბაზროობაა

დღეს, აღმოსავლეთ სანაპიროს დროით რვის ნახევარზე, ნიუ იორკში, უცნობილეს დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენში“, 2001 წლის დრაფტი გაიმართება, რის შედეგადაც დაახლოებით ასეული ნიჭიერი კალათბურთელისგან ზუსტად 57 საუკეთესო (წინასწარი მონაცემებით) შეირჩევა და ამ ხალხისთვის პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის კარი ოფიციალურად გაიღება. ამათგან რამდენიმე მომავალში ვარსკვლავი გახდება, ბევრი იპოვის თავის ადგილს რომელიმე გუნდის სათადარიგოთა სკამზე და ასევე ნადრაფტალთა მოზრდილი ნაწილი საერთოდ უგუნდოდ დარჩება, როგორც „დაწუნებული საქონელი“. აღსანიშნავია, რომ ამ დრაფტში 58-ის ნაცვლად 57 კალათბურთელი შეირჩევა, რადგან „მინესოტა ტიმბერვულვზს“ ამ და მომდევნო ოთხი დრაფტის პირველ წრეში არჩევნის უფლება ჩამორთმეული აქვს იმის გამო, რომ ერთი წლის წინ ამ კლუბს საკუთარ მოთამაშე ჯო სმიტთან ფარული კონტრაქტი აღმოუჩინეს და ნბა-ს მამებმა ამგვარად დასაჯეს.

ამ რამდენიმე კვირის წინ გათამაშებულმა დრაფტ-ლატარიამ პირველი არჩევნის გაკეთების უფლება „ვაშინგტონ ვიზარდს“ არგუნა, რაც უდიდესი პრივილეგიაა. დედაქალაქელებს შეუძლიათ, ნებისმიერს დაადონ ხელი და აღარ ექნებათ ჩივილის საბაბი, სასურველი ბიჭი სხვამ წაგვართვაო.

ლეგენდარულმა მაიკლ ჯორდანმა კალათბურთიდან წასვლის შემდეგ სპორტული ჟინის მოკვლა უწინ ბეისბოლში, მეორედ გოლფში სცადა, მერე კი საყვარელი სპორტის სახეობის გარეშე დიდხანს ვეღარ გაძლო, „ვაშინგტონის“ აქციათა მოზრდილი ნაწილის შესაძენად ჯიბე დაიცარიელა და ამ წელიწადნახევრის წინ „ჯადოქართა“ ბოსად მოგვევლინა. მართალია, „მისი უჰაეროვნესობა“ ახლა კალათბურთში ტრიალებს, მაგრამ თავის ხელქვეითთა ცოდვილობის შემყურეს, რა გასაკვირია, მოედანზე კვლავ დაბრუნების სურვილი გაუჩნდეს. ამის შესახებ მითქმა-მოთქმამ უკვე მოიცვა ამერიკა, თუმც დაუბრუნდება თუ არა ჯორდანი, რომელიც ახლა 38 წლისაა, კალათბურთს, ეს, ვგონებთ, თავად მაიკლმა, არ იცის. ივი გამალებით ვარჯიშობს, რათა გაიგოს, შეძლებს თუ არა ნბა-ში ძველებურად უმაღლეს დონეზე თამაშს. ივი ახლა 15 კილოგრამით უფრო მძიმეა, ვიდრე სამი წლის წინ. ერთი ნიუანსიც, ჯორდანმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ორი ნეკნი ჩაიტეხა.

ახლა კი ისიც ვთქვათ, რა კავშირი აქვს ჯორდანის დაბრუნება-არდაბრუნებაზე მარჩიელობას დღევანდელ დრაფტთან. თუ „ვაშინგტონის“ პრეზიდენტმა კოსტიუმის ნაცვლად ფორმა მოირგო და კაბინეტი მოედანზე გაცვალა, მაშინ დედაქალაქელებს რომელიმე გამოცდილი კალათბურთელის აყვანა მოუწევთ, რადგან ჯორდანის ასაკი მას საშუალებას არ აძლევს, ელოდოს, როდის ჩამოყალიბდება დრაფტში აყვანილი ჯეელი. ასეთ შემთხვევაში „ვაშინგტონი“ ისეთ კალათბურთელს აიყვანს, რომელსაც სასურველ ვეტერანში გაუცვლის ვინმეს. ხოლო თუ ჯორდანი არ დაბრუნდება, მაშინ დედაქალაქელები იმ ამპლუის მოთამაშეზე შეაჩერებენ ყურადღებას, რომელ პოზიციაშიც ყველაზე მეტად უჭირთ. არის ბევრი სხვა ვარიანტიც და სწორედ ეს სძენს ნბა-ს დრაფტს განუმეორებელ ელფერს.

დედაქალაქელთა თვალთახედვის არეში ოთხი-ხუთი ყველაზე გამორჩეული ყმაწვილი მოექცევა, მათგან „ვიზარდსი“ კუთვნილს დაითრევს. სპეციალისტთა დიდი ნაწილის ვარაუდით, დრაფტის პირველი ნომერი შეიძლება 208-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი კვეიმ ბრაუნი გახდეს, რომელიც უნივერსიტეტის გვერდის ავლით პირდაპირ სკოლიდან მოხვდა დრაფტში, რაც თავისთავად მიუთითებს მის ნიჭიერებაზე. სხვანი სეტონჰოლელ ასევე თავდამსხმელს, ედი გრიფინს ანიჭებენ უპირატესობას. „ვაშინგტონი“ ალბათ ამ ორს შორის გააკეთებს არჩევანს, თუმც ეს მხოლოდ წინასწარი ვარაუდია.

განვლილი სეზონი „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ ბოლოდან მერვე ადგილზე ჩაამთავრა და ოცი წლის წინა დრაფტში სწორედ მერვე არჩევნის უფლება ექნებოდა, თუმც ლატარიამ მას მეორეობა არგუნა. სავარაუდოდ, ლოსანჯელესელები ზემოთ ნახსენები ყმაწვილებიდან იმას აირჩევენ, რომელსაც „ვაშინგტონი“ არ ისურვებს.

დიუკის უნივერსიტეტის ლიდერმა შეინ ბეტიემ ბოლო სეზონში ჩემპიონობასთან ერთად ლამის ყველაა პირადი ტიტული დაისაკუთრა. დღესდღეობით ივი ალბათ დრაფტის ყველა მონაწილეზე ძლიერია, თუმც მას პირველობის ნაკლები შანსი აქვს, რადგან გრიფინში და ჯერაც ბიჭუნა ბრაუნში მეტი პოტენციალი ჩანს. ცხადია, ბეტიე უგუნდოდ არ დარჩება. მას „ატლანტა“ ეკურკურება, რომელსაც მესამე არჩევნის უფლება აქვს. ჯორჯიელებს სჭირდებათ მხცოვანი ტონი კუკოჩის დამხმარე, მომავალში კი შემცვლელი მოძრავი თავდამსხმელი. მათი აზრით, ბეტიე ამისთვის ზედგამოჭრილია.

კიდევ ერთი პოტენციური პირველი ნომერი კვეიმ ბრაუნივით სკოლის მერხიდან ახლახან წამომდგარი ედი კარია. მას შეეძლო, სწავლა და თამაში უნივერსიტეტში გაეგრძელებინა და ასეთ შემთხვევაში ერთი ან ორი წლის შემდეგ ივი უპირობოდ პირველი იქნებოდა, თუმც ამ 211-სანტიმეტრიან და 130-კილოგრამიან 19 წლის ბიჭს შაკილ ონილთან შეჯახების სურვილი ჰკლავს, აგრეთვე ივი ნბა-ს კლუბების და აგენტების მხრიდან უდიდეს ზეწოლას განიცდის, ამიტომ უკვე მომავალი სეზონიდან შეაბიჯებს ნბა-ში.

პირველ ხუთეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ კიდევ ერთ „ლაწირაკს“, კალიფორნიაში დომინგესის სკოლადამთავრებულ 213-სანტიმეტრიან თავდამსხმელ-ცენტრს, ტაისონ ჩანდლერს. ივი ძალიან სურს მეხუთე არჩევნის პატრონ „გოლდენ სტეიტს“.

ამ ხუთივე ბიჭს არც ნიჭი აკლია და არც სიმაღლე. ტრადიციულად დრაფტში მეტი ყურადღება ტანმაღალ კალათბურთელებს ექცევა. ამდენად რომელიმე უკანახზელი ელიტაში არ მოიაზრება. დაბლებიდან ყველაზე ნიჭიერი 198-სანტიმეტრიანი ჯეისონ რიჩარდსონია, რომელზეც თვალი რჩება ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსის“. ამ გუნდს მეშვიდე არჩევანის გაკეთების უფლება აქვს.

ამ ბოლო წლებში ამერიკელები მეტ ყურადღებას უთმობენ უცხოელებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნახეს, თუ რისი შნო აქვთ ახალი თაობის ევროპელებს — დირკ ნოვიცკის და პრედრაგ სტოიაკოვიჩს. შარშანდელი დრაფტის პირველ წრეში სარეკორდოდ ბევრი, ექვსი უცხოელი იქნა არჩეული, მათგან ეს სეზონი ყველაზე რიგიანად ჩაატარეს სოხუმში დაბადებულ-გაზრდილმა, ტომით ბერძენმა იაკოვოს ცაკალიდისმა და თურქმა ჰიდაიეთ თურქოღლუმ, რომელსაც უწინ არაერთი ბურთი ჩაუგდია საქართველოს ნაკრების კალათში. პირველი „ფინიქსის“ ძირითადი ცენტრი გახდა, მეორე კი სეზონის ბოლოს ახალბედათა მეორე გუნდში მოხვდა.

უცხოელებზე ახლაც დიდი მოთხოვნილებაა და საკარაუდოდ მინიმუმ ოთხ ან ხუთ მათგანს მაინც აირჩევენ პირველ წრეში. ბევრს სურს ესპანური „ბარსელონას“ თავდამსხმელი პაუ გასოლი, რომელსაც ნოვიცკის ადარებენ. თუმც აქ ერთი რამ ეღობებათ გასოლის მსურველთ: ესპანელს „ბარსელონასთან“ კონტრაქტი აკავშირებს და მისი გამოსყიდვა ორ მილიონ დოლარზე მეტი ჯდება, ნბა კი ასეთ შემთხვევებში მაქსიმუმ 350 ათასის გადახდის უფლებას იძლევა. შესაძლოა გასოლი „ბოსტონმა“ აიყვანოს, რომელსაც მეათე და მეთერთმეტე არჩევნის უფლება აქვს, ამდენად შეუძლია, თავს უფლება მისცეს, გასოლის განთავისუფლებას ერთიორი წლით დაელოდოს და შემდეგ ათამაშოს.

კიდევ ერთი სასურველი უცხოელია აფრიკის ქვეყანა სენეგალის 213-სანტიმეტრიანი და 140-კილოგრამიანი მოქალაქე დესაგანა დიოპი. მოსალოდნელია, ივი დრაფტის პირველ თხუთმეტ რჩეულში მოხვდეს.

ირაკლი ფირაყვილი

შარშანდელის მსგავსად?

პლეი ოფი

ფინალი (ორ მოგებამდე)

ვილერბანი	**1**
პო ორტეზი	**1**

პო ორტეზი 64:73 ვილერბანი

პო ორტეზი: ფოტუ (9), მაკკალოფი (11), დიუბო (12), ესტელერი (8), დ. გადუ (6), ფ. პიეტრუსი (5), დიაკი (2), ნვოსუ (6), სლივანჩანინი (5)

ვილერბანი: ბონატო (17), სკიარა (2), პლიუში (14), ჰოფმანი (11), ედვარდსი (6), ფრიგუ (6), ბილბა (7), ჯეიმსი (10)

საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალი ჯერჯერობით შარშანდელი სცენარით მიმდინარეობს. ასევე დასრულება „პო ორტეზს“ ხელს აძლევს, მის მეტოქეს კი სხვაგვარი დასასრული სურს.

ახლავე გავარკვევთ, რა მაქვს მხედველობაში.

„ორმაგად კმაყოფილი ვარ. პოში აუცილებლად უნდა მოგვეგო და ეს შევძელით, თანაც საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. თუმცა თავს დამშვიდების უფლება არ უნდა მივცეთ და გადამწყვეტი მატჩისთვის სრული სერიოზულობით უნდა მოვემზადოთ. გავიხსენოთ შარშანდელი მაგალითი. „ლიმოჟმა“ პირველ შეხვედრაში დაგვამარცხა, მერე ჩვენ სტუმრად ავიღეთ რევანში, მაგრამ შინ კვლავ წავაგეთ და ოქროს მედლებიც მოწინააღმდეგეს დავუთმეთ. ასე რომ, ახლა იგივე არ უნდა დაგვემართოს“ — განაცხადა „ვილერბანის“ პრეზიდენტმა მარკ ლეფებვრმა.

საწყისი ორი მეოთხედის განმავლობაში გუნდები ერთმანეთს დიდად დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ და მეტოქეს კვალში მიყვებოდნენ. 10 წუთის შემდეგ მასპინძლები იგებდნენ 19:18), კიდევ 10 წუთის გასვლის მერე კი უკვე სტუმრები დაწინაურებულიყვნენ ცოტათი (39:36), თუმცა, როგორც მატჩის დარჩენილმა დრომ აჩვენა, „მწვანეები“ საბოლოოდ გაჭრილიყვნენ წინ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბილ ედვარდსის აქტიურობით ვილერბანელებმა დაახლოებით ათქულიანი უპირატესობა მიიღეს. პოელები ვერაფრით ახერხებდნენ წამოწევას და რომ არა მათი გამოცდილი დიდიე გადუ, მატჩის ბეღიც მაშინვე გადაწყდებოდა. 30 წუთის შემდეგ სტუმრები 54:48 იგებდნენ.

დასკვნითი მეოთხედი კალათბურთელებმა დაცვაში უფრო ძლიერად ითამაშეს, ვიდრე თავდასხმაში. ბევრი იყო წუნი სროლების შესრულებისას. თუმცა გადუს მეოხებით „პო ორტეზმა“ ანგარიშში სხვაობის შემცირება ძაინც მოახერხა — 56:57.

აქვე მასპინძლებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ ნვოსუმ საჯარიმოები გააცუდა. ანგარიში კარგა ხანს აღარ შეცვლილა, სანამ იან ბონატომ არ ჩააგდო ორი საჯარიმო (56:59). ფრედერიკ ფოტუმ ორჯერ ააცილა შორიდან, მაგრამ სლივანჩანინმა ისევ შეამცირა ჩამორჩენა და ისევ საჯარიმოებით.

მერე პლიუვიმ სამი ქულა შესძინა თავისიანებს, რასაც ედვარდსმა ორი დაუმატა და თითქოს გამარჯვებულიც საბოლოოდ გაირკვა — 59:65 (38-ე წუთი). არადა, დროის ამ მონაკვეთში იმავე ედვარდსმა ზედიზედ ექვსი (!) ტყორცნა გააფუჭა და მასპინძლები უფრო ზუსტნი რომ ყოფილიყვნენ...

„პო ორტეზმა“ ერთხელაც გაიბრძოლა, ფოტუმ 6,25-მეტრიანი ხაზის გარედან ივარგა და ანგარიშში სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა. ბეარნელებს ფარიდან ახლოტილი ბურთებისთვის ბრძოლაში ჯერომ ჯეიმსისთვის რომ ევჯობნათ, შეიძლება ჩემპიონებიც გამხდარიყვნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ჯეიმსი ფარზე გაბატონდა ბოლო წუთებში და მეტოქესაც ხშირად დაჯარიმების გარდა აღარაფერი დარჩენოდა. ვილერბანელები კი საჯარიმოების სროლისას ზუსტნი იყვნენ და სერიაში ანგარიშიც გათანაბრდა.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ სეზონის დასაწყისისას ვინმეს რომ ეთქვა, ჩემპიონატის და თასის ფინალებში გახვალთო, ამაზეც თანახმა ვიქნებოდი. ახლა კი ვილერბანში აუცილებლდ მოსაგებად ჩავალთ. თუ შარშან „ლიმოჟმა“ მოახერხა, ორჯერ მოეგო სტუმრად, იქნებ ჩვენც შევძლოთ“ — თქვა მატჩის შემდეგ „პო ორტეზის“ პრეზიდენტმა პიერ სეიანმა.

გაგი გურული

ჭულიუს ნვოსუმ ვილერბანელ იან ბონატოს ფარზე აჭობა

როცა სასაფლაო სჯობს მეფეთა პარკს

სამხრეთაფრიკელი ჯონ სმიტი (ბურთით) ქვრალდ მერსერონისთვის გვერდის ავლას ლამობს

დურბანი. 23 ივნისი

სამხრეთ აფრიკა 20:15 საფრანგეთი

სამხრეთ აფრიკა: ფელპორტი, პოლცე, ფლეკი, ბერი, პოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; ლე რუ (კემპსონი 68), სმიტი, მეიერი, ფან დენ ბერგი (ენდრიუსი 80), ენდრიუსი (აკერმანი 79), ერასმუსი, ფოსი (კაპ.) კრიხე (სკინსტედი 46)
1ლ: კრიხე; **5ს:** ჯეიმსი
საფრანგეთი: ჟანჟანი, დომინისი, გლა, ჟოზიონი, ბორი, მერსერონი, გალტიე (კაპ.); კრანკა (კალიფანო 63), იბანიესი (აზამი 63), დე ვილიე, ორადუ (ნალე 72), ბრუზე, შაბალი (ვერმელანი 70), ტაბაკო, მანი
4ს. და 1ა: მერსერონი
დროებითი გაძევება: ენდრიუსი (15), ბერი (38), მანი (60)
მსაჯი: ვაიტი (ინგლისი)

დურბანში გამართული სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის მეორე ტესტის შესახებ საუბარი მინდა სამხრეთაფრიკული პრესის მცირედი მიმოხილვითაც დავიწყო.

„გამარჯვება, რომელმაც ძალიან ცოტათი გაგვახარა“ — წერს „სანდი ტრიბუნი“, რომელიც თვლის, რომ „სასაფლაოზე ყოფნა უფრო სასიამოვნო იქნებოდა შაბათს, ვიდრე „კინგზ პარკზე“. „ქურციკებს“ მორაგბეებისა არაფერი ეტყობოდათ და თავი უფრო ჩხუბში გამოიჩინეს“.

ეს გაზეთი „სანდი ტაიმსთან“ ერთად თვლის, ბაჩ ჯეიმსს ნამდვილად ბედმა გაუღიმა, თამაში წითელ-ყვითელი ბარათების გარეშე რომ დაამთავრაო. მათ მხედველობაში აქვთ ჯეიმსის მიერ დავიდ ბორის სახიფათოდ შებოჭვა, რაზეც მატჩის მეორე დღეს სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა იმსჯელა და დამნაშავეს ორკვირიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯა.

თავისიანებს ზედმეტი უხეშობისთვის აკრიტიკებს „სანდი ინდეპენდენტიც“, რომელიც ყველაზე მეტად მარკ ენდრიუსს ერჩის. 70 კეპის მომხვეჭი, ენდრიუსივით გამოცდილი მორაგბე ასეთი უდისციპლინობით არ უნდა გამოირჩესო, ვკითხულობთ გაზეთში. იგივე გამოცემა აღნიშნავს, რომ „ქურციკებმა“ პირველ ტესტთან შედარებით უკეთ კი ითამაშეს, მაგრამ მათი ეს დონე მაინც არ ეყოფა წლევანდელი სამი ერის ჩემპიონატის მოგებას ანდა 2003 წლის მსოფლიოს თასზე თავის გამოჩენასო. ასეთი სუსტი სამხრეთ აფრიკის შემხედვარე ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მწვრთნელებს სიამოვნებით ხელების ფშვნეტა შეუძლიათ — წუხს „სანდი ინდეპენდენტი“.

საფრანგეთის ნაკრების შეფასებისას სამხრეთაფრიკული მედია ერთსულოვანია და აღნიშნავს, რომ „მამლების“ პროგრესი აშკარაა და რომ არა ინგლისელ მსაჯ კრის ვაიტის შეცდომები, სტუმრებს ტურნეს მოგება არ უნდა გასჭირვებოდათო.

მოწინააღმდეგე აქო „ქურციკთა“ კაპიტანმა ანდრე ფოსმაც. „ძალიან ძნელი, მძიმე მატჩი გამოვიდა. აუცილებლად უნდა მოგვეგო ფრანგებთან, რომლებმაც გასულ შაბათს გამარჯვებით საკუთარი ძალებისა ძლიერ ირწმუნეს. საბოლოოდ მხოლოდ უკანასკნელ 10 წუთში შევძელით წარმატების მიღწევა. საფრანგეთი ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით დაცვაში. პირველი ტესტის მერე კიდევ უფრო კარგად გამოიყურებოდნენ“ — განაცხადა სააგენტო „ფრანს-პრესთან“ საუბრისას ფოსმა.

ევროპელები კარგა ხანს უძლებდნენ მეტოქეს და ზედიზედ მეორე მოგებამდე ცოტა, დაახლოებით ხუთი წუთი დააკლდათ. მონტგომერის დუბლიორმა ჯეიმსმა რამდენიმე ხელმოცარვის შემდეგ 77-ე წუთზე დააწინაურა თავისიანები. მერე მერსერონს დააკლდა მცირედი, თორემ ისევ ფრანგები გავიდოდნენ წინ. ამის შემყურეს, ალბათ, ბევრს გაახსენდებოდა 1995 წლის მსოფლიოს თასის დურბანული ნახევარფინალი, როცა აბდელატიფ ბენაზის „ქურციკთა“ ლელომდე 3-4 სანტიმეტრი დააკლდა...

დაიწყო თუ არა მატჩი, ცხადი გახდა, მასპინძლები მოსაგებად ყველა ღონეს იხმარდნენ და ბინძურ, ძალიან უხეშ თამაშსაც არ მოერიდებოდნენ. ენდრიუსმა შეჯგუფებისას ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს თავი ჩაცხო და ყვითელი ბარათითაც დაისაჯა. ანგარიში კი მხოლოდ დამრტყმელთა მეოხებით იცვლებოდა. ჯეიმსიც და მერსერონიც საკმაოდ ზუსტად ირჯებოდნენ და: 3:0, 3:3, 6:3, 6:6, 6:9.

ამის მერე აფრიკელებმა როგორც იქნა, მოუნახეს გასაღები ფრანგთა დაცვის ცხრაკლიტულს. ერასმუსმა ხაზი გაჭრა, რამდენიმე ზედახორის შემდეგ ფან დერ ვესტჰოიზენმა მშვენივრად გაშალა შეტევა და 33-ე წუთზე კრიხემაც მოახერხა „ლურჯთა“ დალელოვება.

ამან სტუმრები ვერ გატეხა და შესვენებამდე მერსერონმა კიდევ ერთი საჯარიმო და არეკნი შეაგდო, რასაც ჯეიმსმა ერთი საჯარიმოთი უპასუხა. ასე რომ, ტაიმი ჩრდილოელთა იყო — 15:14.

თამაში განახლდა თუ არა, დურბანელ ქომაგთა ღრიანცელის თანხლებით განახლდა „ქურციკთა“ შეტევებიც. ფრანგებს ძალიან გაუჭირდათ და წესების დარღვევა დაიწყეს. ჰოდა, საჯარიმოს საჯარიმოზე ნიშნავდა ბატონი ვაიტიც. თუმცა ჯეიმსს ფეხი აუკანკალდა და სამჯერ მეტისმეტად ხელსაყრელი პოზიციიდან გააცუდა დარტყმები. აქედან ერთხელ ბურთი ძელს მოარტყა, თუმცა ბოლოს მან მაინც გაიტანა და თავისიანები 17:15 დააწინაურა.

მერსერონმა დარჩენილ დროში ერთი არეკნი და ერთიც საჯარიმო ცოტათი ააცილა მიზანს, მსაჯის მიერ წამატებული 10 წუთის ბოლოს კი ჯეიმსმა ისევ ივარგა და 20:15.

„არ მინდა, მოწუწუნე გამოვჩნდე, მაგრამ მსაჯს ერთი-ორი წითელი ბარათის ამოღება ნამდვილად შეეძლო. ამის გარდა, მეორე ტაიმში ზედმეტად ჩავიკეტეთ ჩვენს ნახევარზე, არადა, სხვანაირად მოგებაც შეიძლებოდა. გული დამწყდა“ — თქვა საფრანგეთის შუამარბმა სტეფან გლამ.

მეექვსე მესამესთან სათამაშოდ ემზადება

ვინდჰუკი. 23 ივნისი

ნამიბია 24:49 იტალია

ნამიბია: 3ლ: პოუელი, ფერტერი, ბლაუ; 3გ. და 1ს: კოტცე
იტალია: 7ლ: პოძებონი (2), კეკინატო (2), პერძიანო, მარტინი, ტრონკონი; 7გ: მაძარიოლი

იტალიის ნაკრები აფრიკის კონტინენტზე იმყოფება ტურნეს გასამართად. აპენინელებმა პირველი მატჩი შუა კვირაში გამართეს ნამიბიის პრეზიდენტის ნაკრებთან და ძალიან იოლადაც გაიმარჯვეს — 58:16.

შაბათს კი „სკუადრა აძურა“ უკვე ნამიბიის მთავარ გუნდს დაუპირისპირდა და პირველი საზაფხულო ტესტიც გამართა. სტუმრებმა პირველ ტაიმში მეტოქეც აშკარად დაჩაგრეს და სამჯერაც დაალელოვეს, ნამიბიელები კი მხოლოდ ერთი საჯარიმოთი შემოიფარგლნენ.

შესვენების შემდეგ აფრიკელებმაც გამოიღეს ხელი და მიუხედავად იმისა, რომ ძირითადის ბევრი მორაგბე აკლდათ, რომლებიც სამხრეთ აფრიკის გუნდებმა არ გაათავისუფლეს ტესტისთვის, ევროპელებს მაინც გვარიანი შიში აჭამეს.

საბოლოოდ მასპინძლებმა სამი გარდასახული ლელო მიითვალეს, თუმცა დიეგო დომინგესის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ გარე ნახევარმცველად გამწესებულმა ფრანჩესკო მაძარიოლიმ ზუსტი დარტყმებით თავისიანების იერიშებს საჭირო გაგრძელებები მოუნახა, გარდასახვებიც შეაგდო და ვინაიდან თანაგუნდელებმაც არ უმტყუნეს, იტალიის გამარჯვებაც გამოიჭედა.

აღნიშნული ორი მატჩი აპენინელთა ახალზელანდიელ მთავარ მწვრთნელ ბრედ ჯონსტონის განცხადებით, 30 ივნისის ტესტის მოსამზადებლად იყო განკუთვნილი. მომავალ შაბათს ექვსი ერის მაჩანჩალა სამი ერის ბოლოადგილოსან სამხრეთ აფრიკას შეერკინება პორტ ელიზაბეტში.

ოზები ლომებს ებრძვიან

ბრიტანელი ლომები ავსტრალიაში

სიდნეი. 23 ივნისი

სიდნეი 24:41 ბრიტანელი ლომები

სიდნეი: 4ლ: პინკერტონი, კალიმორი, ჰარისი, ედმონდსი; 2გ: ედმონდსი
ბრიტანელი ლომები: 5ლ: რობინსონი (2), ოდრისკოლი, უილკინსონი, ჯეიმსი; 5გ: უილკინსონი (4), დოუსონი; 2ს: უილკინსონი

კოფს ჰარბორი. 26 ივნისი

ახალი სამხრეთ უელსი 3:46 ბრიტანელი ლომები

ახალი სამხრეთ უელსი: 1ს: კროფტი
ბრიტანელი ლომები: 6 ლ: კოენი (2), ჩარვისი, გიბსი, ო. შილი, იანგი; 5 გ. და 2 ს: ნ. ჯენკისნი

ნამდვილად სხვას ვერაფერს დაარქმევ კაცი ავსტრალიელთა თამაშს, თუ არა ბრძოლას. თითოეული გუნდი, რომელიც ტურნეს დროს ბრიტანელ ლომებს ხვდება, ერთგვარად მოვალედ თვლის თავს, რაც შეიძლება მეტი ეუხეშოს ევროპელებს და უფრო და უფრო მეტი ლომი გამოიყვანოს მწყობრიდან. ალბათ, „ვოლაბებისთვის“ ტესტებში საქმის გაიოლებას ცდილობენ.

შაბათს მეორე ტაიმში მსაჯმა ოზი მცველი მაკრი საერთოდ გააძევა მინდვრიდან, რადგან ამ უკანასკნელმა ოგარას ისეთი სთხლიშა... თუ ირლანდიელის სახე გაინტერესებთ, მისი ნახვა გაზეთის ბოლო გვერდზე შეგიძლიათ.

გარდა მაკრისა, სკოტ იანგმა კიდევ ხუთი მორაგბე დაასვენა, ოღონდ მხოლოდ ათ-ათი წუთით. მასპინძელი ბოუმენი თამაშის დაწყებიდან... 18 წამის (!) გასვლის შემდეგ, 59-ე წუთზე კი ჯგუფურ ჩხუბში მონაწილეობისთვის სიდნეელი ბლეიდსი და ქენონი დაისაჯნენ ყვითელი ბარათებით სტუმარ გრიუკოკსა და ვიკერისთან ერთად.

ლომებმა ტაიმი 24:5 მოიგეს და ეს უპირატესობა შესვენების შემდეგაც არ გაუფლანგავთ. ოღონდ ეგაა, მათ ოგარასთან ერთად ფეხნატკენი უილ გრინვუდი და ლოურენს დალალიო, რომელსაც ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, გამოაკლდათ.

გუშინ ბრიტანელები შედარებით იოლად გადარჩნენ, რადგან მეტოქე საკმაოდ სუსტი იყო. ამიტომ კუნძულელებმა ზედმეტი გართულებებისგან თავის დასაღწევად მთელი მატჩი შედარებით ნელ ტემპში ჩაატარეს და მოწინააღმდეგე ისე დაჯაბნეს.

აპია. 24 ივნისი

სამოა 19:22 ფიჯი

სამოა: 2ლ: ლიმა; 3ს: ლეაეგა
ფიჯი: 3ლ: დელასაუ (2), მალუ; 2გ. და 1ს: ლითლი

პუმები არ დანებდნენ, მაგრამ რა?

კრაისტჩერჩი. 23 ივნისი

ახალი ზელანდია 67:19 არგენტინა

ახალი ზელანდია: მაკდონალდი (მოულეტი 45), უილსონი, უმაგა, ალატინი, ლომუ, მერთენსი (ბრაუნი 34), მარშალი; ჰოფტი (სომერვილი 61), ოლივერი (კაპ.) (მოლა 46), მეიმენი, მაქსველი, ფლეიველი (ჯეკი 53), ტორნი, კოლინზი (მემეტი 46), რენდელი
10ლ: უმაგა, რენდელი, ალატინი (2), მაკდონალდი, უილსონი (2), ჯეკი, მოულეტი, მოლა; **7გ:** მერთენსი (3), ბრაუნი (4); **1ს:** მერთენსი
არგენტინა: სტორტინი, კამარდონი, ორენგო, არბიზუ (კაპ.), ალბანეზე (პიოსეკი 54), კონტემპომი (კესადა 57), პიჩოტი; გრაუ (რეჯიარდო 66), მენდესი, ფასანი, ალუბი, ლობე, ფელანი (ოსტილია 66), ლონგო, რეჯიარდო (57), მარტინი
2ლ: არბიზუ, კამარდონი; **3ს:** კონტემპომი
დროებითი გაძევება: ოლივერი (46), გრაუ (57)
მსაჯი: კოლი (ავსტრალია)

ახალზელანდიური ტურნეს ერთადერთი ტესტი გამართა არგენტინის ნაკრებმა და ლომუსა და კომპანიასთან გვარიანადაც შერცხვა.

შაბათს კრაისტჩერჩში „შავებმა“ „პუმები“ 10-ჯერ დაალელოვეს და ძალიან დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვეს. თუმცა მიუხედავად ანგარიშში ამხელა სხვაობისა, უნდა ითქვას, რომ სამხრეთამერიკელები მრისხანე მეტოქეს არ დანებდნენ, ბოლოდე იბრძოლეს და ორი ლელოც გაიტანეს. ასე რომ, არგენტინამ 1997 წელთან შედარებით უკეთესი თამაშით დაამახსოვრა თავი კუნძულელ მაყურებელს.

მატჩი მეტად დაძაბული და უხეში გამოდგა, რაზეც ორი დროებითი გაძევებაც მეტყველებს. ახალზელანდიელებმა საქმე ფაქტობრივად პირველივე ტაიმში მოითავეს, როცა 31:14 დაწინაურდნენ. მათ არც შესვენების შემდეგ დაანებეს თავი სტუმართა რბევას და საბოლოოდ 48-ქულიანი სხვაობითაც მოიგეს.

ორი ლელოს გამტანმა ჯეფ უილსონმა აღნიშნა, რომ არგენტინასთან თავდასხმაში ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ საფრანგეთთან გაგვიჭირდება, რადგან ევროპელების დაცვა გაცილებით ძლიერიაო.

მომავალ შაბათს ვნახავთ, ოლბლექსელები ისევე ხშირად შეაღწევენ მეტოქის ლელოში, თუ ვერა.

გაგი გურული

არგენტინელებმა 10 ლელო კი გაუშვეს, მაგრამ მთავარი ჯონა ლომუ ერთხელაც არ გააჩერეს

საქართველოს ჩემპიონატი

მგელაძე დისკვალიფიკაციას გადაურჩა, ჩხაბერიძისთვის სეზონი დასრულდა

გუშინ კიდევ ერთხელ შეიკრიბა საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი. მას მაინც-დამაინც ბევრი საქმე არ ჰქონია განსახილველი, მაგრამ კომიტეტის სხდომა საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. ამის მთავარი მიზეზი, ბოლო დროს გახმაურებული ლევან მგელაძის საკითხი გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის „დათვების“ მთავარ მწვრთნელ ლევან მგელაძეს მსაჯის, ნოდარ რობიტაშვილის სიტყვიერი შეურაცხყოფა ედებოდა ბრალად. ეს ინციდენტი „დათვების“ „ყოჩებთან“ შეხვედრის დროს მოხდა.

თავად ლევან მგელაძე სხდომაზე მატჩის ვიდეოფირით შეიარაღებული გამოცხადდა, მაგრამ მოსარჩლე-მოპასუხე მხარეებს ვიდეოჩანაწერის ცქერა არ დასჭირვებიათ. დახურულ კარს მიღმა კი საკმაოდ მწვავე კამათი გაჩაღდა, რომელმაც დაახლოებით საათნახევარს გასტანა და ვნებათაღელვა მაშინ დაცხრა, როდესაც სხდომა ლევან მგელაძემ დატოვა, თანაც ისე, რომ სტკ-ს გადაწყვეტილებას არ დაელოდა. მგელაძემ კომენტარისგან თავი შეიკავა — სათქმელს მაშინ ვიტყვი, როდესაც განაჩენს გავიგებო.

განაჩენი კი ასეთი გამოიტანა სადისციპლინო კომიტეტმა: ლევან მგელაძეს საფუძვლიანად ვესაუბრეთ და თუ კიდევ შემჩნეული იქნება დარღვევაში, დისკვალიფიკაციითაც მაშინ დავსჯითო.

ასე რომ, ლევან მგელაძე დისკვალიფიკაციას გადაურჩა და კვლავ დაუბრკოლებრივ გააგრძელებს თავის საქმიანობას.

როდესაც ეს საკითხი გადაწყვიტეს სტკ-ს ნაკრებმა, წინ მეხუთე ტურში მომზდარი დარღვევების ოქმი დაიდეს, და შესაბამისი სასჯელის შეფარდებასაც შეუდგნენ.

პირველად „ლოკომოტივი“ — „ყოჩების“ მატჩის დროს მომხდარ ინციდენტზე იმსჯელეს. „ყოჩების“ პირველხაზელ ირაკლი ჩიქავას ექვსკვირიანი იძულებითი დასვენება გამოუწერეს. ჩიქავა მთავარ მსაჯთან, მიხეილ ჩაჩუასთან კამათისთვის დაისაჯა.

ამას შემდეგ კვლავ ზღვისპირეთს დაუბრუნდნენ სტკ-ს წევრები, ოღონდ ამჯერად „დათვები“ — „აია“ მატჩს. ქუთაისელ ჩხაბერიძეს მეტოქისთვის ზურგში ფეხის ჩარტყმა ძვირად დაუჯდა და საკმაოდ სოლიდურ დისკვალიფიკაციასაც გამოკრა ხელი. ჩხაბერიძე ოცდაექვსი კვირით ჩამოაშორეს რაგბის. ასე რომ, ქუთათური მორაგბისთვის სეზონი უკვე დასრულდა.

ბაჩო სვანიძე

ხალხთა ლექსიკონი

აშრზაშრი პეკინის გამო

ტიბეტელთა მუქარის წერილმა ყველა სოკ-ელს ფიზიკურად გავუსწორდებით, თუ ეს უკანასკნელნი ოლიმპიურ პეკინს მზარს დაუჭერენო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველაზე მეტად ასეთი განცხადებით თავად ტიბეტელები შეშფოთებულან. მეტიც, მათმა ერომა ნაწილმა სოკ-ის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს წერილით მიმართა, ასეთი რამ აზრად არ მოგვსვლია და გთხოვთ პასუხისმგებლობას ნუ დაგვაკისრებთო.

მოგეხსენებთ, ამ რამდენიმე ხნის წინათ ტიბეტის ახალგაზრდული კონგრესის რადიკალურმა ფრაქციამ, როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებენ, მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა წევრს დამტვრეული ინგლისურითა და გრამატიკული შეცდომებით გაჯერებული ერთგვერდიანი მუქარის წერილი აახლა.

სოკ-ის გენერალური დირექტორის ფრანსუა კარარის თქმით, კომიტეტმა ეს წერილი სერიოზულად აღიქვა, ამიტომაც იგი შვეიცარიელ სამართალდამცავებს გადასცა.

ტიბეტის ახალგაზრდული ორგანიზაციის პრეზიდენტს ცეტენ ნორბეს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული წერილი ჩინეთის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა კამპანიის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ნაწილია. მათ ამგვარად სურთ ჩვენი ჯგუფის პეკინის წინააღმდეგ მიმართული მშვიდობიანი კამპანიის დისკრედიტაციაო.

„ძალიან ვწუხვართ, რომ სოკ-მა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ფაქსით მიღებულ წერილს, რომლის ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად ჩვენთვის არც კი მოუმართავს. ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანია... ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, პროტესტი ძალადობით გამოგვეხატოს. მართალია, პეკინის კანდიდატურას სრულიად ვეწინააღმდეგებით, მაგრამ ჩვენი ოფისიდან არ გასულა მუქარის წერილი“ — ასოშეიტედ პრესისთვის სატელეფონო ინტერვიუში განაცხადა ნორბემ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ტიბეტის ახალგაზრდული კონგრესის შტაბინა დრაჰმსალაში, ინდოეთშია. ჩინეთის მიერ 1950 წელს ტიბეტის ოკუპირების შემდეგ ინდოეთს 100 ათასმა ტიბეტელმა შეაფარა თავი. მას შემდეგ ჰიმალაის ეს პატარა სახელმწიფო დამოუკიდებლობისთვის იბრძვის.

ფინელმა ბერძენს გადაასწია

ივის მიუხედავად, რომ სადაც შეხვდნენ, ჩეხმა მეშუბემ იან ჟელეზნიმ ბერძენ კოსტადინოს გაციუდისსა და ფინელ აკი პარვიანენს ყველგან აჯობა, მაღალი შედეგებით წლეულს ორი უკანასკნელი გამოირჩევა. აქამდე სეზონის რეკორდი გაციუდისისა იყო, გუშინწინ კი იგი პარვიანენმა დაისაკუთრა. ფინურ ვაასაში, სადაც ევროპის თასის პირველი ლიგის შეჯიბრია, ფინელი მოედანზე გავიდა, შუბი კარგად ჩაბღუჯა და 5500 მაყურებლის ღრიალში მძლავრად გაქანებულმა ტყორცნა. შედეგი — 92,41 მეტრი ანუ სეზონის რეკორდი. საქმის მცოდნეებმა უმალ შენიშნეს, რომ პარვიაინენის იარაღი უჩვეულოდ დაბალი ტრაექტორიით მიფრინავდა და გაირკვა კიდეც, რომ მწვრთნელი ლეო რუსა მეშუბეს ოდნავ ახლებურად მოძღვრავს, რადგან მიაჩნია: პარვიანინენი ჯანით ჟელეზნის ოდნავაც არ ჩამორჩება, საჭიროა ტყორცნის ტექნიკა დახვეწოს და აჯობებს კიდეც.

მწვრთნელის ექსპერიმენტმა პირველ ცდაზე რომ გაამართლა, ლაპარაკი არ უნდა, შემდეგ ცდებზე კი პარვიაინენი ისევ ჩამოქვეითდა: მეორედ 87,25 მეტრს უწია, მესამე და მეოთხე ცდები გააფუჭა, თუმც ეს ამბავი შეიძლება სარეკორდო სიხარულით აიხსნას. ახლებური ტყორცნის ტექნიკა ფინელს ისე მოსწონია, რომში, „ოქროს ლიგაზე“ არ მიდის, უნდა ვივარჯიშო და ვივარჯიშოო.

დავით გულუა

აკი პარვიაინენი

მაიკლ ჩანგი ისტორიული სამშობლოს სამსახურში

ცნობილ ამერიკელ ჩოგბურთელს, საფრანგეთის ღია პირველობის მომგებ მაიკლ ჩანგს მისმა ისტორიულმა სამშობლომ, ჩინეთმა ერთობ საპატიო მისია დააკისრა. დღეიდან იგი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მებრძოლ პეკინს „კეთილი ნების ელჩობას“ გაუწევს.

„ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო „პეკინი 2008“ კამპანიის კეთილი ნების ელჩი. ვიცი, რომ პეკინი 2008 წლისთვის საუკეთესო ოლიმპიადის მასპინძლობას აპირებს“ — ლონდონში, პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლობაში განაცხადა მაიკლ ჩანგმა.

შეგახსენებთ, რომ სოკ-ის 13 ივლისის სესიაზე 2008 წლის ოლიმპიადისთვის მებრძოლ პეკინს ტორონტოსა და პარიზის სახით ძალიან ძლიერი მეტოქეები ჰყავს. მიუხედავად ამისა, ექსპერტები გამარჯვებას ჩინეთის დედაქალაქს უწინასწარმეტყველებენ.

Chess Classic Mainz 2001 Kramnik Anand Live Action

მაინცის ტურნირი სწრაფ ჭადრაკში

ადამსის ორი დღე

ფირმა „სიმენსი“ ფრანკფურტის საჭადრაკო ფესტივალის სპონსორი აღარაა. ბოლო წლების ტრადიციით, ვითომ კიდევ ერთი დიდი ტურნირი უნდა მომკვდარიყო, რომელშიც კასპაროვი, კარპოვი, ანანდი, კრამნიკი და სხვა ზვიგენები დაუზარელად თამაშობდნენ, მაგრამ გამოჩნდნენ სხვები, აიღეს ესტაფეტა „სიმენსისგან“, გაიღეს საჭირო თანხები და მაინსპირა ფრანკფურტიდან რაინსპირა მაინცში გადასულებმა ტურნირს პრესტიჟი შეუნარჩუნეს. ანუ: მაინცში არიან შოფლიოს ჩემპიონები, ვლადიმირ კრამნიკი და ვიშვანათან ანანდი, მომყოლი ელიტის რამდენიმე წევრი, მრავალი ცნობილი დიდსტატი და აგრეთვე „ფრიცი“, მძლავრი საჭადრაკო კომპიუტერი, რომელსაც ფრიადი სამუშაო ექნება.

„ფრიცი“ 30 ივნისს მაიკლ ადამსთან და პეტერ ლეკოსთან ორ-ორ პარტიას ითამაშებს, ცოტა აღრე თავად ადამსი და ლეკო „ფიშერის ჭადრაკში“ იბრძოლებენ, რომელიც სტანდარტულისგან დებიუტის უაღრესი დამცირებით გამოირჩევა, ხოლო ფესტივალის გვირგვინი იქნება ანანდისა და კრამნიკის 10 პარტიისგან შემდგარი მატჩი, მერე რა რომ სწრაფი ჭადრაკისა? მოთამაშეებს პარტიისთვის 25 წუთი გაეცემათ სვლაზე 10 წამის დამატებით. ღღეში ორი პარტია შედგება.

საერთოდ ითვლება, რომ სწრაფ ჭადრაკში ანანდი უფრო მაგარია. საჭადრაკო ელიტაში შესვლისას ანანდმა უპირველესად სწორედ გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფით გაითქვა სახელი და კრამნიკთან მისი ბალანსიც დადებითია — ჩქარი ჭადრაკის 26 პარტიიდან ინდუსმა 4 მოიგო და 1 წააგო. ამასთან ვიშმ ხუთიანზე იცის დებიუტების თეორია და თავდაცვის კარგი უნარი აქვს.

მაიკლ ადამსი

ყოველივე ნათქვამი ანანდის პოტენციურ ფავორიტად გამოცხადების საფუძველია, მაგრამ ჩამოვთვალოთ კრამნიკის ღირსებებიც: არწაგების ხელოვნების სრულყოფილი ცოდნა, პოზიციების ძირისძირამდე განჭვრეტის ტალანტი და რკინის ნერვები. კრამნიკს აქვს უხვად „საკუთარი“ პოზიციები და იქ მეტოქის შეთრევას მეტწილად ახერხებს ხოლმე, მერე კი წყალში ხარსჩაჭიდებულ ნიანგად იქცევა და ნაცნობი გარემოს უპირატესობას კარგად იყენებს. ასე წაართვა მან ჩემპიონობა კასპაროვს, ალბათ ასე მოეპყრობა ანანდსაც. პროგნოზი უადგილო გვგონია, ვჯობს, უკვე გასრულებული ღია ტურნირი მიძღვიხილოთ.

„ორდიქს ოუფენი“ მაინცის ფესტივალის ყველაზე მასობრივი ნაწილი გახლდათ. 237-მა ღონიერმა მოჭადრაკემ შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ითამაშა და თითო წაგება-ყაიმის გარდა ყველა პარტია მოიგო მაიკლ ადამსმა. ბრიტანელი „კაცი-ობობა“ აგრესიის განსახიერება იყო და ამან მხოლოდ ალექსეი დრეევთან ბრძოლისას დაღუპა, სხვები კი (მათ შორის ელიტარებიც) ახრამუნა და ახრამუნა იქამდე, სანამ არ გაირკვა, რომ ტურნირი 9,5 ქულით მარტოს მოეგო.

თავიდან ალექსანდრ მორროზევიჩმაც აიწყვიტა, ხუთი ბრძოლა ზედიზედ მოიგო, მაგრამ ორ დღეში 11, თუნდ სწრაფი პარტიის თამაში ხუმრობა საქმე არ არის და ეკვატორს მერე მორროზევიჩმა სიჩქარეს უკლო, საბოლოოდ კი 8 ქულით პირველი ოცეული ჩაეტა. მე-11 ადგილზე გავიდა პიოტრ სვიდლერი.

ღია ტურნირის პარალელურად 23 და 24 ივნისს ანანდმა და კრამნიკმა მოყვარულები შემოიკრიბეს და თითომ 40 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. ვიშამ მეტი მოიგო და წააგო (36 და 2), ხოლო კრამნიკმა 33 დაფაზე გამარჯვება მითვალა და წაგება ნურას უკაცრავად! იმ ორი გენიოსიდან, ვინც ინდოელის „შერცხვენა“ შეძლეს, ერთი გახლდათ, სულხან-საბას სიტყვებით რომ ვთქვათ, ღია ცნობილი კაცი, პროფესორი ეკარდ ფრეიზე, „ვის უნდა ოცი ათასის“ გერმანული ვერსიის პირველი ლაურეატი, რომელმაც მილიონი მარკა მოიგო.

დავით გულუა

პრქეოლოგები ნიჩბების წინააღმდეგ

ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესში ყველაზე მეტი სჯა-ბაასი ნიჩბოსანთა კომპლექსის მშენებლობამ გამოიწვია.

ბუნების დამცველები და არქეოლოგები ათენის ჩრდილო-დასავლეთით, სქინიაში, ნიჩბოსანთა ცენტრის მშენებლობას ეწინააღმდეგებიან, რადგან ასეთი კონსტრუქცია გამოუსწორებელ საფრთხეს უქმნის ტერიტორიის ფლორასა და ფაუნას. ესეც რომ არა, ნიჩბოსანთა ხელოვნური ტბა ანტიკური ბრძოლის ველზე, მარათონზეც იჭრება. რას იფიქრებდნენ ძველი წელთაღრიცხვის 490 წელს ძველი ბერძნები, რომ მათსა და სპარსელებს შორის გამართული ბრძოლა დასაბამს დაუდებდა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დამაგვირგვინებელ სახეობას — მარათონულ რბენას.

ახლა კი, არქეოლოგთა მცდელობის მიუხედავად, ხელისუფალნი და ოლიმპიადის ორგანიზატორები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ნიჩბოსანთა ასპარეზი აიგოს მიწაზე, რომელიც იმ ანტიკური ხანის ბრძოლიდან მოყოლებული წყლითაა დაფარული. თუმცა არქეოლოგებს ამასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები აქვთ. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კი ყველაფერი მათი არგუმენტების სასარგებლოდ შემოაბრუნა.

საქმე ისაა, რომ სადავო ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრებისას ადრეული კლასიკური ხანის თიხის ჭურჭელთან ერთად სხვა ანტიკური ნივთებიც აღმოაჩინეს.

„გათხრებმა მზის შუქი მოჰფინა თიხის ჭურჭელს, რომელიც ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნეში უნდა იყოს დამზადებული“ — იუწყება ყოველდღიური „კათიმერინი“.

ახალი აღმოჩენა ნიჩბოსანთა ცენტრის მშენებლობის დამცველთა წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს.

საბერძნეთის კულტურის სამინისტროში ოფიციალურ განცხადებამდე დუმილს ამჯობინებენ.

აღსანიშნავია, რომ მაისში ბუნების დამცველებმა და არქეოლოგებმა საბერძნეთის უმაღლეს აღმინისტრაციულ სასამართლოს თხოვნით მიმართეს, შეეჩერებინათ მშენებლობა. სახელმწიფო ორგანო კი გადაწყვეტილების მიღებას ჩვეულებისამებრ სამ წელს ანდომებს ხოლმე. ახლა კი შესაძლოა მოვლენები უფრო სწრაფად განვითარდეს, რადგან ოლიმპიადამდე, 2004 წლამდე, ცოტა დრო რჩება. ზემოთ ხსენებული ორგანო განაჩენს, ალბათ, წლის ბოლომდე გამოიტანს.

ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა კი უკვე თავის მართლება დაიწყო. ორგანიზატორთა თქმით, კულტურის სამინისტროს მათთვის ახალი გათხრების შესახებ არ უცნობებია:

„ასეა თუ ისე, საბერძნეთში ყველგან, სადაც კი მიწას ამოთხრით, აუცილებლად წააწყდებით რამე ანტიკურ ნივთს“ — თავი იმართლა საორგანიზაციო კომიტეტის მდივანმა.

გიგა გურასაშვილი

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

ხუთშაბათს, 28 ივნისს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სარბიელი

სპორტული ლატარია

კროკო

შვედეთი
27 ივნისი

22.00	002	აიკ-იორგრიტე	2,1	3,1	3,2

ფინეთი. მე-15 ტური
27 ივნისი

20.30	003	კუოპიო-მიუპა	3,0	3,1	2,2

28 ივნისი

20.30	004	ჰაკა-ინტერი	1,6	3,3	5,3
20.30	005	ჯაზი-იოკერიტი	2,3	3,1	2,8
20.30	006	ლაჰტი-ატლანტისი	2,9	3,0	2,3
20.30	007	ტამპერე-როვანიემი	1,4	3,8	6,0

ლიბერტადორესის თასი. ფინალი. II მატჩი
27 ივნისი

03.05	501	ბოკა ხუნიორსი-კრუს ასული	1,5	3,5	6,0

მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკები (არგენტინაში)
27 ივნისი

22.00	502	აშშ-ეგვიპტე	2,4	3,1	2,6
22.00	503	საფრანგეთი-გერმანია	2,3	3,1	2,8
01.00	504	არგენტინა-ჩინეთი	1,2	5,0	9,0
01.00	505	ბრაზილია-ავსტრალია	1,2	5,0	9,0

28 ივნისი

22.00	506	უკრაინა-პარაგვაი	2,4	3,1	2,6
22.00	507	კოსტა რიკა-ჩეხეთი	2,9	3,0	2,3
00.45	508	ანგოლა-ჰოლანდია	3,0	3,1	2,2
00.45	509	განა-ეკვადორი	1,95	3,1	3,5

ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში)
27 ივნისი

18.00	510	გერმანია-რუსეთი	1,45	3,8	6,0
20.00	511	შვედეთი-ინგლისი	1,6	3,6	4,4

28 ივნისი

20.30	512	საფრანგეთი-დანია	1,0	1,0	1,0
22.45	513	ნორვეგია-იტალია	1,0	1,0	1,0

ჩოგბურთი. უიმბლდონი. გამარჯვებული

კაცები			ქალები		
701	სამპრასი	2,2	751	ვ. ვილიამსი	2,3
702	აგასი	3,8			
703	ჰიუიტი	5,0	753	კაპრიატი	4,0
704	ჰენმანი	5,6	754	ს. ვილიამსი	4,7
705	რაფტერი	6,5	755	დევენპორტი	5,6
706	რუსედსკი	7,0	756	დოკიჩი	10,0
707	კაფელნიკოვი	20,0	757	მორესმო	15,0
708	საფინი	20,0	758	კლაისტერსი	20,0
709	არტურსი	25,0	759	ჰენინი	30,0
710	როდიკი	30,0	760	ტოზია	50,0
711	ფედერერი	35,0	761	დემენტიევა	50,0
712	იოჰანსონი	40,0	762	სანჩეს-ვიკარიო	50,0
713	გამბილი	40,0	763	მარტინესი	50,0
714	ენკვისტი	50,0	764	ჰუბერი	75,0
715	ჰაასი	50,0	765	კუტცერი	75,0
716	ფერეირა	50,0	766	შეტი	75,0
717	გროსიანი	50,0	767	რეიმონდი	75,0
718	ფერერო	60,0	768	ტესტიუ	75,0
719	კიფერი	60,0	769	ფარინა ელია	75,0
720	ნორმანი	60,0			

ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში.

ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადამრავლება დაუშვებელია.

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
ქობულეთი	აღმაშენებლის ქუჩა №106	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲘᲠᲡᲘ ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲡ ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲔᲑᲡ ᲑᲣᲠᲔᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ

ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲔᲚᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ: ᲞᲐᲒᲔᲚ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲑᲣᲠᲔᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ

„ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ“ ერთ-ერთ წინა ნომერში ვივარაუდეთ, რომ 23-24 ივნისს ფლორიდაში გამართული დრაფტის მთავარი მოვლენა მისი მსვლელობისას განხორციელებული გაცვლები გახდებოდა, მაგრამ ამგვარ ზომაგადასულ აქტიურობას, დარწუნებული ვარ, ჩრდილოეთ ამერიკაშიც არ ელოდნენ.

ორი დღის განმავლობაში 40(!) მოთამაშემ შეიცვალა კლუბი და რამდენიმე ისეთი ტრეიდი განხორციელდა, ცალკე სალაპარაკოდ ღირს. 23 ივნისს, დრაფტის დაწყებამდე ორი საათით ადრე, ფლორიდის დროით 10 საათზე, სატრეიდო ციებ-ცხელება ტამპამ და აილენდერსმა გახსნეს. ნიუიორკელებმა მცველ მეტიუ ბირონის და დრაფტში არჩევანის ფასად ასევე მცველი ენდრიუ ოკუანი და ფორვარდი ალექსანდრ ხარიტონოვი შეიმატეს. მათგან ყველაზე ცნობილი ოკუანია, რომელმაც 1998-99 წლების სეზონში მცველთაგან ყველაზე მეტი, 23 გოლი მიითვალა.

მერე კი აილენდერსმა ნაღდი ბომბი ააფეთქა — 11 საათსა და 15 კლუბმა მან ალექსი იაშინი შეიძინა. 27 წლის რუსი, რომელსაც ბოლო წლებში ოტავის მესვეურებთან ურთიერთობა ძალიან გაურთულდა, აილენდერსს ძვირად დაუჯდა — დრაფტის №2, ფორვარდ ბილ მაკლეტის და ლიგის ყველაზე ტანმაღალ მოთამაშე (207 სმ), მცველ ზდენო ხარას შეელია, მაგრამ აილენდერსის გენერალური მენეჯერი მაიკ მილბერი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. მისი აზრით, სწორედ ასეთი უმაღლესი კლასის ოსტატი სჭირდება მის გუნდს, რათა მან მრავალწლიანი კრიზისი დაძლიოს. მოგეხსენებათ, აილენდერსი 1994 წლის შემდეგ პლეი ოფს მიღმა რჩება. გუნდმა ბოლო 6 წელიწადში 5 მფლობელი გამოიცვალა და ამჟამინდელმა, ჩინური წარმოშობის ბიზნესმენმა ჩარლზ ვანგმა მილბერის ბოლო შანსი მისცა, თუმცა ფულსაც არ ზოგავს და, როგორც ჩანს, იაშინს არანაკლებ 8 მილიონს (სწორედ ამდენს სთხოვდა ოტავას) უსიტყვოდ გადაუხდის. ამის შემდეგ არავინ ელოდა, რომ მილბერი კვლავ გამოიჩენდა თავს, მაგრამ მეორე დღეს გაცილებით სენსაციური ტრეიდის მოწმენი გავხდით — მან კიდევ ერთი ცნობილი მეამბოხე, ექსუფალელი მაიკ პეკა შეიძინა. პეკამ მთელი სეზონი გამოტოვა საკონტრაქტო დავის გამო, მაგრამ მანამდე უკვე დაიმსახურა დაცვაში ყველაზე მარჯვე ფორვარდის სახელი. ასე რომ, ახლა მილბერი და აილენდერსი თავს ველარაფრით იმართლებენ. გუნდმა მინიმუმ პლეი ოფში გასვლა მაინც უნდა დაიმსახუროს. სხვათა შორის, აილენდერსი აგერ უკვე მესამე წელიწადია, ყველაზე მეტად აქტიურობს დრაფტის დღეებში. 1999 წელს მან რამდენიმე გაცვლის ფასად №5, 8 და 10 არჩევანი მოიპოვა, შარშან რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე შეიძინა და აგრეთვე პირველ ნომრად, ლიგის ისტორიაში პირველად, მკარე რიკ დიპიეტრო აიყვანა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ძმები ბურეების გაერთიანება გახლდათ. დრაფტის ცერემონიალზე დამსწრე საზოგადოება ოვაციით შეხვდა კალგარისა და ფლორიდას შორის განხორციელებულ გაცვლას, რომლის შედეგადაც კალგარიმ ცენტრფორვარდი რობ ნიდერმაიერი შეიძინა, „პანტერებს“ კი უმცროს ბურესთან ერთად, ფორვარდი ჯეისონ ალმერი ხვდა წილად. „ძალიან მიხარია, რომ ძმის გვერდით ასპარეზობის შანსი მომეცა. შარშანდელ „ოლ სტარზე“ ყველამ ნახა, როგორ ვთამაშობთ ერთად“ — აღფრთოვანება არ დაუმალავს ვალერი ბურეს, მით უმეტეს, რომ წლეულს კალგარში არცთუ კარგად მისდიოდა საქმე.

სენსაციების მხრივ არც კალგარი ჩამორჩა აილენდერსს. იმავე დღეს „ალებმა“ კიდევ ორი ტრეიდი განახორციელეს, თანაც ერთ-ერთით სენტ ლუისის ცნობილი მეკარე რომან ტურეკი შეიძინეს. მის ნაცვლად „ბლუზმენებმა“ ასევე მეკარე ფრედ ბრეტუეიტი და ორი ახალგაზრდა ფორვარდი გადაიბირეს. თუმც, როგორც ვარაუდობენ, ვერ ბრეტუეიტი გაუწევს კონკურენციას ნომერ პირველ მეკარეს და ვერც ბრენტ ჯონსონი, ვინაიდან სენტ ლუისს თავად დომინიკ ჰაშეკის შეძენა სდომებია. მით უმეტეს, რომ ბუფალო ბიუჯეტის შემცირებას აპირებს და დომინატორს 9 მილიონს ველარ გადაუხდის.

ბიუჯეტის შემცირებით შეწუხებულმა ფინიქსმაც ორი ტრეიდი განახორციელა. 4,2 მილიონი ხელფასის მქონე, მაგრამ ბოლო სეზონში ამ თანხისთვის შეუფერებლად მოსასარეზე მცველი ოურკე ლუმე დალასელი გახდა, მის ნაცვლად კი გუნდმა ახალგაზრდა ფორვარდი, ტაილერ ბუკი შეიძინა. თუმც ფინიქსმა ჯერ კიდევ დრაფტამდე დაიწყო ფულის დაგროვება. „კოიოტებმა“ რამდენიმე დღის განმავლობაში მცველი კიტ კარპი და ფორვარდები — იუპა ილონენი, ტრევის გრინი, ჯო ჟიუნო და აგრეთვე ბოლო სეზონში ევროპაში მოთამაშე რობერტ რაიხელი და მიქაელ რენბერგი (ორივე საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას ითხოვდა) გაუშვა. აღსანიშნავია, რომ აქედან სამი — რაიხელი, რენბერგი და გრინი ფინიქსმა ტორონტოში მიაბრძანა, მათ ნაცვლად კი უეინ გრეტკის გუნდმა მცველი დანიელ მარკოვი და სერგეი ბერეზინი შეიძინა. და თუ ამას ჯერემი რენკის დემარშს დავუმატებთ (ფინიქსის ლიდერმა განაცხადა, რომ გუნდში 5,5 მილიონი ხელფასით თამაში არ სურს) ცხადი გახდება, რომ „კოიოტები“ მომდევნო სეზონში სულ სხვანაირი რიხით წარსდგებიან ქომაგთა წინაშე.

აი, ტორონტომ კი ყველაზე რუსული გუნდის სტატუსი დაკარგა. გარდა ბერეზინისა და მარკოვის, კანადური გუნდი იგორ კოროლიოვსაც დაეშვიდობა. იგი ჩიკაგოში გადავიდა, რომელსაც გადაულოცავს კიდეც ტორონტო რუსული გუნდის იმიჯს, რადგან „ქორეებში“ უკვე ხუთი რუსი მოთამაშეა.

ალბათ, ადამ გრეიგსის გადასვლაზეც უნდა ითქვას ერთი-ორი სიტყვა. მართალია, წლეულს ფორვარდმა სეზონი ჩაფლავა (10 გოლი და 16 პასი), მაგრამ ეს ოჯახური პრობლემებით იყო გამოწვეული. ჰოკეის ქომაგს კი კარგად ეხსომება, რომ 1993-94 წლების სეზონში მან 52 გოლი გაიტანა და როცა „რეინჯერსმა“ სტენლის თასი მოიპოვა, მარკ მესიეს მუდმივი პარტნიორი იყო. 10 წლის განმავლობაში რეინჯერსისადმი ერთგული გრეიგსი თბილ კალიფორნიაში, სან ხოსეში გადაბარგდა, მის ნაცვლად კი გუნდმა ორი ახალგაზრდა მიიღო.

მკითხველი ალბათ შეგვეკითხება — იაგრი და ლინდროსი? დიახ, მიუხედავად ესოდენ დიდი აქტიურობისა, ოთხი მთავარი კოზირიდან ორი, და ალბათ უმთავრესი, არ გათამაშდა. იაგრი ჯერჯერობით პიტსბურგში რჩება და თუ გავიხსენებთ გუნდის გენერალური მენეჯერის, კრეიგ პატრიკის ნათქვამს, მისი გადასვლა დიდი ხნის საქმეა, თან ბოლომდე არც არის გადაწყვეტილი. ლინდროსს კი აგერ უკვე მერამდენედ და, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაეკეტა ტორონტოსკენ მიმავალი გზა. ჯერ კიდევ შაბათს ამოტივტივდა მისი დიმიტრი იუშკევიჩზე გაცვლის ვარიანტი, მაგრამ გარიგება, როგოც ჩანს, ჩაიშალა და იმედგაცრუებულმა ფილადელფიის გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა გაღიზიანებულმა განაცხადა, რომ ამიერიდან ტორონტოსთან არანაირ მოლაპარაკებაზე არ წავა. „რვა თვის განმავლობაში მათგან რაიმე რეალურ წინადადებას ველი, მაგრამ ამაოდ. ამიტომაც არასერიოზულ ხალხთან საქმეს აღარ დავიჭერ“ — თქვა კლარკმა.

ასეა თუ ისე, უაღრესად ცხელი ზაფხული გველის. 1 ივლისს თავისუფალ აგენტთა ბაზარი იხსნება, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ხანებში სენსაციურ ამბებს უნდა ველოდოთ. თავად განსაჯეთ: ჯო საკიკი, ჯერემი რენიკი, პატრიკ რუა, დომინიკ ჰაშეკი, დუგ უეიტი, რობ ბლეიკი, ბრეტ ჰალი და მრავალი სხვა, მთელი თანავარსკვლავეი ელის თავისი ბედის გადაწყვეტას (იაგრსა და ლინდროსზე აღარაფერს ვამბობ). ეფიქრობ, მათგან ნახევარი მაინც გუნდს შეიცვლის. ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს?

ᲡᲐᲨᲐᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

ᲢᲐᲜ-ᲑᲠᲔᲘᲙᲘ

ᲒᲐᲓᲐᲛᲢᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲭᲘ

ᲜᲐᲢᲐᲚᲘ ᲢᲝᲖᲘᲐ ᲛᲢᲠᲔᲑᲡ ᲔᲫᲔᲑᲡ

ᲜᲐᲢᲐᲚᲘ ტოზიას, ეტყობა, არ ეყო, რომ შარშან ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემით კოლეგათა თითქმის ნახევარი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა და რამდენიმე დღის წინ მათზე კიდევ ერთი იერიში მიიტანა.

„სახელებს არ გავამხელ, მაგრამ ცხადია, ჩოგბურთში დოპინგი არსებობს და მის გავრცელებას წინ უნდა აღვუდგეთ. დამამტკიცებელი საბუთები არ მომეპოვება, თუმცა მედიცინაში გაუთვითცნობიერებული კაციც კი დაინახავდა, როგორ შეიცვალა რამდენიმე მოთამაშე მცირე დროში. სულელები ხომ არ ვგონივართ, რამდენიც არ უნდა ივარჯიშო ტრენაჟორებზე, ორ თვეში ასე ვერ დაიბერები კუნთებით და ვერც სწრაფად სირბილს დაიწყებ. რატომ უჩინარდება ზოგიერთი ჩოგბურთელი რამდენიმე კვირით და უკან დაბრუნებული სულ სხვანაირად გამოიყურება?“ — რიტორიკულად იკითხა 33 წლის ფრანგმა გაზეთ „ინდიპენდენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ტოზიას თქმით, WTA ტურმა უფრო ქმედითი ზომები უნდა მიიღოს თაღლითთა გამოსავლენად, იშვიათი შემოწმებები საკმარისი არ არის: „ვფიქრობ, ტესტები ყოველ ტურნირზე უნდა ტარდებოდეს, თანაც თუ გვსურს, რაიმეს მივაღწიოთ, სისხლის ტესტების შემოღებაცაა საჭირო. განსაკუთრებით ახალგაზრდა ჩოგბურთელების გამო ვწუხვარ. ისინი ხშირად ხდებიან გაიძვერა ადამიანების მსხვერპლნი, რომლებიც ძალების სწრაფ აღდგენაში დამხმარე პროდუქციას ასაღებენ. ეს უნდა შეწყდეს!“

კერძოდ რომელი კოლეგები ჰყავს ტოზიას მხედველობაში, ძნელი სათქმელია, თუმცა კაცური აღნაგობით გამორჩეული მოთამაშეები უპირველესად მისივე თანამემამულე ამელი მორესმო და სერენა უილიამსი არიან. კუნთები ბოლო წლებში მარი პირსმაც დაიზარდა, ოღონდ ის აღიარებს კიდეც, რომ ამისთვის ნებადართული ნივთიერება კრეატინს იყენებს.

თუ WTA ტურმა არა, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ორი თვეა, აქტიური კამპანია წამოიწყო დოპინგის წინააღმდეგ. ტოზიას მტკიცების მიუხედავად, როლან გაროსზე 140 შემოწმებული ჩოგბურთელიდან აკრძალული ნივთიერება ერთსაც ვერ აღმოუჩინეს, საფრანგეთის სპორტის მინისტრ მარი-ჟორჟ बუფეს კი ბოდიშის მოხდაც მოუხდა დაუფიქრებელი განცხადებისთვის, თითქოსდა მავანი მოთამაშე გამოეჭიროთ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲙᲕᲔᲓᲠᲘ

1970 ᲬᲚᲘᲡ უიმბლდონზე გამარჯვებისთვის ავსტრალიელ ჯონ ნიუკომბს 4200 დოლარი ერგო, ქალების ჩემპიონ მარგარეტ კორტს — 2100. თუ ამ თანხას წლევანდელი ტრიუმფატორებისთვის განკუთვნილ მწვანეებს შევადარებთ, გიგანტურ განსხვავებას მივიღებთ: ნიუკომბის წილი ახლანდელი ჩემპიონის 700 ათასი დოლარის ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენს, მშვენიერი სქესის წარმომადგენელი კი მარგარეტ კორტზე 300-ჯერ მეტს — 647 500-ს მიიღებს.

საერთოდაც, წლეულს პირველივე წრეში წაგებაც კი უფრო სარფიანია, ვიდრე სამი ათეული წლის წინ უიმბლდონის მოგება — ასე ნაადრევად გამწარებული ვაჟები 10 500 დოლარს იჯიბავენ, დიაცები — 8 400-ს.

აი, 1951 წლის ჩემპიონი დიკ სევიტი კი საერთოდ თანაგრძნობას თუ იმსახურებს. ამერიკელს, რომელმაც „ოლ ინგლენდ კლაბი“ პირველივე ცდაზე დაიპყრო (ეს მის შემდეგ არავის მოუხერხებია), მხოლოდ 10-გირვანქიანი ვაუჩერი და რაღა თქმა უნდა, შეუფასებელი მთავარი ჯილდო ხვდა წილად. 74 წლის სევიტი ჯერაც ბროკერად მუშაობს ნიუ იორკის ბირჟაზე და ყოველწლიურად იღებს შვებულებას უიმბლდონზე დასასწრებად.

სევიტმა სპორტული კარიერის შემდეგ ხეირიანი სამუშაო მაინც იშოვა, 1953 წლის ჩემპიონი ვიკ სექშასი კი ერთი ხანობა საერთოდ ქუჩაში ათენ-აღამებდა და ამჟამად ბარმენობით ირჩენს თავს.

ᲢᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲫᲠᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲤᲐᲡᲝᲑᲡ

ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲛᲐ ბრიტანულმა საბუკმეიკერო ფირმა „უილიამ ჰილმა“ გააუქმა ფსონები უიმბლდონის დროს კორტზე სტრიკერების — შიშველი ენთუზიასტების (თუ როგორც ქვემოთ დაინახავთ — ბიზნესმენების) გამოჩენაზე.

„ეს თავიდან სახუმარო, უვნებელი ფსონი იყო, მაგრამ ზოგიერთმა ოპორტუნისტმა ფულის კეთების საშუალებად აქცია — განაცხადა ფირმის წარმომადგენელმა გრემ შარპმა — როგორც აღმოჩნდა, სტრიკერები სხვა, ადამიანებს უზდიან, რომ მათზე ფული დადონ, მერე კი მოსაგებად საჭირო ზომებს იღებენ“.

პირველი სტრიკერი, რომელმაც უიმბლდონზე ადამის, უფრო სწორად, ევას სამოსში გაისეირნა, ახალგაზრდა ინგლისელი მანდილოსანი გახლდათ. მან ცენტრალურ კორტზე ზედ რიჩარდ კრაიჩეკსა და მალივაი ვაშინგტონს შორის ფინალის წინ მოახერხა გადაძრომა, მილიონობით ტელემაყურებელს მთელი თავისი ღირსებები უჩვენა და ორიგინალური სტრიპტიზისთვის თურმე ექვსჯერ მეტი მიიღო, ვიდრე საკუთარ თავზე ჩამოვიდა.

შარშან მავანმა ბრიტმა ანა კურნიკოვას წყვილების შეხვედრის დროს შემოიძარცვა ტანისამოსი, მერე კი განაცხადა, ამით ოჯახს ვარჩენო.

ᲘᲦᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚ-ᲕᲐᲟᲘ ᲑᲐᲓᲔᲔᲨᲘ

ᲯᲔᲠ კიდევ დაწყებამდე სეზონის შესამე დიდი სლემის ტურნირმა ბლომად ტრავმირებული მოთამაშე მოისაკლისა, თუმცა დანაკარგები ამით არ ამოწურულა: ორშაბათს კიდევ ორმა ჩოგბურთელმა — ფრანგმა ჟერომ გოლმარმა და ხორვატმა ქალმა სილვია ტალაიამ განაცხადა უარი უიმბლდონზე ასპარეზობაზე.

შედეგად ქალთა და ვაჟთა ძირითად ბადეებში ორი „იღბლიანი წაგებული“, ანუ საკვალიფიკაციო ტურნირზე დამარცხებული ყველაზე მაღალი კლასიფიკაციის მქონე ჩოგბურთელი მოხვდა. გოლმარის ადგილი ამერიკელმა თინეიჯერმა მარდი ფიშმა დიკავა, რომელიც 24-ედ განთესილ ნიკოლა ეს.კუდეს შეხვდა, ტალაიას არყოფნით კი სლოვენიელმა მაია მატევეიჩმა ისარგებლა. იგი 21-ედ განთესილ ბარბარა შეტს დაუპირისპირდა.

ᲐᲗᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

უიმბლდონი 2001



REUTERS ფოტოქრონიკა

მარტინა ჰინგისს ცუდი დროება უდგას

საფინზე ფულს ნუ დადებთ

ლონდონში უკვე მეცხრე დღეა, არ წვიმს და ჰაერის ტემპერატურამაც ისე აიწია, ინგლისის დედაქალაქში კარგა ხანია, არ ახსოვთ. უჩვეულო ამინდმა „ოლ ინგლენდ კლაბსაც“ დაატყო ხელი: ორშაბათს პირდაპირ კორტზე ორ ბურთის მიმტან გოგოს, ტრიბუნებზე კი 50 მაყურებელს წაუვიდა გული, ტურნირის სამედიცინო პუნქტს კი ბარე ათასმა დასიცხულმა მიაკითხა.

ექიმებს ბოლო დღეებში საკმაოდ ხშირად ხედავდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისიც, რაკილა ზურგის ტრავმის მკურნალობას და უიმბლდონის დაწყებამდე გამოჯანმრთელებას ყველა ტრადიციული და არატრადიციული ხერხით (აკუპუნქტურა; შინ, ციურიხში ახალი ბოიფრენდის — მაიამელი პროკურორის მიწვევა) ცდილობდა. ამისგან ხეირიანი არაფერი გამოვიდა, უახლოეს ხანებში კი შვეიცარიელს გაუჩინარებული თავდაჯერების საძებნად და ზოგიერთი კოლეგის წინაშე გაჩენილი კომპლექსის აღმოსაფხვრელად ერთი კარგი ფსიქოლოგის გამოძებნაც არ აწყენდა.

ჰინგისის საქმეები მთლად წესრიგში რომ არ იყო, კორტზე გამოსვლისთანავე ჩანდა: ამ პაპანაქებაში შვეიცარიელი გრძელმკლავიანი მაისურათი აპირებდა ასპარეზობას, რაც მისი სპონსორის, „ადიდასის“ სარეკლამო კამპანიის მოთხოვნა იყო. „აბა, საიდან წარმოვიდგენდით, რომ ასეთი ამინდი იქნებოდა? აქ სულ ისე ცივა — განაცხადა მოგვიანებით მარტინამ, რომელსაც მყესის ანთების გამო გასულ კვირაში საერთოდ არ უვარჯიშია — ძალიან არ მსურდა უიმბლდონის გამოტოვება, თანაც ვიფიქრე, რომ პირველ წრეში ვირხინია (რუანო პასკუალი) დიდ წინააღმდეგობას მაინც ვერ გამიწევდა, მერე კი იქნებ უკეთ მეგრძნო თავი.“

ჰინგისი აქაც ცდებოდა. რუანო პასკუალი ესპანელი კი გახლავთ, მაგრამ ბალახზე თამაში არ ესწავლება, რაც რამდენიმე წლის წინ აქვე სერენა უილიამსის გაბითურებით დაამტკიცა. ერთი თვის წინ როლან გაროსზე წყვილებსა და შერეულ წყვილებში ის ჩემპიონიც გახდა და ლონდონს გვარიანად შევსებული საბანკო ანგარიშითა და გაზრდილი მადით ეწვია.

რაკილა მოძრაობა უჭირდა, მარტინა მაქსიმალურად რისკავდა, მაგრამ ფორჰენდს გამუდმებით აუტში გზავნიდა, შემოკლებულებს კი ბადეში ახვევდა. პირველი ხელის წაგების შემდეგ, უფრო მეტოქის შესაშინებლად შვეიცარიელმა ბადისკენ ხშირ-ხშირი დემარშებიც წამოიწყო, თუმცა რუანო პასკუალი ბლეფზე არ წამოეგო, არცთუ მძლავრი, სამაგიეროდ, ზუსტი დარტყმებით იოლად აბრიყვებდა მეტოქეს და კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა.

ჰინგისის ნელ ცეცხლზე წვამ საბოლოოდ 65 წუთი გასტანა და 4:6, 2:6 წაგებით დასრულდა. „აღმასვლა და დაღმასვლა ადრეც გამომიცდია კარიერაში, მაგალითად, კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე როცა დავქვეითდი — საფირმო ღიმილი ნიღბად მოირგო შვეიცარიელმა, თუმცა იარა ბოლომდე მაინც ვერ დაფარა — ახლა გარკვეული დრო მჭირდება სხეულისა და სულის მწყობრში მოსაყვანად. წინ 5 კვირა დასვენება მელის და იმედია, ჰარდის სეზონისთვის უკეთ მოვემზადები.“

ეს დრო ტრავმის მოსაშუშებლად საკმარისზე მეტი იქნება, თუმცა რას მოუხერხებს ჰინგისი ფსიქოლოგიურ ზიანს, ძნელი სათქმელია — 1999 წლის ავსტრალიის ღია პირველობიდან მოყოლებული, მას დიდი სლემის ტიტული აღარ მოუპოვებია და რაც დრო გადის, ამის პერსპექტივა სულ უფრო შორეული და ძნელად წარმოსადგენი ხდება.

მწარე მოგონებები არ აძლევენ მოსვენებას უიმბლდონის შარშანდელ ჩემპიონ ვინუს უილიამსსაც. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა როლან გაროსზე პირველ წრეში ბარბარა შეტთან 4:6, 4:6 წააგო და ისე დაიბოღმა, წყვილებში თამაშის ნაცვლად პირდაპირ შინ, ფლორიდაში დაბრუნდა: „ის მარცხი ჯერაც ვერ მომინელებია და არ ვიცი, ოდესმე თუ მოვინელებ. საკადრისადაც დავისაჯე — შინ, საშინელ სიცხეში გავემგზავრე და უამრავმა მწერმა დამკბინა. ასე რომ, აქ კიდევ უფრო დიდი სტიმული მაქვს, კარგად ვითამაშო და ლონდონში ყოფნა გავიხანგრძლივო.“

პირველი წრის მატჩში იაპონელ შინობუ ასაგოეს წინააღმდეგ უფროსი უილიამსი არც ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, ხშირად ცდებოდა და მეორე ხელში 0:2 ჩამორჩა. მერე გონს მოეგო და ჩვეული შეკივლება — მძლავრი დარტყმებით 6:2, 6:3 გაიმარჯვა: „თუ შესაძლებლობა გაქვს, მეტოქე დააფრთხო, ეს შანსი ხელიდან არც უნდა გაუშვა. ღმერთმა მე ძალა და სიმაღლე იმისთვის მომცა, რომ შესაბამისად გამოვიყენო.“

ჯანიან მხრებსა და კაცურ ფორჰენდს შესაბამისად იყენებს როლან გაროსის ფინალისტი კიმ კლაისტერსიც. 18 წლის ბელგიელი პარიზული მიღწევების შემდეგ უიმბლდონზეც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება და ეს უმწეო იტალიელ ჯულია კასონისთან შეხვედრაშიც დაამტკიცა.

პირველი სეტის მოგებას კლაისტერსმა სულ 20 წუთი დაახარჯა, მერე კი ექსპერიმენტების ჩატარებას მიჰყო ხელი და შემოკლებულებში, ბასრკუთხიან დარტყმებსა და ბადესთან გასვლებშიც მოსინჯა ძალა. კასონის ამან ანგარიშის დასველების და ტრიუმფის ნიშნად ხელების მაღლა ამართვის შანსი მისცა, თუმცა გასახარი მას ბევრი არაფერი ჰქონდა — 6:0, 6:2 ბელგიელის სასარგებლოდ.

„თუ ახალი თაობის ჩაგბურთელებს — ელენა ბოვინას, ელენა დოკიჩს, ლინა კრასნარუცკაიას ან ელენა დემენტიევას გადახედავთ, ყველა ძალისმიერად თამაშობს, დიდ მრავალფეროვნებას ვერსად ნახავთ, ვერც მოჭრილს, ვერც წინ გაჭრებს. ჩვეულებრივ, მეც სწორედ ასე ვირჯები, მაგრამ აქ, ბალახზე, ალბათ, ღირს სტილის ცოტათი შეცვლა. ვნახოთ, ეს რას მომიტანს. ერთი კი ფაქტია, ის, რომ განთესილი ვარ, პირადად ჩემთვის არაფერს ცვლის, არც დამატებით ზეწოლას ვგრძნობ“ — მიაჩნია ბელგიელს.

გელფრენდზე ზუსტად ერთი საათით მეტი დაახარჯა, თავის პირველი წრის მატჩს ლეიტონ ჰიუიტმა. 20 წლის ავსტრალიელმა საპენსიოდ გამზადებული შვედი მაგნუს გუსტაფსონი დიდხანს არ აწვალა და 6:1, 6:2, 6:4 მოუგო. „ბალახზე უკვე აღარავისთან მეშინია, ნებისმიერი მეტოქისთვის მზად ვარ — განაცხადა ზედიზედ მე-11 გამარჯვების შემდეგ ჰიუიტმა და უიმბლდონის მთავარ ფავორიტთა თავისეული ვერსიაც წარმოადგინა — პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, პიტ სამპრასს დავაყენებდი, მერე კი რაფტერს, აგასის და ჰენმანს ერთად.“

გამარჯვების პრეტენდენტთა შორის არმოხსენიება მსოფლიოს მესამე ჩოგან მარატ საფინს გულს ნამდვილად არ დასწყვეტდა. აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონმა ბალახზე თავისი ფასი კარგად იცის და როდესაც ჰკითხეს, რას ურჩევდა მის გაჩემპიონებაზე ფსონის ჩამომსვლელებს, მიკიბ-მოკიბვის გარეშე მიუგო: „რას ვურჩევდი და ეს არ ქნან. არ მინდა, ვინმეს ფული დავაკარგვინო. აქ მოგების არავითარი, არავითარ შანსი არ მაქვს, თორემ მე თვითონ დავდებდი ფულს საკუთარ თავზე. იმითაც გაკვირვებული და გახარებული დავრჩი, მეოთხედ რომ განმთესეს.“

ავსტრიელ ჯულიან ნოულთან შეხვედრაში საფინი საძაგლად ირჯებოდა, მისი მეტოქე — კიდევ უარესად. წყვილებში თამაშის ოსტატმა ნოულმა შეხვედრაში 19 ორმაგი შეცდომა დაუშვა და რუსს 6:2, 7:5, 5:7, 6:3 გამარჯვებაში ყველანაირად შეუწყო ხელი.

„ბალახს ისე ვუყურებ, როგორც ძალიან ცუდ და სწრაფ ჰარდის საფარს. თანაც წლეულს აქ ერთობ მძიმე ბურთებს იყენებენ, ქვებივითაა და ლამის მკლავები ჩამომიგდო, ბევრი ჩემი კოლეგა უკვე ხელებსა და მხრებში ტკივილს უჩივის“ — დაიწუწუნა საფინმა და ჟურნალისტებს დაჰპირდა, ჩოგნების გატეხვა ძალიან ძნელია ამ საფარზე, მაგრამ თქვენი გულისთვის ძალიან შევეცდებიო.

ავთანდილ სგანიძე

პირველი წრე

ვაჟები

ტეილორ დენტი (აშშ) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:0, 6:1, 6:4; **ჰიშამ არაზი** (27, მაროკო) — დევიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:2, 6:3; **ჯეიმი დელგადო** (ბრიტანეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:2, 6:4, 7:5; **ტომას ენქვისტი** (19, შვედეთი) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:1, 6:3, 7:5; **სებასტიან გროჟანი** (9, საფრანგეთი) — მიშელ კრატოჩვილი (შვეიცარია) 6:3, 6:3, 6:4; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 7:6 (7:4), 7:5; **უეინ ბლეკი** (ზიმბაბვე) — ტომი ჰაასი (17, გერმანია) 6:4, 5:7, 6:1, 3:0 — ტრავმა; **ოლივიე როშუ** (ბელგია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:7 (5:7), 6:3, 6:3, 6:3; **ფელიქს მანტია** (ესპანეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:7 (5:7), 3:6, 2:1 — ტრავმა; **ლეიტონ ჰიუიტი** (5, ავსტრალია) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:1, 6:2, 6:4; **სტეფან უი** (საფრანგეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 3:6, 3:6, 6:4, 6:3, 6:3; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — ლი ჩაილდსი (ბრიტანეთი) 6:4, 3:6, 6:1, 6:4; **კენეტ კარლსენი** (დანია) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 7:5, 7:6 (7:4), 7:6, 10:8; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 7:6 (7:1), 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (16, ბელარუსი) 6:3, 6:7 (9:11), 7:6 (10:8), 7:5; **ანდრეი სტოლიაროვი** (რუსეთი) — უეინ ფერეირა (14, სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:4), 6:3, 3:0 — ტრავმა; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:5, 6:2, 6:4; **ფერნანდო მელიგენი** (ბრაზილია) — გილერმო კორია (29, არგენტინა) 6:4, 3:4, 0:6, 6:4, 6:3; **სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:2, 6:3, 7:5; **სლავა დოსედელი** (ჩეხეთი) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 7:5, 6:1, 1:6, 7:6 (7:5); **ევგენი კაფელნიკოვი** (7, რუსეთი) — იონგ-ილ იუნი (სამხრეთ კორეა) 6:4, 6:2, 6:4; **არვინდ პარმარი** (ბრიტანეთი) — ანდრე სა (ბრაზილია) 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 6:4, 4:6, 8:6; **გილერმო კანასი** (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (32, არგენტინა) 1:6, 6:1, 3:6, 6:2, 7:5; **ანტონი დიუპუი** (საფრანგეთი) — სესილ მემიტი (აშშ) 6:4, 5:7, 6:7 (2:7), 6:3, 6:1; **პატრიკ რაფტერი** (3, ავსტრალია) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:2, 7:6 (9:7), 6:3; **ფაბრის სანტორო** (20, საფრანგეთი) — მარიან ზაბალეტა (არგენტინა) 7:5, 6:1, 6:3; **ნიკოლას კიფერი** (19, გერმანია) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 2:6, 6:3, 6:1, 6:4; **იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) — ედვინ კემპესი (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 5:7, 3:6, 6:3, 12:10; **ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — ფრანკო სკილარი (28, არგენტინა) 6:4, 7:6 (7:2), 3:6, 6:4; **ლეანდერ პაესი** (ინდოეთი) — დანიელ ელზნერი (გერმანია) 6:0, 6:1, 3:6, 7:5; **კრისტიან პლესი** (დანია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; **ნიკოლა ესკუდე** (24, საფრანგეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:2, 6:3, 6:2

ქალები

ელენა დოკიჩი (14, იუგოსლავია) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 7:5, 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (29, რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 6:4; **მეგან შონესი** (17, აშშ) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:4), 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 3:6, 6:3, 6:2; **კრისტინა ტორენს-ვალერო** (ესპანეთი) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 7:6 (7:3), 6:3; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:2, 6:3; **მარტა მარერო** (ესპანეთი) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 4:6, 6:3, 8:6; **სილვია ფარინა** (16, იტალია) — ადრიანა გერში (ჩეხეთი) 6:1, 6:2; **კიმ კლაისტერსი** (7, ბელგია) — ჯულია კასონი (იტალია) 6:0, 6:2; **ამანდა კუტცერი** (11, სამხრეთ აფრიკა) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **ემილი ლუა** (საფრანგეთი) — ჰანა კოლინი (ბრიტანეთი) 6:4, 6:2; **ნატალი ტოზია** (9, საფრანგეთი) — უინ პრაკუსია (ინდონეზია) 6:4, 6:2; **ანკე ჰუბერ** (გერმანია) — რიტა გრანდე (იტალია) 6:4, 6:4; **ანხელეს მონტოლიო** (27, ესპანეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:4; **მორინ დრეიკი** (კანადა) — პაულინა ნოლა (ახალი ზელანდია) 6:3, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — მარტინა სუჩა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:4, 7:6 (7:1); **პეტრა მანდულა** (უნგრეთი) — ჯანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 0:6, 6:2, 11:9; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ლუბომირა ბახევა (ბულგარეთი) 6:0, 3:6, 6:3; **დანიელა ჰანტუჩოვა** (სლოვაკეთი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 7:6 (7:2), 7:5; **ამელი მორესმო** (6, საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 7:6 (8:6), 4:6, 6:4; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — მაგი სერნა (23, ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:2; **იროდა ტულიაგანოვა** (უზბეკეთი) — ლორნა ვუდროფი (ბრიტანეთი) 7:6 (7:5), 6:4; **პატი შნიდერი** (30, შვეიცარია) — იანა ნეიედლი (კანადა) 6:4, 6:4; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — ტატიანა გარბინი (იტალია) 2:6, 6:4, 6:4; **ადრიანა სერა-ძანეტი** (იტალია) — ჰენრიეტა ნაგიოვა (24, სლოვაკეთი) 7:6 (7:4), 6:1; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:1, 7:5; **სილვია პლიშკე** (ავსტრია) — მარია ხოსე მარტინესი (ესპანეთი) 6:3, 6:4; **იანა კანდარი** (გერმანია) — ანა ისაბელ გარიგესი (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:4); **ბარბარა შეტი** (21, ავსტრია) — მაია მატევჟიჩი (სლოვენია) 4:6, 6:2, 8:6; **ლუდმილა ჩერვანოვა** (სლოვაკეთი) — დოუნ ბუთი (აშშ) 6:2, 5:7, 6:3; **ლუდმილა ჩერვანოვა** (სლოვაკეთი) — დოუნ ბუთი (აშშ) 6:2, 5:7, 6:3; **ტამარინა ტანასუგარნი** (31, ტაილანდი) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 7:5, 6:7 (2:7) — გადაიდო



REUTERS ფოტოქრონიკა

ვინუს უილიამსმა მეტოქე დაამცირა და მოიგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომები სულ სხვა უელსში

REUTERS კოფს ჰარბორიდან

ახლოვდება 30 ივნისი, როცა ოზების ქვეყანაში მოგზაური მორაგბე ბრიტანელი ლომები ბრისბენში უნდა შეერკინონ მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიელებს. მანამდე კი ბრიტები ახალი სამხრეთ უელსის მინდვრებზე იბრძვიან. 23 ივლისს ლომები სიდნეიში „ვარათაზს" შეებნენ და 41:24 სძლიეს. ეს გამარჯვება ლომ რონან ოგარას გადამსკდარ ყვრიმალად დაუჯდა. სამი დღის თავზე ბრიტებს ახალი სამხრეთ უელსის ნაკრები შეეგება კოფს ჰარბორში. ბრიტებმა აქ უფრო იოლად იმარჯვეს, 46:3, თუმცა, ბრძოლა რომ ნაღდი იყო, ეს სურათიც გვარწმუნებს: მასპინძელი ვული ტაილასა ლომ იან ბოლშოუს ბოჭავს.



REUTERS სიდნეიდან

THE SUN

ლუკა და კეტი

ახლა სარდინიის პლაჟებზე ბევრ განთქმულ ვინმეს შეხვდებით. აქა ყოფილა „უოტფორდის" მენეჯერად დანიშნული ჯანლუკა ვიალიც, ვინაც პლაჟზე ბავშვებსაც ეთამაშება ფეხბურთს. ვიალის ახლავს 30 წლის ლამაზმანი კეტ ვაიტ-კუპერი, ინგლისელი მორაგბის სტივ ვაიტ-კუპერის და, რომელთანაც ჯანლუკას ჯერ კიდევ „ჩელსიში" მუშაობისას გაუბია რომანი.

მზემ დაჰკრა

უიმბლდონი დაიწყო და მზემაც დააჭირა. ასეთი სიცხე აქ კარგა ხანია არ ახსოვთ. შეჯიბრის პირველ დღეს კორტზე იმგვარი ხვატი იდგა, რომ ისრაელში ასულ ჰარელ ლევისა და ესპანელ ტომი რობრედოს შეხვედრისას ერთ ბურთის მიმტან გოგოს მზემ დაჰკრა და გონება დააკარგვინა. საბრალო გონებადაბინდული გოგო მალევე მოაყოჩაღეს: მეათე კორტის კიდეში ჩაკეცილს მაყურებლებიც მიეშველენ.

REUTERS სანრაასიდან

გრეცკის ხელში

ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალჩატარებულმა დრაფტმა ბევრი ახალბედა შემატა სალიგო გუნდებს. ერთ-ერთი იმათგანი შვედურ „ვასტა ფროლუნდას" ვარსკვლავი ფრედრიკ შოსტრიომიც შეიქნა, რომელიც „ფინიქს კოიოტსმა" აირჩია. ამით შვედი პირდაპირ „დიად ვინმეს", უეინ გრეცკის ჩაუვარდა ხელში. ეს უკანასკნელი ხომ „კოიოტსის" აღმასრულებელი დირექტორი და თანამფლობელია. უკეთესს რას ინატრებ...

REUTERS ბუდაპეშტიდან

ქალებმა ივარგეს

უნგრელ წყალბურთელ კაცთა გუნდმა მშობლიურ ბუდაპეშტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონთათვის ეს მეტად მტკივნეული იყო. სამაგიეროდ იმარჯვეს უნგრელმა ქალებმა, რომლებმაც ფინალში იტალიელებს სძლიეს 10:8 და ჩემპიონები გახდნენ. კატია რედეი (მარცხნივ) და მერსედეს შტიბერი სწორედ ევროპული ოქროთი იწონებენ თავს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ღვალაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge